ევრპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია)

(ვრცელდება ევროპის ეკონომიკურ ზონაზეც (EEA)

ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლს,

ითვალისწინებენ რა ევროკომისიის წინადადებას,

ეროვნული პარლამენტებისათვის საკანონმდებლო აქტის პროექტის გადაცემის შემდეგ,

ითვალისწინებენ რა ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მოსაზრებას[1],

ითვალისწინებენ რა რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას[2],

მოქმედებენ რა ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად[3],

რადგან

1) პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვა ფუნდამენტური უფლებაა. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის („ქარტიის“) მუხლი 8(1)-ის თანახმად და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მუხლი 16(1)-ის თანახმად, ყველას აქვს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება.
2) პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის პრინციპები და წესები უნდა ითვალისწინებდეს ამ პირთა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ, მათი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას, განურჩევლად მათი ეროვნებისა თუ ადგილსამყოფელისა. ეს რეგულაცია მიზნად ისახავს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სივრცისა და ეკონომიკური კავშირის მხარდაჭერას, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობას, შიდა ბაზრის შემადგენელი ეკონომიკების გაძლიერებასა და დაახლოებას, და ფიზიკურ პირთა კეთილდღეობის ხელშეწყობას.
3) ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 95/46/EC[4] მიზნად ისახავს მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკური პირების ფუნდამენტური უფლებებისა და

[1]OJC 2229, 31.7, 2012, გვ.90

[2]OJC 391, 18.12.2012, გვ.127

[3]ევროპის პარლამენტის 2014 წლის 12 მარტის პოზიცია (ჯერ არ არის გამოქვეყნებული ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს პოზიცია, მიღებული პირველი მოსმენით 2016 წლის 8 აპრილს (ჯერ არ არის გამოქვეყნებული ოფიციალურ ჟურნალში), ევროპის პარლამენტის 2016 წლის 14 აპრილის პოზიცია.

[4]ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ (OJ L 281, 23.11.1995, გვ.31).

თავისუფლებების დაცვის პროცესის ჰარმონიზაციას და წევრ სახელმწიფოებს შორის პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის უზრუნველყოფას.

4) პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა ემსახურებოდეს კაცობრიობას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება; ის უნდა განიხილებოდეს საზოგადოებაში მისი ფუნქციის შესაბამისად და დაცულ უნდა იქნეს ბალანსი ამ უფლებასა და სხვა ფუნდამენტურ უფლებებს შორის, პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. ეს რეგულაცია მხედველობაში იღებს ყველა ფუნდამენტურ უფლებას და ითვალისწინებს თავისუფლებებს და უფლებებს, რომლებიც აღიარებულია ქარტიით და დაცულია ხელშეკრულებებით, კერძოდ პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას, პერსონალური მონაცემების დაცვას, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას, ბიზნესის წარმოების თავისუფლებას, სამართლიანი სასამართლოს და ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლებას, და კულტურულ, რელიგიურ და ლინგვისტური მრავალფეროვნებას.

5) შიდა ბაზრის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა პერსონალური მონაცემების მიმოცვლა ქვეყნებს შორის. გააქტიურდა მონაცემთა მოძრაობა ევროკავშირის ტერიტორიაზე საჯარო და კერძო პირთა, მათ შორის, ფიზიკურ პირთა, ასევე ასოციაციებსა და კომპანიებს შორის. წევრი სახელმწიფოების უწყებებს ევროკავშირის კანონმდებლობა ავალდებულებს, რომ ითანამშრომლონ და გაცვალონ პერსონალური მონაცემები, რათა შეძლონ თავისი ვალდებულებების შესრულება ან ფუნქციების შესრულება სხვა წევრი სახელმწიფოს უწყების სახელით.

6) სწრაფმა ტექნოლოგიურმა განვითარებამ და გლობალიზაციამ წარმოქმნა პერსონალური მონაცემების დაცვის ახალი გამოწვევები . პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა და გაცვლის მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ტექნოლოგია, როგორც კერძო, ასევე საჯარო უწყებებს თავისი საქმიანობის განხორციელებისას პერსონალური მონაცემების უპრეცენდენტო მასშტაბით გამოყენების შესაძლებლობებს აძლევს. ფიზიკური პირები თავის პერსონალურ მონაცემებს უფრო მეტად ასაჯაროვებენ და გლობალურად ხელმისაწვდომს ხდიან. ტექნოლოგიამ გარდაქმნა როგორც ეკონომიკა, ისე საზოგადოებრივი ცხოვრება, და მომავალში კიდევ უფრო გააადვილებს ინფორმაციის თავისუფალ მიმოცვლას ევროკავშირის შიგნით და მის მიღმა არსებულ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ამავდროულად ტექნოლოგია პერსონალური მონაცემების დაცვის საშუალებებსაც იძლევა.

7) ამ მოვლენებთან გასამკლავებლად ევროკავშირში საჭიროა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფრო ძლიერი და თანმიმდევრული მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც გამყარებული იქნება აღსრულების ძლიერი მექანიზმებით. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ნდობა, რომელიც ხელს შეუწყობს ციფრული ეკონომიკის განვითარებას შიდა ბაზარზე. ფიზიკურ პირებს უნდა გააჩნდეთ კონტროლი თავის პერსონალურ მონაცემებზე. ქმედებათა სამართლებრივი და

პრაქტიკული შედეგები უნდა იყოს უფრო მეტად განჭვრეტადი ფიზიკური პირებისთვის, ეკონომიკური ოპერატორებისა და საჯარო უწყებებისთვის.

8) რამდენადაც ეს რეგულაცია მოითხოვს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში გარკვეული ნორმების დაზუსტებას ან შეზღუდვების შემოღებას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ რეგულაციის დებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანა, რამდენადაც ეს საჭიროა ეროვნული კანონმდებლობის თანამიმდევრულობისა და მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

9) 95/46/EC დირექტივის მიზნები და პრინციპები რჩება უცვლელი, თუმცა დირექტივამ თავიდან ვერ აიცილა ფრაგმენტაცია ევროკავშირის მასშტაბით პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების განხორციელებისას, აგრეთვე, სამართლებრივი ბუნდოვანება და ფართოდ გავრცელებული აღქმა საზოგადოებაში, რომ ფიზიკურ პირთა დაცვას ემუქრება საფრთხე, განსაკუთრებით კი ონლაინ აქტივობებთან დაკავშირებით. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების, განსხვავებულმა ხარისხმა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შესაძლოა ხელი შეუშალოს პერსონალური მონაცემების თავისუფლად მიმოცვლას ევროკავშირის ტერიტორიაზე. ამგვარად, ამ განსხვავებებმა შესაძლოა შეაფერხოს ეკონომიკური საქმიანობა ევროკავშირის მასშტაბით, დააბრკოლოს კონკურენცია და ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებებს ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებული თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში დაცვის ხარისხს შორის ამგვარი განსხვავება გამოწვეულია 95/46/EC დირექტივის განსხვავებულად აღსრულებითა და გამოყენებით

10) ფიზიკური პირების თანმიმდევრული და მაღალი ხარისხის დაცვისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე პერსონალური მონაცემების დაუბრკოლებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მონაცემების დამუშავებასთან მიმართებაში თანაბრად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყველა წევრ სახელმწიფოში. ფიზიკური პირების მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად არსებული ნორმები თანმიმდევრულად და ერთგვაროვნად უნდა იქნეს გამოყენებული ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში. რაც შეეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანის შესასრულებლად ან მონაცემთა დამმუშავებლისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას, წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ შეინარჩუნონ ან შემოიღონ ადგილობრივი კანონმდებლობის ნორმები, რათა დეტალურად განსაზღვრონ ამ რეგულაციის გამოყენების წესები. 95/46/EC დირექტივის შესასრულებლად არსებულ ზოგად და სპეციფიურ კანონმდებლობასთან ერთად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ სექტორული რეგულაციები იმ სფეროებში, რომლებიც მოითხოვს დეტალურ რეგულირებას. ეს რეგულაცია წევრ სახელმწიფოებს აძლევს მანევრირების საშუალებას, რათა მათ განსაზღვრონ წესები, მათ შორის, განსაკუთრებული

კატეგორიის მონაცემების დამუშავების („სენსიტიური მონაცემები“) შესახებ. ამგვარად, ეს რეგულაცია არ გამორიცხავს წევრი სახელმწიფოების იმგვარი კანონმდებლობის არსებობას, რომელიც ადგენს კონკრეტული დამუშავების გარემოებებს, მათ შორის, განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია.

11) ევროკავშირის ტერიტორიაზე პერსონალური მონაცემების ეფექტური დაცვა საჭიროებს მონაცემთა სუბიექტების უფლებების გაფართოებას და დეტალურ ჩამოყალიბებას, იმ პირთა ვალდებულებების დადგენას, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს და განსაზღვრავენ მათი დამუშავების საშუალებებს, ასევე მონიტორინგთან დაკავშირებული სათანადო უფლებამოსილებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დარღვევისთვის შესაბამისი სანქციების დადგენას წევრ სახელმწიფოებში.

12) „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ“ ხელშეკრულების მუხლი 16(2) ანიჭებს უფლებამოსილებას ევროპარლამენტსა და საბჭოს, რომ განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის წესები და პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის წესები

14) ევროკავშირის ტერიტორიაზე ფიზიკური პირების თანმიმდევრული დაცვის სტანდარტის უზრუნველსაყოფად და იმ განსხვავებების გამოსარიცხად, რომლებიც ხელს უშლის პერსონალური მონაცემების თავისუფლად მიმოცვლას შიდა ბაზარზე, საჭიროა რეგულაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ სიცხადეს და გამჭვირვალობას ეკონომიკური ოპერატორებისთვის, მათ შორის მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის, წევრ სახელმწიფოებში ფიზიკური პირებისათვის სავალდებულო ძალის მქონე თანაბარი უფლებების მინიჭებას და მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირებისათვის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრას, მონაცემთა დამუშავების თანმიმდევრული მონიტორინგის უზრუნველყოფას, ასევე წევრ სახელმწიფოებში ერთგვაროვანი სანქციების დაწესებას და სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების საზედამხედველო ორგანოებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას. შიდა ბაზრის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროა, რომ ევროკავშირის ტერიტორიაზე პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლა არ შეიზღუდოს ან აიკრძალოს იმ მიზეზებით, რომლებიც უკავშირდება პერონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვას. მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ინდივიდუალური სიტუაციის გათვალისწინებით ეს რეგულაცია შეიცავს გამონაკლისებს მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ვალდებულებასთან დაკავშირებით იმ ორგანიზაციებისთვის, სადაც 250 თანამშრომელზე ნაკლები მუშაობს. . გარდა ამისა, მოცემული რეგულაცია მოუწოდებს ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს, სახელმწიფოებს და მათ საზედამხედველო ორგანოებს, რომ გაითვალისწინონ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების საჭიროებები რეგულაციის გამოყენების პროცესში. მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განსაზღვრება უნდა შეესაბამებოდეს

კომისიის 2003/361/EC[5] რეკომენდაციის დანართის მე-2 მუხლს ეს რეგულაცია იცავს ფიზიკურ პირებს მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, მათი ეროვნებისა თუ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. რეგულაციის მოქმედება არ ვრცელდება იურიდიულ პირებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, კერძოდ კი იურიდიული პირების სახით დაფუძნებულ საწარმოებზე, მათ შორის იურიდიული პირის სახელზე, ფორმასა და საკონტაქტო ინფორმაციაზე.

15) რეგულაციის მოქმედებისგან თავის არიდების სერიოზული რისკის გამოსარიცხად, ფიზიკური პირების დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ტექნოლოგიებისაგან ნეიტრალურად და არ უნდა იყოს დამოკიდებული გამოყენებულ ტექნიკაზე. ფიზიკური პირების დაცვა უნდა ხორციელდებოდეს პერსონალური მონაცემების როგორც ავტომატური, ასევე არაავტომატური საშუალებებით დამუშავებისას, თუკი მონაცემები არის ან გახდება ფაილური სისტემის ნაწილი. ამ რეგულაციის მოქმედება არ ვრცელდება ფაილებზე, ფაილთა ჯგუფებსა და მათ თავფურცლებზე, თუკი ისინი არ არის სტრუქტურირებული კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით.

16) ამ რეგულაციის მოქმედება არ ვრცელდება ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხებზე ან პერსონალური მონაცემების თავისუფალ მიმოცვლაზე თუ ისინი უკავშირდება საქმიანობას, რომელზეც არ ვრცელდება ევროკავშირის კანონმდებლობა, მაგალითად, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობა. ამ რეგულაციის მოქმედება არ ვრცელდება ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული საქმიანობისას პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

17) ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 45/2001[6] არეგულირებს ევროკავშირის ინსტიტუტების, უწყებების, დაწესებულებებისა და სააგენტოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას. რეგულაცია (EC) No 45/2001 და ევროკავშირის სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც პერსონალური მონაცემების ამგვარ დამუშავებას ეხება, უნდა მიესადაგებოდეს ამ რეგულაციაში მოცემულ პრინციპებსა და წესებს და გამოყენებულ უნდა იქნას ამ რეგულაციის გათვალისწინებით. ევროკავშირში მონაცემთა დაცვის მყარი და თანმიმდევრული სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოსაყალიბებლად ამ რეგულაციის დამტკიცების შემდეგ საჭიროა შესაბამისი შესწორებების შეტანა (EC) No 45/2001 რეგულაციაში -, რათა ამ ორი რეგულაციის გამოყენება ერთდროულად იყოს შესაძლებელი.

18) ეს რეგულაცია არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ პერსონალური მონაცემების ცალსახად პირადი ან ოჯახური საქმიანობის ფარგლებში დამუშავებაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობასთან. პირადი და

---

[5] კომისიის 2003 წლის 6 მაისის რეკომენდაცია, რომელიც განმარტავს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს (C(2003), 1422) (OJ L 124, 20.5.2003, გვ. 36)

[6] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 45/2001 „ევროკავშირის ინსტიტუტებისა და უწყებების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირთა დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“ (OJ L 8, 12.1.2001, გვ.1).

ოჯახური საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს მიმოწერას და მისამართების შენახვას, სოციალურ ქსელებში მოღვაწეობას და ინტერნეტ აქტივობას, რომელიც ასეთი საქმიანობის კონტექსტში ხორციელდება. მიუხედავად ამისა, ეს რეგულაცია ვრცელდება დამმუშავებლებსა და უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც ქმნიან პირადი ან ოჯახური საქმიანობისათვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საშუალებებს.

19) ფიზიკურ პირთა დაცვა უფლებამოსილი უწყებების მიერ პერსონალური მონაცემების იმგვარი დამუშავებისას, რომლის მიზანია დანაშაულის პრევენცია, გამოძიება, დადგენა ან სისხლისსამართლებრივი დევნა, ან სასჯელის აღსრულება, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისაგან დაცვა და მათი პრევენცია, ასევე ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლა, ექვემდებარება ევროკავშირის სპეციალური სამართლებრივი აქტით რეგულირებას. შესაბამისად, მოცემული რეგულაცია არ გავრცელდება ჩამოთვლილი მიზნებისთვის მონაცემების დამუშავებაზე. თუმცა, საჯარო უწყებების მიერ ამგვარი მიზნებისთვის მონაცემების დამუშავება უნდა დარეგულირდეს ევროკავშირის სპეციალური სამართლებრივი აქტით, კერძოდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2016/680 დირექტივით[7]. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაავალონ (EU) 2016/680 დირექტივით განსაზღვრულ უფლებამოსილ უწყებებს იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც შეიძლება არ იყოს დაკავშირებული დანაშაულის პრევენციასთან, გამოძიებასთან, დადგენასა თუ სისხლისსამართლებრივ დევნასთან ან სასჯელის აღსრულებასთან, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისაგან დაცვასთან და მათ პრევენციასთან, თუმცა თუ ეს ამოცანები ევროკავშირის სამართლებრივი რეგულირების სფეროშია, ამ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების დამუშავება რეგულირდება მოცემული რეგულაციით.

რაც შეეხება უფლებამოსილი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას იმ მიზნებისთვის, რომლებიც ამ რეგულაციის სფეროში ექცევა, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეინარჩუნონ ან შემოიღონ უფრო კონკრეტული სამართლებრივი დებულებები ამ რეგულაციის წესების მოქმედების დასაზუსტებლად. ამგვარი ნორმებით შეიძლება დაზუსტდეს უფლებამოსილი ორგანოების მიერ სხვა მიზნებისთვის პერსონალური მონაცემების დამუშავების კონკრეტული მოთხოვნები, შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციური, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტრუქტურის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო ორგანიზაციების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ამ რეგულაციის მოქმედების სფეროში ექცევა, რეგულაცია წევრ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას გარკვეულ პირობებში კანონით შეზღუდონ

[7] ევროპარლამენტის და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის დირექტივა (EU) 2016/680 უფლებამოსილი ორგანოების მიერ დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, დადგენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის და სასჯელის აღსრულების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას 2008/977/JHA (იხილეთ ოფიციალური ჟურნალი, გვ. 89).

ვალდებულებები და უფლებები, როცა ამგვარი შეზღუდვა წარმოადგენს აუცილებელ და პროპორციულ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში კონკრეტული მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად. ამგვარი ინტერესებია, მათ შორის, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, დანაშაულის პრევენცია, გამოძიება, დადგენა ან სისხლისსამართლებრივი დევნა, ან სასჯელის აღსრულება, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისაგან დაცვა და მათ პრევენცია. ეს მნიშვნელოვანია, მაგალითად, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული აქტივობების ფარგლებში ან სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიების საქმიანობისათვის..

20) მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგულაცია ვრცელდება, მათ შორის სასამართლოებისა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების საქმიანობაზე, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ შეიძლება დააზუსტოს სასამართლოებისა და მართლმსაჯულების სხვა ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების ოპერაციები და დამუშავების პროცედურები. სასამართლო ამოცანების განხორციელებისას, მათ შორის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილება არ უნდა ვრცელდებოდეს სასამართლოების მიერ სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისას მონაცემთა დამუშავებაზე. . ამგვარი მონაცემების დამუშავებაზე ზედამხედველობის ფუნქცია შეიძლება მიეცეს წევრი სახელმწიფოს მართლმსაჯულების სისტემის სპეციალურ ორგანოებს, რომელთაც უნდა უზრუნველყონ რეგულაციის შესრულება, მოსამართლეთა ცნობიერების ამაღლება რეგულაციით განსაზღვრული ვალდებულებების შესახებ და საჩივრების განხილვა მონაცემების დამუშავების ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებით.

21) ეს რეგულაცია არ გამორიცხავს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივის[8], კერძოდ, ამ დირექტივის მე-12 და მე-15 მუხლებით განსაზღვრული შუამავალი მომსახურების მიმწოდებლების ვალდებულებებთან დაკავშირებული წესების მოქმედებას. აღნიშნული დირექტივა მიზნად ისახავს შიდა ბაზრის სათანადო ფუნქციონირებას წევრ სახელმწიფოებს შორის საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების თავისუფალი მიმოცვლის გზით.

22) ევროკავშირის ტერიტორიაზე მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის დაფუძნებასთან დაკავშირებული მონაცემთა ნებისმიერი დამუშავება უნდა განხორციელდეს ამ რეგულაციის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, მუშავდება თუ არა მონაცემები ევროკავშირის ტერიტორიაზე. დაფუძნება გულისხმობს სტაბილურად ორგანიზებული დაწესებულების მეშვეობით ეფექტურ და რეალურ საქმიანობას. ამ დაწესებულებების სამართლებრივ ფორმას, იქნება ეს ფილიალი თუ შვილობილი კომპანია, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

---

[8] ევროპარლამენტის და საბჭოს 2000 წლის 8 ივნისის დირექტივა 2000/31/EC საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების გარკვეული ასპექტების, კერძოდ შიდა ბაზარზე ელექტრონული კომერციის შესახებ (დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ)(OJ L 178, 17.7.2000, გვ.1).

23) ფიზიკური პირების ამ რეგულაციით გათვალისწინებული დაცვის უზრუნველსაყოფად, რეგულაციის მოქმედება ვრცელდება იმ მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც მართალია არ არიან დაფუძნებული ევროკავშირის ტერიტორიაზე, თუმცა, სთავაზობენ საქონელს ან მომსახურებას ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფ მონაცემთა სუბიექტებს, მიუხედავად იმისა, მონაცემთა დამუშავება უკავშირდება თუ არა ანგარიშსწორებას. იმის დასადგენად, სთავაზობს თუ არა ამგვარი დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი საქონელს ან მომსახურებას ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფ მონაცემთა სუბიექტებს, აშკარად უნდა დადასტურდეს, ისახავს თუ არა მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი მიზნად მონაცემთა სუბიექტებისათვის მომსახურების მიწოდებას ევროკავშირის ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოში. მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტის მისამართის ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის ევროკავშირის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობა, , ან იმ ენის გამოყენება, რომელიც გამოიყენება მესამე ქვეყანაში, სადაც მაკონტროლებელი არის დაფუძნებული, არ არის საკმარისი ამგვარი მიზნის დასადგენად, თუმცა, ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცა ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოს ენისა ან ვალუტის გამოყენება და საქონლისა და სერვისების დაკვეთის შესაძლებლობა ამ ენის გამოყენებით, ან ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი მომხმარებლების მოხსენიება, შესაძლოა ნათელი გახადოს, რომ დამმუშავებელი აპირებს საქონლისა ან მომსახურების შეთავაზებას ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი მონაცემთა სუბიექტებისათვის.

24) ეს რეგულაცია ასევე ვრცელდება ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დაფუძნებული მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე, თუ აღნიშნული დამუშავება ხორციელდება ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი მონაცემთა სუბიექტების ქცევის მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული მიზნის არსებობის განსაზღვრისას, უნდა დადგინდეს ხდება თუ არა ინტერნეტში ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ მოქმედებებზე დაკვირვება , მათ შორის, მონაცემთა შემდგომი დამუშავების მეთოდების შესაძლო გამოყენების გზით, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირის პროფილირებას მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად ან მისი პირადი ინტერესების, ქცევის და დამოკიდებულებების წინასწარ განსაზღვრის მიზნით.

25) როდესაც საერთაშორისო საჯარო სამართლის შესაბამისად მოქმედებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, მონაცემთა დამმუშავებელზე, რომელიც არ არის დაფუძნებული ევროკავშირის ტერიტორიაზე, მაგალითად, წევრი სახელმწიფოს დიპლომატიური მისია ან საკონსულო, ასევე გავრცელდება ამ რეგულაციის მოქმედება.

26) მონაცემთა დაცვის პრინციპები ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ფსევდონიმიზებული მონაცემები, რომელთა მიკუთვნებაც შესაძლებელია ფიზიკური პირისთვის მის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გამოყენებით , წარმოადგენს იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციას.

იმისათვის, რომ განისაზღვროს შესაძლებელია თუ არა ფიზიკური პირის იდენტიფიცირება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა გონივრული შესაძლო საშუალება, მაგალითად, ფიზიკური პირის ამოცნობა, რაც შესაძლოა გამოყენებული იქნეს მონაცემთა დამმუშავებლის ან სხვა პირის მიერ პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირების მიზნით. იმის დასადგენად, მოხდება თუ არა გონივრული საშუალებების გამოყენება ფიზიკური პირების იდენტიფიცირების მიზნით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ობიექტური ფაქტორი, როგორიცაა იდენტიფიცირებისათვის საჭირო ხარჯები და დრო, მონაცემთა დამუშავებისას ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და ტექნოლოგიის განვითარება. ამასთან, მონაცემთა დაცვის პრინციპები არ ვრცელდება ანონიმურ ინფორმაციაზე, კერძოდ, ინფორმაციაზე, რომელიც არ შეეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს ან პერსონალურ მონაცემებზე, რომელიც ანონიმიზებულია იმგვარად, რომ მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება აღარ არის შესაძლებელი. შესაბამისად, ეს რეგულაცია არ ვრცელდება ამგვარი ანონიმური ინფორმაციის დამუშავებაზე, მათ შორის, სტატისტიკური ან კვლევითი მიზნებისათვის.

27) ეს რეგულაცია არ ვრცელდება გარდაცვლილი პირების პერსონალურ მონაცემებზე. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაადგინონ წესები გარდაცვლილი პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის.

28) პერსონალურ მონაცემთა ფსევდონიმიზაციას შეუძლია შეამციროს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დარღვევის რისკები და ხელი შეუწყოს მონაცემთა დამმუშავებლებს და უფლებამოსილ პირებს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში. ამ რეგულაციით „ფსევდონიმიზაციის“ მეთოდის წარმოდგენა არ გამორიცხავს მონაცემთა დაცვის სხვა მეთოდების გამოყენებას.

29) პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფსევდონიმიზაციის გამოყენების წასახალისებლად, ზოგადი ანალიზის საშუალების მიუხედავად, ფსევდონიმიზაციის ზომების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს ერთი მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციის შიგნით, თუ ეს დამმუშავებელი მიიღებს ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომები შესაბამისი დამუშავებისას ამ რეგულაციის შესრულების უზრუნველსაყოფად, და ის დამატებითი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია მონაცემთა კონკრეტული მონაცემთა სუბიექტისთვის მისაკუთვნებლად შენახული იქნება განცალკევებით. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა განსაზღვროს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები ორგანიზაციის შიგნით.

30) ფიზიკური პირები შესაძლოა დაკავშირებულ იქნან მათი ტექნიკური მოწყობილობების, აპლიკაციების, ინსტრუმენტების და პროტოკოლების, როგორიცაა ინტერნეტის პროტოკოლის მისამართის, მზა ჩანაწერების იდენტიფიკატორების ან სხვა ტიპის იდენტიფიკატორების, როგორიცაა რადიო სიხშირის საიდენტიფიკაციო იარლიყი ელექტრონულ იდენტიფიკატორებთან. აღნიშნულმა შესაძლოა დატოვოს კვალი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას ფიზიკური პირების პროფილები და მოხდეს მათი იდენტიფიცირება,

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება უნიკალურ იდენტიფიკატორებთან და სერვერებიდან მიღებულ სხვა ინფორმაციასთან კომბინაცია.

31) საჯარო უწყებები, რომლებსაც პერსონალურ მონაცემები გადაეცემათ საკანონმდებლო ვალდებულების ფარგლებში მათი ოფიციალური ფუნქციების განხორციელების მიზნით, როგორიცაა მაგალითად საგადასახადო და საბაჟო ორგანოები, ფინანსური გამოძიების ორგანოები, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული უწყებები, ან ფინანსური ბაზრის უწყებები, რომელთაც ევალებათ ფასიანი ქაღალდების რეგულირება და ზედამხედველობა, არ წარმოადგენენ მონაცემთა მიმღებებს, თუ პერსონალური მონაცემების მიღება ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, საჭიროა ზოგადი ინტერესიდან გამომდინარე კონკრეტული საკითხის შესასწავლად. საჯარო უწყებების მიერ მოთხოვნები მონაცემთა გადაცემის შესახებ ყოველთვის წერილობითი ფორმით უნდა იქნეს წარმოდგენილი, უნდა იყოს დასაბუთებული და არასისტემატიური ხასიათის; ამასთან, ამგვარი მოთხოვნა არ უნდა შეეხებოდეს მთლიან ფაილურ სისტემას ან იწვევდეს ფაილური სისტემების ურთიერთდაკავშირებას. ამ საჯარო უწყებების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს მონაცემთა დამუშავების შესაბამისი წესების დაცვით მონაცემთა დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე.

32) მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა უნდა გაიცეს ნათლად გამოხატული მოქმედებით და უნდა დგინდებოდეს მონაცემთა სუბიექტის ნებაყოფლობითი, კონკრეტული, ინფორმირებული და მკაფიო თანხმობა მის შესახებ მონაცემების დამუშავებაზე, მაგალითად, წერილობითი განცხადებით, მათ შორის, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ან ზეპირი განცხადებით. . ეს შეიძლება გულისხმობდეს ინტერნეტ გვერდის სტუმრობისას შესაბამისი გრაფის მონიშვნას, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მისაღებად ტექნიკური პარამეტრების არჩევას ან სხვა ტიპის განცხადებას ან ქმედებას, რომელიც ნათლად ადასტურებს კონკრეტულ კონტექსტში მონაცემთა სუბიექტის მიერ მისი პერსონალური მონაცემების შეთავაზებულ დამუშავებაზე თანხმობას . მონაცემთა სუბიექტის დუმილი, წინასწარ მონიშნული გრაფები ან უმოქმედობა არ წარმოადგენს თანხმობას. თანხმობა უნდა შეეხებოდეს დამუშავების ყველა აქტივობას, რომლებიც ხორციელდება იმავე მიზნით ან მიზნებით. თუ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება რამდენიმე მიზნით, თანხმობა უნდა გაიცეს თითოეულთან მიმართებაში. თუ მონაცემთა სუბიექტმა თანხმობა უნდა გასცეს ელექტრონული საშუალებებით გამოგზავნილი მოთხოვნის პასუხად, ეს მოთხოვნა უნდა იყოს მოკლე და ნათლად ჩამოყალიბებული, და არ უნდა აყენებდეს ზიანს იმ მომსახურებას, რომლის მისაღებადაც იქნა თანხმობა მოთხოვნილი.

33) მონაცემთა შეგროვების მომენტში ხშირად შეუძლებელია პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნის სრულად განსაზღვრა სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დაეთანხმონ სამეცნიერო კვლევის განხორციელებას გარკვეულ სფეროში, სამეცნიერო კვლევის აღიარებული ეთიკური სტანდარტების დაცვის გათვალისწინებით. მონაცემთა სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ

დაეთანხმონ კვლევის მხოლოდ გარკვეულ სფეროებს ან კვლევითი პროექტების ნაწილებს, რამდენადაც დამუშავების მიზანი ამის საშუალებას იძლევა.

34) გენეტიკური მონაცემები უნდა განსაზღვროს, როგორც ფიზიკური პირების მემკვიდრეობით მიღებულ ან შეძენილ გენეტიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, რომლებიც მიიღება ფიზიკური პირისგან აღებული ბიოლოგიური ნიმუშის ანალიზის, კერძოდ, ქრომოსომული, დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (DNA) და რიბონუკლეინის მჟავის (RNA) ანალიზის შედეგად, ან სხვა ელემენტის ანალიზის შედეგად, რომლებიც იმავე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

35) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები უნდა მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ ყველა მონაცემს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას მისი ფიზიკური ან სულიერი ჯანმრთელობის წარსული, ამჟამინდელი და მომავალი მდგომარეობის შესახებ. ეს მოიცავს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/24/EU დირექტივით[9] დადგენილ ინფორმაციას ფიზიკური პირის შესახებ, რომლის შეგროვება ხდება ჯანდაცვის მომსახურეობაზე დარეგისტრირების და ფიზიკური პირის მიერ ამ მომსახურების მიღების დროს: ნომერი, სიმბოლო ან განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ენიჭება ფიზიკურ პირს მისი უნიკალური იდენტიფიცირებისათვის ჯანდაცვის მიზნებიდან გამომდინარე; ადამიანის სხეულის ნაწილის ან სხეულიდან მიღებული ნიმუშის ტესტირების ან გამოკვლევის შედეგად, მათ შორის გენეტიკურ მონაცემებისა და ბიოლოგიური ნიმუშებიდან მიღებული ინფორმაცია; და ნებისმიერი ინფორმაცია, მისი წყაროს განურჩევლად, რომელიც შეეხება, მაგალითად, მონაცემთა სუბიექტის ავადმყოფობას, უნარშეზღუდულობას, ავადმყოფობის რისკს, სამედიცინო ისტორიას, კლინიკურ მკურნალობას ან ფიზიოლოგიურ ან ბიო-სამედიცინო მდგომარეობას. ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს ექიმი ან ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალი, საავადმყოფო, სამედიცინო მოწყობილობა ან ინვიტრო დიაგნოსტირების ტესტი.

36) ევროკავშირში დამმუშავებლის ძირითადი დაწესებულება არის მისი ცენტრალური ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი ევროკავშირში გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საშუალებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულ სხვა დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად დაწესებულებად. ევროკავშირში დამმუშავებლის ძირითადი დაწესებულება უნდა განისაზღვროს ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით და უნდა გულისხმობდეს ეფექტურ და რეალურ მართვას, რომლის დროსაც მიიღება სტაბილური გადაწყვეტილებები დამუშავების მიზნებთან და საშუალებებთან დაკავშირებით. ეს კრიტერიუმი არ არის დამოკიდებული იმაზე, ხდება თუ არა მონაცემთა დამუშავება კონკრეტულ ადგილას. პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების არსებობა თავისთავად არ

[9] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 9 მარტის დირექტივა 2011/24/EU საერთაშორისო ჯანდაცვის სფეროში პაციენტის უფლებების გამოყენების შესახებ (OJ L 88, 4.4.2011, გვ.45).

განსაზღვრავს ძირითადი დაწესებულების არსებობას და შესაბამისად არ წარმოადგენს ძირითადი დაწესებულების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. უფლებამოსილი პირის ძირითადი დაწესებულება არის მისი ცენტრალური ადმინისტრაცია ევროკავშირში ან თუ მას არ აქვს ცენტრალური ადმინისტრაცია ევროკავშირში - ადგილი, სადაც ხდება დამუშავება ევროკავშირში. იმ საქმეებში, რომლებშიც ჩართულია როგორც დამმუშავებელი, ასევე უფლებამოსილი პირი, წამყვან საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს იმ წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანო, სადაც დამმუშავებელს აქვს ძირითადი დაწესებულება. უფლებამოსილი პირის საზედამხედველო ორგანო უნდა ჩაითვალოს დაინტერესებულ ორგანოდ, რომელმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ რეგულაციით დადგენილ თანამშრომლობის პროცედურაში. ნებისმიერ შემთხვევაში იმ წევრი სახელმწიფოს ან სახელმწიფოების საზედამხედველო ორგანოები, სადაც უფლებამოსილი პირის ერთი ან მეტი დაწესებულება მდებარეობს, არ უნდა ჩაითვალოს დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებად, როცა გადაწყვეტილების პროექტი ეხება მხოლოდ დამმუშავებელს. როცა დამუშავება ხორციელდება ორგანიზაციათა ჯგუფის მიერ, დამმუშავებელი ორგანიზაციის ძირითადი დაწესებულება უნდა ჩაითვალოს ორგანიზაციათა ჯგუფის ძირითად დაწესებულებად გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს განსაზღვრავს სხვა ორგანიზაცია

37) ორგანიზაციათა ჯგუფი მოიცავს დამმუშავებელ ორგანიზაციას და მის მიერ კონტროლირებულ ორგანიზაციებს. დამმუშავებელი ორგანიზაცია არის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დანარჩენ ორგანიზაციებზე გავლენის მოხდენა საკუთრების, ფინანსური მონაწილეობის ან მისი საქმიანობის მარეგულირებელი წესების წყალობით ან პერსონალური მონაცემების დაცვის წესების აღსრულების უფლებამოსილების საშუალებით. დაწესებულება, რომელიც აკონტროლებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებში, ამ ორგანიზაციებთან ერთად უნდა ჩაითვალოს ორგანიზაციათა ჯგუფად.

38) არასრულწლოვნები სარგებლობენ პერსონალური მონაცემების დაცვის განსაკუთრებული უფლებით, რადგან მათთვის შეიძლება ნაკლებად იყოს ცნობილი ის რისკები, შედეგები, დაცვის მექანიზმები და მათი უფლებები, რომლებიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას. კერძოდ, ამგვარი განსაკუთრებული დაცვა უნდა შეეხოს არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების გამოყენებას მარკეტინგის მიზნებისთვის ან პიროვნების ან მომხმარებლის პროფილის შექმნას და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვებას ისეთი მომსახურეობის გამოყენებისას, რომლის შეთავაზებაც არასრულწლოვანისათვის პირდაპირ ხდება მშობლის პასუხისმგებლობის მქონე პირის თანხმობა არ არის საჭირო არასრულწლოვნებისთვის პრევენციული ან საკონსულტაციო მომსახურების პირდაპირ შეთავაზების შემთხვევაში.

39) მონაცემთა ნებისმიერი სახით დამუშავება უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი. ფიზიკური პირებისთვის უნდა იყოს ნათელი, რომ ხდება მათთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვება, გამოყენება, გაცნობა ან სხვა სახით

დამუშავება. მათთვის ასევე უნდა იყოს ცნობილი, თუ რა მოცულობით ხდება ან მოხდება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება. გამჭვირვალობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ ნებისმიერი ინფორმაცია და კომუნიკაცია, რომელიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას, უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები, ასევენათლად და მარტივი ენით გადმოცემული. კერძოდ, ეს პრინციპი ვრცელდება მონაცემთა სუბიექტებისთვის დამმუშავებლის ვინაობისა და დამუშავების მიზნების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაზე, და დამატებით ინფორმაციაზე, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალე დამუშავებას და მათ უფლებას მიიღონ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების დადასტურება და დამუშავებული მონაცემები. ფიზიკურ პირებს უნდა გააცნონ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები, წესები, დაცვის მექანიზმები და უფლებები. და მათი უფლებების რეალიზების გზები. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნები უნდა იყოს ნათელი, კანონიერი და უნდა განისაზღვროს პერსონალური მონაცემების შეგროვების მომენტში. პერსონალური მონაცემები უნდა იყოს მათი დამუშავების მიზნების შესაბამისი და ამ მიზნების მიღწევის საჭიროებით შეზღუდული. კერძოდ, ამგვარი მიდგომა მოითხოვს, რომ პერსონალური მონაცემების შენახვის ვადა იყოს მკაცრად მინიმალური. პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ მაშინ, როცა დამუშავების მიზნის მიღწევა სხვა გზებით გონივრულად შეუძლებელია. პერსონალური მონაცემების გაუმართლებლად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენახვის თავიდან ასაცილებლად, დამმუშავებელმა უნდა განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ მოხდება მონაცემების წაშლა ან პერიოდული გადახედვა. მიღებულ უნდა იქნეს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს არაზუსტი მონაცემების გასწორება ან წაშლა. პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მონაცემების უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის სათანადო დაცვით. ეს გულისხმობს პერსონალურ მონაცემებზე არაავტორიზებული წვდომისა და მონაცემების გამოყენების, ასევე დამუშავებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის გამოყენების პრევენციას.

40) დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს შესაბამისი მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან სხვა კანონიერი საფუძვლით, რომელიც დადგენილია კანონით, ამ რეგულაციით, ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, როგორც ეს მითითებულია მოცემულ რეგულაციაში, მათ შორის დამმუშავებლის მიერ მის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების ან იმ ხელშეკრულების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, რომლის მხარეც არის მონაცემთა სუბიექტი, ან ხელშეკრულების დადებამდე გარკვეული მოქმედებების განსახორციელებლად მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე.

41) რეგულაციაში მითითებული სამართლებრივი საფუძველი ან საკანონმდებლო ზომა ყოველთვის არ გულისხმობს პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტს, თუმცა არ გამორიცხავს მოთხოვნებს, რომლებიც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობიდან მომდინარეობს. ამავდროულად,

ამგვარი სამართლებრივი საფუძველი ან საკანონმდებლო მექანიზმი უნდა იყოს ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბებული და მისი გამოყენება უნდა იყოს განჭვრეტადი იმ პირებისთვის, ვისზეც ის ვრცელდება, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამრთლოს ('მართლმსაჯულების სასამართლო') და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.

42) როცა დამუშავება ხდება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, დამმუშავებელს უნდა შეეძლოს მონაცემთა სუბიექტის მიერ დამუშავების ოპერაციაზე მიცემული თანხმობის დემონსტრირება. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა მონაცემთა სუბიექტი იძლევა წერილობით თანხმობას სხვა საკითხზე, უნდა არსებობდეს დაცვის გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის მიცემის ფაქტს და თანხმობის მოცულობის გაცნობიერებას. საბჭოს 93/13/EEC[10] დირექტივის თანახმად, დამმუშავებლის მიერ წინასწარ შედგენილი თანხმობის განაცხადი უნდა იყოს გასაგები და გადმოცემული ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით, ნათელი და მარტივი ენით და არ უნდა შეიცავდეს უსამართლო პირობებს. იმისთვის, რომ თანხმობა ინფორმირებული იყოს, მონაცემთა სუბიექტისთვის, ცნობილი უნდა იყოს, სულ მცირე, დამმუშავებლის ვინაობა და მონაცემთა დამუშავების მიზანი. თანხმობა არ მიიჩნევა ნებაყოფლობითად, თუ მონაცემთა სუბიექტს არ აქვს რეალური ან თავისუფალი არჩევანი ან თუ მას არ შეუძლია თანხმობაზე უარის თქმა ან მისი გამოთხოვა საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

43) თანხმობის ნებაყოფლობითობის უზრუნველსაყოფად, თანხმობა არ უნდა ჩაითვალოს ვალიდურ სამართლებრივ საფუძვლად იმ შემთხვევაში, როცა ცხადია უთანასწორობა დამმუშავებელსა და მონაცემთა სუბიექტს შორის, განსაკუთრებით, როცა დამმუშავებელი სახელმწიფო უწყებაა და შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თანხმობა იმ სიტუაციის ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით ნებაყოფლობით იყო გაცემული. თანხმობა არ ითვლება ნებაყოფლობითად, თუ არ არსებობს თანხმობის პერსონალური მონაცემების დამუშავების ცალკეულ ოპერაციებზე გაცემის შესაძლებლობა, მიუხედავად კონკრეტულ შემთხვევაში არსებული მიზანშეწონილობისა, ან თუ ხელშეკრულების შესრულება, მათ შორის მომსახურეობის მიწოდება, დამოკიდებულია თანხმობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი თანხმობა არ არის აუცილებელი ხელშეკრულების შესასრულებლად.

44) დამუშავება კანონიერია, როცა ის აუცილებელია ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ან ხელშეკრულების დასადებად.

45) როცა დამუშავება ხდება დამმუშავებლის სამართლებრივი ვალდებულების შესაბამისად ან როცა დამუშავება საჭიროა საჯარო ინტერესით ნაკარნახევი ამოცანის შესასრულებლად ან ოფიციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად, დამუშავების საფუძველი მოცემული უნდა იყოს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაში. ეს რეგულაცია არ

[10]საბჭოს 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა 93/13/EEC სამომხმარებლო კონტრაქტების უსამართლო პირობების შესახებ (OJ L95, 21.3.1993, გვ. 29)

მოითხოვს ცალკე კანონის არსებობას დამუშავების თითოეულ სახეობაზე. საკმარისია კანონი, რომელიც საფუძვლად დაედება დამუშავების სხვადასხვა ოპერაციას, რომლებიც მომდინარეობს დამმუშავებლის სამართლებრივი ვალდებულებიდან ან რომელიც აუცილებელია საჯარო ინტერესით ნაკარნახევი ამოცანის შესასრულებლად ან ოფიციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად. ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობამ ასევე უნდა განსაზღვროს დამუშავების მიზანი. მეტიც, ამავე კანონმდებლობამ შეიძლება დააზუსტოს ამ რეგულაციის ზოგადი დებულებები, რომლებიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებას, დაადგინოს დამმუშავებლის მახასიათებლები, პერსონალური მონაცემების ტიპები, რომლებიც ექვემდებარება დამუშავებას, მონაცემთა სუბიექტები, უწყებები, რომელთაც შეიძლება გადაეცეს პერსონალური მონაცემები, მიზნის შეზღუდვები, შენახვის პერიოდი, და სხვა ზომები, რომლებიც საჭიროა დამუშავების კანონიერებისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობამ ასევე უნდა განსაზღვროს დამმუშავებელი, რომელიც ასრულებს ფუნქციას საჯარო ინტერესიდან ან ოფიციალური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, უნდა იყოს საჯარო უწყება თუ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა რეგულირდება საჯარო სამართლით, თუ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მათ შორის ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და ჯანდაცვის სერვისების მართვის მიზნებიდან გამომდინარე მოქმედი პირი, რომელზეც ვრცელდება კერძო სამართალი, მაგალითად პროფესიული ასოციაცია.

46) პერსონალური მონაცემების დამუშავება ასევე ითვლება კანონიერად, როცა ის აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესის დასაცავად. პერსონალური მონაცემების დამუშავება სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესის საფუძველზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დამუშავება ცალსახად ვერ მოხდება სხვა სამართლებრივი საფუძვლით. ვერ დაეფუძნება სხვა სამართლებრივ საფუძველს. დამუშავების ზოგი ფორმა შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც საჯარო ინტერესს, ასევე მონაცემთა სუბიექტების სასიცოცხლო ინტერესებს, მაგალითად იმ შემთხვევებში, როცა დამუშავება საჭიროა ჰუმანიტარული მიზნებისათვის, მაგალითად, ეპიდემიების მონიტორინგის დროს ან მათი გავრცელების აღსაკვეთად, ან ჰუმანიტარული კრიზისების დროს, კერძოდ, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით განპირობებული კატასტროფების დროს.

47) დამუშავების სამართლებრივ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს დამმუშავებლების, მათ შორის იმ დამმუშავებლის, რომელსაც შეიძლება გადაეცეს პერსონალური მონაცემები, ან მესამე პირის კანონიერი ინტერესები თუ მონაცემთა სუბიექტის ინტერესები ან ფუნდამენტურ უფლებები და თავისუფლებები აღმატებული მნიშვნელობის არ არის. ამ დროს გასათვალისწინებელია მონაცემთა სუბიექტის მოლოდინები, რომლებიც დამმუშავებელთან ურთიერთობას უკავშირდება. ამგვარი კანონიერი ინტერესები შეიძლება არსებობდეს იმ შემთხვევებში, როცა მონაცემთა სუბიექტსა და დამმუშავებელს შორის არის შესაბამისი და სათანადო ურთიერთობა, მაგალითად, როცა მონაცემთა სუბიექტი არის დამმუშავებლის კლიენტი ან მის სამსახურში იმყოფება. ნებისმიერ

შემთხვევაში კანონიერი ინტერესის არსებობა სათანადოდ უნდა შეფასდეს, მათ შორის უნდა გაირკვეს, რამდენად შეიძლება მონაცემთა შეგროვების მომენტში და შეგროვების კონტექსტის გათვალისწინებით მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს გონივრული მოლოდინი , რომ ამ მიზნით მოხდება მისი მონაცემების დამუშავება. მონაცემთა დამმუშავებლის ინტერესთან შედარებით უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს მონაცემთა სუბიექტის ინტერესებს და ფუნდამენტურ უფლებებს, როცა მონაცემთა სუბიექტებს არ შეიძლება ჰქონდეთ გონივრული მოლოდინი, რომ მათი მონაცემები დამატებით დამუშავდება. რადგან კანონმდებელმა უნდა დაადგინოს კანონით საჯარო უწყებების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, ეს სამართლებრივი საფუძველიცარ უნდა გავრცელდეს საჯარო უწყებების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე მათი უფლებამოსილების შესრულებისას. პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც აუცილებელია თაღლითობის თავიდან ასაცილებლად, ასევე შედის მონაცემთა შესაბამისი დამმუშავებლის კანონიერ ინტერესებში. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებით პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება ჩაითვალოს კანონიერი ინტერესით განპირობებულ დამუშავებად.

48) დამმუშავებლებს, რომლებიც ცენტრალურ დაწესებულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციების ან დაწესებულებების ჯგუფში შედიან, შეიძლება ჰქონდეთ კანონიერი ინტერესი, რომ დააგზავნონ პერსონალური მონაცემები, მათ შორის, კლიენტებისა და თანამშრომლების პერსონალური მონაცემები, შიდა ადმინისტრირების მიზნებისთვის ორგანიზაციათა ჯგუფის ფარგლებში. უცვლელია პერსონალური მონაცემების გადაცემას ძირითადი პრინციპები ჯგუფის წევრი ორგანიზაციისთვის, რომელიც მესამე ქვეყანაში მდებარეობს.

49) მონაცემთა შესაბამისი დამმუშავებლის კანონიერ ინტერესს წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავება იმ ხარისხით, რომელიც აუცილებელი და პროპორციულია ქსელისა და საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. უსაფრთხოება გულისხმობს ქსელის ან საინფორმაციო სისტემის უნარს, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს, სანდოობის გარკვეული ხარისხით, შემთხვევით მოვლენებს, უკანონო ან დამაზიანებელ ქმედებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის დაარქივებული ან გადაცემული მონაცემების ხელმისაწვდომობას, ნამდვილობას, მთლიანობას ან კონფიდენციალობას, და ამ ქსელებისა და სისტემების საშუალებით სახელმწიფო უწყებების, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის გუნდების (CERTs), კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების გუნდების (CSIRTs), და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების და უსაფრთხოების ტექნოლოგიებისა და სერვისების მიმწოდებლების მიერ მიწოდებული სერვისების უსაფრთხოებას. მაგალითად, იგულისხმება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების უნებართვო წვდომისა და დამაზიანებელი კოდების გავრცელების პრევენცია, და 'სერვისების უარყოფის' შეტევებისა და კომპიუტერებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების დაზიანების შეჩერება.

50) პერსონალური მონაცემების დამუშავება მიზნებისთვის, რომლებიც განსხვავდება პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველი მიზნებისგან, უნდა იყოს

ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა დამუშავება თავსებადია პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველ მიზნებთან. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი პერსონალური მონაცემების შეგროვებისგან განსხვავებული სამართლებრივი საფუძველი. თუ დამუშავება საჭიროა საჯარო ინტერესიდან ან დამმუშავებლის ოფიციალური უფლებამოსილების შესრულებიდან გამომდინარე, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმა შეიძლება დაადგინოს ამოცანები და მიზნები, რომელთა მისაღწევად მონაცემთა შემდგომი დამუშავება შეიძლება ჩაითვალოს სათანადო და კანონიერ დამუშავებად. მონაცემთა არქივის შექმნა საჯარო ინტერესიდან, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ინტერესებიდან ან სტატისტიკური მიზნებიდან გამომდინარე უნდა ჩაითვალოს სათანადო და კანონიერ დამუშავებად. ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით დადგენილი პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი შეიძლება ასევე წარმოადგენდეს შემდგომი დამუშავების სამართლებრივ საფუძველს. იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა შემდგომი დამუშავების მიზანი პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველ მიზანს, დამმუშავებელმა საწყისი დამუშავების კანონიერების ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ უნდა გაითვალისწინოს, სხვა ფაქტორებთან ერთად: ნებისმიერი კავშირი ამ მიზნებსა და შემდგომი დამუშავების მიზნებს შორის; პერსონალური მონაცემების შეგროვების კონტექსტი, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტების გონივრული მოლოდინები მონაცემთა შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც ეფუძნება მათ ურთიერთობას დამმუშავებელთან; მონაცემების შემდგომი დამუშავების შესაძლო შედეგები; და დაცვის შესაბამისი გარანტიების არსებობა დამუშავების საწყის და შემდგომ ოპერაციების დროს.

იმ შემთხვევებში, როცა მონაცემთა სუბიექტი ეთანხმება დამუშავებას ან როცა დამუშავება ეფუძნება ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონს, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმოადგენს საჯარო ინტერესის შესაბამისი მნიშვნელოვანი მიზნების დაცვის მექანიზმს, დამმუშავებელს უნდა შეეძლოს პერსონალური მონაცემების დამუშავება მიზნების შესაბამისობის საკითხის გათვალისწინების გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაცული იყოს ამ რეგულაციაში მოცემული პრინციპები, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება დამუშავების განსხვავებული მიზნების შესახებ, ასევე მისი ინფორმირება დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლების შესახებ. დამმუშავებლის მიერ შესაძლო კრიმინალურ ქმედებებზე ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკებზე მითითება და კრიმინალურ ქმედებებთან ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებულ შემთხვევასა თუ შემთხვევებში შესაბამისი პერსონალური მონაცემების უფლებამოსილი უწყებებისთვის გადაცემა შედის დამმუშავებლის კანონიერ ინტერესში. მიუხედავად ამისა, დამმუშავებლის მიერ მონაცემთა ამგვარი გადაცემა ან დამუშავება, რომელიც კანონიერ ინტერესით არის ნაკარნახევი, უნდა აიკრძალოს, როცა დამუშავება არ შეესაბამება ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის სამართლებრივ, პროფესიულ ან სხვაგვარ შემზღუდავ ვალდებულებას.

51) პერსონალური მონაცემები, რომლებიც მათი ბუნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად მგრძნობიარეა ფუნდამენტურ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებაში, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, რადგან მათი დამუშავების კონტექსტი შეიძლება მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებდეს ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამგვარი პერსონალური მონაცემები მოიცავს ინფორმაციას რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ამ რეგულაციაში ტერმინის „რასობრივი წარმომავლობა“ გამოყენება არ გულისხმობს ევროკავშირის მიერ იმ თეორიების გაზიარებს, რომლებიც ადამიანთა განსხვავებული რასების არსებობას ადგენს. ფოტოების დამუშავება შეიძლება არ ჩაითვალოს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებად, ვინაიდან ფოტოები შეესაბამება ბიომეტრული მონაცემების განმარტებას მხოლოდ მაშინ, როცა მათ დამუშავება ხდება სპეციალური ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც ფიზიკური პირის ამოცნობის ან დადგენის საშუალებას იძლევა. ამგვარი მონაცემები არ უნდა დამუშავდეს გარდა ამ რეგულაციით განსაზღვრული შემთხვევებისა. ასევე უნდა გათვალისწინებულ იქნეს წევრი სახელმწიფოების კანონებში არსებული მონაცემთა დაცვის კონკრეტული დებულებები, რომლებიც ემსახურება ამ რეგულაციით დადგენილი წესების განსაზღვრას სამართლებრივი ვალდებულების ან საჯარო ინტერესით ნაკარნახევი ამოცანის შესრულების ან დამმუშავებლის ოფიციალური უფლებამოსილების შესრულების მიზნით. ამგვარ დამუშავებასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნების გარდა, უნდა გავრცელდეს ამ რეგულაციის ზოგადი პრინციპები და სხვა წესები, კერძოდ, ეს ეხება კანონიერი დამუშავების პირობებს. უნდა ნათლად განისაზღვროს გამონაკლისები განსაკურებული კატეგორიების მონაცემების დამუშავების ზოგადი აკრძალვიდან. მათ შორისაა ის შემთხვევები, როცა მონაცემთა სუბიექტი ცალსახა თანხმობას გამოხატავს, ან მაგალითად, როცა დამუშავება ხორციელდება კონკრეტული საჭიროების დასაკმაყოფილებლად გარკვეული ასოციაციების ან ფონდების კანონიერი საქმიანობის დროს, რომელთა მიზანი ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობის ხელშეწყობაა.

52) ნებადართულია გამონაკლისები განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების აკრძალვიდან, რომელთაც ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ადგენს და იცავს სათანადო გარანტიებით პერსონალური მონაცემებისა და სხვ ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიზნით იმ შემთხვევებში, როცა დამუშავება საჯარო ინტერესით არის განპირობებული. კერძოდ, ეს ეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას დასაქმების და სოციალური დაცვის სამართლის სფეროში, რომელიც მოიცავს პენსიებს, ასევე დამუშავებას, რომელიც ხორციელდება ჯანმრთელობის უსაფრთხოების, მონიტორინგისა და მოსახლეობის გაფრთხილების მიზნებისათვის, გადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლს დროს და ჯანმრთელობისთვის სხვა სერიოზული საფრთხეების შემცველ სიტუაციებში. ამგვარი გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას ჯანდაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის სერვისების სამართავად, განსაკურებით ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში შეღავათებისა და

სერვისების მისაღებად წარმოდგენილი მოთხოვნების ხარისხიანად და ეკონომიურად დასაკმაყოფილებლად, ან საჯარო ინტერესით განპირობებული დაარქივების, სამეცნიერო თუ ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური კვლევის მიზნებისთვის. გამონაკლისი ასევე იძლევა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას, როცა საჭიროა სამართლებრივი მოთხოვნების დადგენა, გამოყენება ან დაცვა, სასამართლო პროცესის დროს ან ადმინისტრაციული ან დავის არასასამართლო გზით მოგვარების პროცედურის დროს.

53) გამკაცრებული დაცვის ქვეშ არსებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როცა ამ მიზნების მიღწევა ფიზიკური პირების ან საზოგადოების სარგებელს ემსახურება, კერძოდ, ჯანდაცვის ცენტრალური ეროვნული უწყებებისა და მენეჯმენტის მიერ ამგვარი მონაცემების დამუშავება ნებადართულია ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა ხარისხის კონტროლი, მართვისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, ჯანდაცვის ან სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ზოგად-ეროვნული და ადგილობრივი ზედამხედველობა, ჯანდაცვის ან სოციალური უზრუნველყოფის განგრძობადობა, საერთაშორისო ჯანდაცვა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება, მონიტორინგი და საზოგადოების გაფრთხილება საფრთხის შესახებ, საჯარო ინტერესით ნაკარნახევი დაარქივება სამეცნიერო ან ისტორიულ კვლევებისა და სტატისტიკის წარმოებისთვის ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე საჯარო ინტერესით ნაკარნახევი მიზნების მისაღწევად, ასევე ჯანდაცვის სფეროში საჯარო ინტერესით განპირობებული კვლევების განსახორციელებლად. მაშასადამე, ამ რეგულაციამ უნდა განსაზღვროს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების ჰარმონიზებული პირობები კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, კერძოდ, როცა ამგვარი მონაცემების დამუშავება ხდება ჯანდაცვასთან დაკავშირებული გარკვეული მიზნებისთვის იმ პირების მიერ, ვისაც აქვს პროფესიული საიდუმლოს შენახვის ვალდებულება. ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს კონკრეტული და სათანადო ზომები ფიზიკური პირების ფუნდამენტური უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დასაცავად. წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ შეინარჩუნონ ან დააწესონ ახალი პირობები, მათ შორის შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება გენეტიკური, ბიომეტრული და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას. თუმცა ამან არ უნდა შეუშალოს ხელი ევროკავშირის ფარგლებში პერსონალური მონაცემების თავისუფალ გადაადგილებას, როცა ეს პირობები ვრცელდება მონაცემთა საერთაშორისო დამუშავებაზე.

54) განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე შეიძლება ნაკარნახევი იყოს საჯარო ინტერესით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. ამგვარი დამუშავება უნდა დაექვემდებაროს სათანადო და კონკრეტულ ზომებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ

კონტექსტში 'საზოგადოებრივი ჯანდაცვა' უნდა განიმარტოს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1338/2008 რეგულაციის[11] შესაბამისად, კერძოდ, ეს განმარტება მოიცავს ჯანმრთელობის ყველა ელემენტს, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობას, მათ შორის ავადმყოფობას და უნარების შეზღუდვას, ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ჯანდაცვის საჭიროებებს, ჯანდაცვისთვის გამოყოფილ რესურსებს, ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებას და ხელმისაწვდომობას, ასევე ჯანდაცვის ხარჯებსა და დაფინასებას, და სიკვდილიანობის მიზეზებს. ჯანმრთელობის მონაცემების ამგვარი დამუშავება, რომელიც საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი, არ უნდა იწვევდეს მესამე პირების, მაგალითად, დამქირავებლების ან სადაზღვევო და საბანკო კომპანიების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას სხვა მიზნებისთვის.

55) მეტიც, ოფიციალური უწყებების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომელიც ხორციელდება ოფიციალურად აღიარებული რელიგიური ასოციაციების საკონსტიტუციო სამართლითა და საერთაშორისო საჯარო სამართლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ეფუძნება საჯარო ინტერესს.

56) თუ არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას, წევრ სახელმწიფოში არსებული დემოკრატიული სისტემა მოითხოვს პოლიტიკური პარტიების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, ამგვარი მონაცემების დამუშავება შეიძლება იყოს ნებადართული საჯარო ინტერესის გამო, თუკი არსებობს დაცვის სათანადო გარანტიები.

57) თუ დამმუშავებლის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები დამმუშავებელს ფიზიკური პირის ამოცნობის საშუალებას არ აძლევს, მას არ უნდა ჰქონდეს ვალდებულება, მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებისათვის მხოლოდ ამ რეგულაციის რომელიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. თუმცა დამმუშავებელმა არ უნდა თქვას უარი მონაცემთა სუბიექტის მიერ წარმოდგენილი დამატებით ინფორმაციაზე, რომლის მიზანი სუბიექტის უფლებების დაცვაა. იდენტიფიცირება უნდა მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტის ციფრულ იდენტიფიცირებას, მაგალითად იდენტიფიცირებას ნამდვილობის დადგენის მექანიზმის (authentication) გამოყენებით, როგორიცაა მონაცემთა სუბიექტის მიერ სისტემაში შესვლისას ერთი და იმავე მონაცემების გამოყენება დამმუშავებლის მიერ შეთავაზებული ონლაინ სერვისებით სარგებლობისთვის.

58) გამჭვირვალობის პრინციპი მოითხოვს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის ადრესატი საზოგადოება ან მონაცემთა სუბიექტია, იყოს მოკლე, ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები, გადმოცემული მარტივი ენით, საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოყენებულ იქნეს ვიზუალური მასალა. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას ელექტრონული სახით, ვებ-გვერდზე, როცა მიმართვის ადრესატი საზოგადოებაა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

[11]ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 1338/2008 თანამეგობრობაში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამუშაო ადგილას უსაფრთხოების სტატისტიკის შესახებ (OJ L 354, 31.12.2008, გვ. 70).

სიტუაციებში, როცა აქტორების სიმრავლე და არსებული პრაქტიკის ტექნოლოგიური სირთულე აძნელებს მონაცემთა სუბიექტის მიერ იმის გარკვევას, თუ ვინ და რა მიზნით აგროვებს მასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მაგალითად ონლაინ რეკლამირების შემთხვევაში. არასრულწლოვანთა განსაკუთრებული დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არასრულწლოვანისთვის არის განკუთვნილი, უნდა იყოს ნათლად და არასრულწლოვანისთვის მარტივად და გასაგებად გადმოცემული.

59) ამ რეგულაციის თანახმად მონაცემთა სუბიექტის მიერ მისი უფლებების დაცვის გასაადვილებლად უნდა არსებობდეს სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის მონაცემების მოთხოვნისა და უფასოდ მიღების მექანიზმები, კერძოდ, უნდა იყოს შესაძლებელი პერსონალურ მონაცემებზე წვდომა, შესწორება ან წაშლა და უარის თქმის უფლების გამოყენება. დამმუშავებელმა უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის ელექტრონულად გაგზავნის შესაძლებლობა განსაკუთრებით მაშინ, როცა პერსონალური მონაცემების დამუშავება ელექტრონული საშუალებებით ხდება. დამმუშავებელი ვალდებულია, რომ მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნებს დროულად, მაქსიმუმ ერთი თვის განმავლობაში უპასუხოს, და მოთხოვნის შესრულებაზე უარის შემთხვევაში, წარუდგინოს დასაბუთება.

60) სამართლიანი და გამჭვირვალე დამუშავების პრინციპები მოითხოვს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებას მონაცემთა დამუშავებისა და მიზნების შესახებ. დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს დამატებით ინფორმაცია, რომელიც საჭიროა დამუშავების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პერსონალური მონაცემების დამუშავების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. მეტიც, მონაცემთა სუბიექტი უნდა იყოს ინფორმირებული პროფილირების და პროფილირების შედეგების შესახებ. როცა პერსონალური მონაცემების შეგროვება ხდება მონაცემთა სუბიექტისგან, მან უნდა იცოდეს, ვალდებულია თუ არა, რომ წარმოადგინოს პერსონალური მონაცემები და რა შედეგები შეიძლება მოყვეს მის მიერ მონაცემების წარდგენაზე უარის თქმას. ამ ინფორმაციას შეიძლება თან ახლდეს სტანდარტიზებული სიმბოლოები დამუშავების მიზნის თვალსაჩინოებისა და მარტივად აღქმისთვის. როცა ნიშნები არის ელექტრონულად წარმოდგენილი, მათი წაკითხვაც ელექტრონულად უნდა იყოს შესაძლებელი.

61) პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტმა უნდა მიიღოს მონაცემების მისგან შეგროვების მომენტში ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე - გონივრული პერიოდის განმავლობაში, თუ პერსონალური მონაცემების შეგროვება სხვა წყაროდან ხდება. თუ პერსონალური მონაცემები კანონიერად გადაეცემა სხვა მიმღებს, მონაცემთა სუბიექტმა უნდა მიიღოს ინფორმაცია მონაცემების პირველადი გადაცემის მომენტში. თუ დამმუშავებელი აპირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას მიზნით, რომელიც განსხვავდება შეგროვების საწყისი მიზნისგან, დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მიზნის შესახებ შემდგომი დამუშავების დაწყებამდე. თუკი რამდენიმე წყაროს არსებობის გამო

შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება პერსონალური მონაცემების წყაროს შესახებ, მან უნდა მიიღოს ზოგადი ინფორმაცია.

62) თუმცა არ არის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაწესება იმ შემთხვევებში, როცა მონაცემთა სუბიექტს უკვე აქვს ეს ინფორმაცია, პერსონალური მონაცემების აღრიცხვა ან გადაცემა კანონით არის დადგენილი ან როცა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას. კერძოდ, ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევებში, როცა დამუშავება ხდება საჯარო ინტერესით განპირობებული არქივირების მიზნებისთვის, სამეცნიერო, ისტორიული კვლევებისთვის ან სტატისტიკის საწარმოებლად. ამ დროს, უნდა გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა, მონაცემების ხანდაზმულობა და დაცვის სათანადო გარანტიის არსებობა.

63) მონაცემთა სუბიექტს უნდა ქონდეს მასთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება. მას უნდა შეეძლოს ამ უფლების მარტივად და გონივრული სიხშირით გამოყენება, რათა გაეცნოს ან შეამოწმოს დამუშავების კანონიერება. ეს წესი მოიცავს მონაცემთა სუბიექტების მიერ მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებზე წვდომის უფლებას, მაგალითად წვდომას ისეთი ინფორმაციაზე, როგორიცაა მათი სამედიცინო ჩანაწერები, მათ შორის დიაგნოზი, გამოკვლევის შედეგები, მკურნალი ექიმის შეფასებები, და ინფორმაცია ნებისმიერი მკურნალობის ან სამედიცინო ჩარევის შესახებ. მაშასადამე, მონაცემთა ყველა სუბიექტს აქვს უფლება, რომ იცოდეს და მიიღოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების, ვადისა და მიმღებების შესახებ, ასევე პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების პრინციპის და შედეგების შესახებ, სულ მცირე, პროფილირების შემთხვევებში. დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს შეძლებისდაგვარად უნდა მისცეს დაცულ სისტემაზე შორიდან წვდომის საშუალება, რაც მას საკუთარი პირადი მონაცემების წვდომის საშუალებას მისცემს. ამ უფლებით არ უნდა შეილახოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, სავაჭრო საიდუმლოებები ან ინტელექტუალური საკუთრება, კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფის დამცავი ინტელექტუალური საკუთრების უფლება. მიუხედავად ამისა, ამ ფაქტორების გათვალისწინების შედეგად დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს არ უნდა უთხრას უარი ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე. როცა დამმუშავებელი ამუშავებს მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირებული ინფორმაციის დიდ ოდენობას, დამმუშავებელს უნდა ქონდეს უფლება, რომ ინფორმაციის მიწოდებამდე მონაცემთა სუბიექტს სთხოვოს დაზუსტება, თუ კონკრეტულად რა მონაცემებზე ან დამუშავების რომელ ოპერაციაზე სურს ინფორმაციის მიღება.

64) დამმუშავებელმა უნდა გამოიყენოს გონივრული საშუალებები მონაცემთა წვდომაზე მოთხოვნის წარმდგენი მონაცემთა სუბიექტის ვინაობის დასადგენად, განსაკუთრებით ონლაინ მომსახურებასა და ონლაიან იდენტიფიკატორებთან მიმართებაში. დამმუშავებელმა არ უნდა შეინახოს პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმიტომ, რომ შეეძლოს პოტენციურ მოთხოვნებზე რეაგირება.

65) მონაცემთა სუბიექტს უნდა ქონდეს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შესწორების უფლება და ასევე „დავიწყების უფლება“, როცა ამგვარი მონაცემების შენახვა ლახავს ამ რეგულაციას ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონს, რომელიც ვრცელდება დამმუშავებელზე. კერძოდ, მონაცემთა სუბიექტს უნდა ქონდეს მისი პერსონალური ინფორმაციის წაშლის და შემდგომი დამუშავების შეწყვეტის უფლება, როცა პერსონალური მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომლის მისაღწევად მოხდა მათი თავდაპირველი შეგროვება თუ სხვაგვარი დამუშავება, როცა მონაცემთა სუბიექტი უკან მიაქვს მისი თანხმობა ან უარს ამბობს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ან როცა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება სხვაგვარად ეწინააღმდეგება ამ რეგულაციას. ეს უფლება მნიშვნელოვანია, როცა მონაცემთა სუბიექტს ბავშვობაში აქვს მიცემული თანხმობა, როცა ის სრულად არ აცნობიერებდა დამუშავებასთან დაკავშირებულ რისკებს, და მოგვიანებით მას სურს, რომ წაშალოს ამგვარი პერსონალური მონაცემები, განსაკუთრებით - ინტერნეტში. მონაცემთა სუბიექტს უნდა ქონდეს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ის აღარ არის არასრულწლოვანი. თუმცა პერსონალური მონაცემების შემდგომი შენახვა კანონიერია, როცა ის საჭიროა გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლებით სარგებლობისთვის, სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად, საჯარო ინტერესით ნაკარნახევი ამოცანის შესასრულებლად ან დამმუშავებლის ოფიციალური უფლებამოსილების აღსასრულებლად, საჯარო ინტერესის საფუძველზე ჯანდაცვის სფეროში, საჯარო ინტერესით ნაკარნახევი დაარქივების მიზნებისთვის, სამეცნიერო და ისტორიული კვლევებისა და სტატისტიკური მიზნებისთვის, ან სამართლებრივი მოთხოვნების დადგენის, სარგებლობის ან დაცვისათვის.

66) ონლაინ სივრცეში დავიწყების უფლების გასამყარებლად, მონაცემთა წაშლის უფლება იმგვარად უნდა გაფართოვდეს, რომ დამმუშავებელი, რომელმაც გამოაქვეყნა პერსონალური მონაცემები, უნდა იყოს ვალდებული, რომ ამ მონაცემების სხვა დამმუშავებლებს დაუკავშირდეს და თხოვოს მონაცემების ბმულებისა და ასლების წაშლა. ამ დროს დამმუშავებელმა უნდა იმოქმედოს გონივრულად და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ტექნოლოგია და საშუალებები, მათ შორის ტექნიკური ზომები, რათა ინფორმაცია მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაში მითითებული პერსონალური მონაცემების დამმუშავებლებს.

67) პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვის მეთოდები შეიძლება მოიცავდეს, სხვებთან ერთად, შერჩეული მონაცემების დროებით გადატანას დამუშავების სხვა სისტემაში, შერჩეულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის გაუქმებას სხვა მომხმარებლებისათვის, ან გამოქვეყნებული მონაცემების წაშლას ვებ-გვერდზე. ავტომატიზირებულ ფაილურ სისტემებში დამუშავების შეზღუდვა უნდა უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკური საშუალებებით იმგვარად, რომ არ მოხდეს პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავება და შეცვლა. სისტემაში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული, რომ პერსონალურ მონაცემების დამუშავება შეზღუდულია.

68) პერსონალური მონაცემების ავტომატურად დამუშავების შემთხვევაში, საკუთარ მონაცემებზე კონტროლის გასამყარებლად, მონაცემთა სუბიექტს უნდა შეეძლოს საკუთარი მონაცემების მიღება, რომლებიც მან დამმუშავებელს მიაწოდა სტრუქტურირებულ, ჩვეულებრივად გამოყენებულ, ელექტრონულ, პორტირებად ფორმატში. მას უნდა შეეძლოს ამ მონაცემების სხვა დამმუშავებლისთვის გადაცემაც. უნდა მოხდეს მონაცემთა დამმუშავებლების წახალისება, რათა მათ შეიმუშაონ ისეთი ფორმატები, რომლებიც მონაცემთა პორტირების საშუალებას იძლევა. ეს უფლება არსებობს იმ შემთხვევაში, როცა მონაცემთა სუბიექტი დაეთანხმება პერსონალური მონაცემების გადაცემას ან როცა დამუშავება საჭიროა კონტრაქტის შესასრულებლად. ეს უფლება არ არსებობს იმ შემთხვევაში, როცა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი არ არის თანხმობა ან კონტრაქტი. ამ უფლების ხასიათიდან გამომდინარე, მისი გამოყენება არ უნდა მოხდეს იმ დამმუშავებლების წინააღმდეგ, რომლებიც მონაცემებს ამუშავებენ საჯარო უფლებამოსილების შესრულების პროცესში. შესაბამისად ამ უფლების გამოყენება არ უნდა მოხდეს იმ შეთხვევებში, როცა დამუშავება ხდება სამართლებრივი ვალდებულებიდან გამომდინარე, რომელსაც დამმუშავებელი ექვემდებარება საჯარო ინტერესით ნაკარნახევი ამოცანის ან მასზე დაკისრებული ოფიციალური უფლებამოსილების შესრულებისას. მონაცემთა სუბიექტის უფლება, რომ გადასცეს ან მიიღოს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, არ უნდა ავალდებულებდეს დამმუშავებელს, რომ აითვისოს ან შეინარჩუნოს დამუშავების სისტემები, რომლებიც ტექნიკურად თავსებადია. როცა გარკვეული პერსონალური მონაცემები მონაცემთა ერთზე მეტი სუბიექტს ეხება, პერსონალური მონაცემების მიღების უფლება არ უნდა უგულებელყოფდეს მონაცემთა სხვა სუბიექტების უფლებებსა და თავისუფლებებს ამ რეგულაციის თანახმად. მეტიც, ეს უფლება არ გამორიცხავს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების წაშლის უფლებას და ამ რეგულაციაში მითითებულ მონაცემთა წაშლის უფლების შეზღუდვებს. კერძოდ, ეს უფლება არ უნდა გულისხმობდეს მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების წაშლას, რომლებიც მან დამმუშავებელს მიაწოდა კონტრაქტის შესასრულებლად, რა ხარისხითაც და რა ვადითაც ეს მონაცემების საჭიროა კონტრაქტის შესასრულებლად. თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უნდა ქონდეს უფლება, რომ მოითხოვოს პერსონალური მონაცემების ერთი დამმუშავებლის მიერ მეორესთვის პირდაპირ გადაცემა.

69) იმ შემთხვევებშიც კი, როცა პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია გამომდინარე იქიდან, რომ დამუშავება საჭიროა საჯარო ინტერესით განპირობებული ამოცანების შესასრულებლად ან დამმუშავებლისათვის მინიჭებული ოფიციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად, ან დამმუშავებლის ან მესამე პირის ლეგიტიმური ინტერესებთან დაკავშირებული საჭიროებებიდან გამომდინარე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, რომ მოითხოვოს მის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემების დამუშავება. დამმუშავებლის ვალდებულებაა, რომ აჩვენოს, რომ დამუშავების დამაჯერებელ ლეგიტიმურ საფუძვლებს უნდა

მიენიჭოს უპირატესობა მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და თავისუფლებებთან შედარებით.

70) როდესაც მონაცემთა დამუშავება ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამუშავების, მათ შორის პროფილირების შეწყვეტა, რამდენადაც ის დაკავშირებულია პირდაპირ მარკეტინგთან. ეს უფლება მოიცავს მონაცემთა პირველად და მეორად დამუშავებას, არ არის შეზღუდული დროით და არ მოითხოვს გადასახადის გადახდას. სუბიექტს პირდაპირ უნდა განემარტოს დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება. ამ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს გასაგებად და ნებისმიერი სხვა ინფორმაციისაგან განცალკევებულად.

71) მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, არ დაექვემდებაროს გადაწყვეტილებას, რომელიც აფასებს მის პიროვნულ მახასიათებლებს მონაცემთა მხოლოდ ავტომატურ დამუშავებაზე დაყრდნობით და წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა მნიშვნელოვან შედეგებს მისთვის, როგორიცაა უარი ონლაინ საკრედიტო განაცხადზე ან ონლაინ დაქირავებაზე, რომელშიც არ მონაწილეობს ადამიანი. ამგვარ დამუშავებას წარმოადგენს 'პროფილირებაც', რომელიც წარმოადგენს პერსონალური მონაცემების ნებისმიერ ავტომატურ დამუშავებას ფიზიკური პირის გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, ფიზიკური პირის დასაქმების ადგილზე მუშაობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, პერსონალური მიდრეკილებების, ინტერესების, სანდოობის, ქცევის, ადგილმდებარეობის ან გადაადგილების ასპექტების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს სუბიექტისათვის ან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასზე. თუმცა ამგვარ დამუშავებაზე, მათ შორის პროფილირებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა დასაშვებია, თუ ცალსახად ნებადართულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, რომელიც ვრცელდება დამმუშავებელზე, მათ შორის გაყალბებისა და გადასახედების თავიდან აცილების მონიტორინგისა და პრევენციისთვის, რომლებიც ხორციელდება ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ეროვნული ზედამხედველობის ორგანოების რეგულაციების, სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად და დამმუშავებლის სერვისების უსაფრთხოებისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად. ამგვარი პრაქტიკა ასევე დასაშვებია, თუ უცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და მონაცემთა დამმუშავებელს შორის ხელშეკრულების გასაფორმებლად ან შესასრულებლად ან ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის ცალსახა თანხმობას. ნებისმიერ შემთხვევაში, ამგვარ დამუშავებაზე უნდა ვრცელდებოდეს სათანადო გარანტიები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას და სუბიექტის უფლებას მოითხოვოს ადამიანის ჩარევა, ასევე აზრის გამოხატვისა და ამგვარ შეფასებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებაზე განმარტების მიღების და გასაჩივრების უფლებებს. ეს ზომა არ უნდა ეხებოდეს არასრულწლოვანს.

მონაცემთა სამართლიანი და გამჭვირვალე დამუშავების უზრუნველსაყოფად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონკრეტული გარემოებებისა და

კონტექსტის გათვალისწინებით, დამმუშავებელმა უნდა გამოიყენოს პროფილირებისათვის საჭირო მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები, და განახორციელოს ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები პერსონალურ მონაცემებში უზუსტობების გამოსარიცხად და შეცდომის დაშვების რისკების შესამცირებლად, პერსონალური მონაცემების იმგვარად დასაცავად, რომ გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის ინტერესებისა და უფლებების დამაზიანებელი პოტენციური რისკები, და არ დაუშვას ფიზიკური პირების დისკრიმინაცია რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის, პროფესიული კავშირის წევრობის, გენეტიკური ან ჯანმრთელობის სტატუსის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, ან დისკრიმინაციული შედეგის მქონე ღონისძიებები. გადაწყვეტილებების ავტომატური მიღება და პროფილირება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების საფუძველზე უნდა იყოს ნებადართული მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში.

72) პროფილირება ექვემდებარე ამ რეგულაციის ნორმებს, რომლებიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორიცაა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები ან მონაცემთა დამუშავების პრინციპები. ამ რეგულაციით დაფუძნებულ მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოს ('საბჭო') უნდა შეეძლოს მითითებების მიცემა ამ კონტექსტში.

73) შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის მიღების, წვდომის, პერსონალური მონაცემების შესწორების ან წაშლის კონკრეტულ პრინციპებსა და უფლებებს, ასევე მონაცემთა პორტირების მოთხოვნის და დამუშავებაზე უარის თქმის უფლებებს, აგრეთვე პროფილირების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდებას პერსონალური მონაცემების დარღვევის შესახებ და დამმუშავებლის შესაბამის ვალდებულებებს, შეიძლება განისაზღვროს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, რამდენადაც ეს დემოკრატიულ საზოგადოებაში არის აუცილებელი და პროპორციული ზომა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, მათ შორის ადამიანის სიცოცხლის დასაცავად, განსაკუთრებით სტიქიურ ან ადამიანის მოქმედებით გამოწვეულ კატასტროფებთან გასამკლავებლად, სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციის, გამოძიების და დევნისთვის ან სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებისთვის, მათ შორის საჯარო წესრიგის საფრთხეებისგან დაცვისა და პრევენციისთვის, ან რეგულირებული პროფესიების ეთიკური სტანდარტების დარღვევის პრევენციისთვის. შეზღუდვები ასევე შეიძლება განისაზღვროს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს საჯარო ინტერესით ნაკარნახევი სხვა მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად, კერძოდ, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს ეკონომიკური ან ფინანსური ინტერესის გამო, საჯარო რეესტრების საწარმოებლად საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, დაარქივებული პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავებისთვის კონკრეტული ინფორმაციის მისაწოდებლად, რომელიც ეხება პოლიტიკურ მოღვაწეობას ყოფილი ტოტალიტარული სახელმწიფო რეჟიმების დროს ან მონაცემთა სუბიექტის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათ

შორის სოციალურ დაცვას, საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და ჰუმანიტარულ მიზნებს. ეს შეზღუდვები უნდა შეესაბამებოდეს ევროპის ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციისა და ქარტიის მოთხოვნებს.

74) უნდა განისაზღვროს დამმუშავებლის ვალდებულება და პასუხისმგებლობა პერსონალური მონაცემების ნებისმიერი დამუშავებისას, რომელსაც ახორციელებს დამმუშავებელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. კერძოდ, დამმუშავებელი უნდა იყოს ვალდებული, რომ განახორციელოს სათანადო და ეფექტური ღონისძიებები. მას უნდა შეეძლოს ამ რეგულაციასთან დამუშავების ოპერაციების შესაბამისობის დემონსტრირება, მათ შორის, განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტურობის ჩვენება. ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს დამუშავების ხასიათს, მოცულობას, კონტექსტს და მიზნებს და ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რისკებს.

75) ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის რისკი, განსხვავებული ალბათობითა და სიმწვავით, შეიძლება გამოწვეული იყოს პერსონალური მონაცემების დამუშავებით, რომელსაც შედეგად შეიძლება მოყვეს ფიზიკური, მატერიალური ან არამატერიალური ზიანი, კერძოდ: როცა დამუშავებას შეიძლება მოყვეს დისკრიმინაცია, პირადობის მოპარვა ან გაყალბება, ფინანსური დანაკარგი, რეპუტაციის შელახვა, პროფესიული საიდუმლოებით დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაკარგვა, ფსევდონიმიზაციით დაცული ინფორმაციის არაუფლებამოსილი გამჟღავნება, ან სხვა სახის ეკონომიკური ან სოციალური პრობლემა; როცა მონაცემთა სუბიექტებმა შეიძლება დაკარგონ უფლებები და თავისუფლებები ან როცა შეიძლება შეეზღუდოთ პერსონალური მონაცემების გაკონტროლების საშუალება; ან როცა მუშავდება იმგვარი პერსონალური მონაცემები, რომლებიც ამჟღავნებს პირის რასობრივ ან ეთნიკური წარმომავლობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ ან ფილოსოფიური მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ასევე გენეტიკური მონაცემებსა და ჯანმრთელობასთან, სექსუალურ ცხოვრებასთან ან სისხლის სამართლის ნასამართლობასა და სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ მონაცემები ან შესაბამისი უსაფრთხოების ზომები; როცა ხდება პერსონალური მახასიათებლების შეფასება, კერძოდ, პერსონალური პროფილების შექმნა ფიზიკური პირის დასაქმების ადგილას მუშაობის, ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, პერსონალური მიდრეკილებების, ინტერესების, სანდოობის, ქცევის, ადგილმდებარეობის ან გადაადგილების ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე; როცა მუშავდება მოწყვლადი ფიზიკური პირების, კერძოდ, არასრულწლოვნების, პერსონალური მონაცემები; ან როცა მუშავდება დიდი რაოდენობის პერსონალური მონაცემები, რაც მონაცემთა სუბიექტების დიდ რაოდენობაზე ახდენს გავლენას.

76) მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის რისკის ალბათობა და სიმწვავე უნდა შეფასდეს დამუშავების ხასიათის, მოცულობის, კონტექსტის და მიზნების გათვალისწინებით. რისკი უნდა შეფასდეს ობიექტური შეფასების საფუძველზე, რომლითაც უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად დიდია მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები.

77) სახელმძღვანელო მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღოს დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა სათანადო ზომები და დაადასტუროს რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა, შეიძლება ჩამოყალიბდეს ქცევის კოდექსების, სერტიფიცირების პროცესის, საბჭოს ინსტრუქციების ან მონაცემთა დაცვის ოფიცრის მითითებების სახით, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება დამუშავებასთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირებას, მისი წარმომავლობის, ხასიათის, ალბათობის ან სიმწვავის შეფასებას და რისკის შემცირების საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას. საბჭომ ასევე შეიძლება შეიმუშავოს ინსტრუქციები დამუშავების ოპერაციების შესახებ, რომელთაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოჰყვეს ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა და მიუთითოს, თუ რა ზომები იქნება საკმარისი აღნიშნული რისკების შესამცირებლად.

78) ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მოითხოვს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარებას ამ რეგულაციის მოთხოვნების შესასრულებლად. ამ რეგულაციასთან შესაბამისობის დასადასტურებლად მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა შეიმუშაოს შიდა პოლიტიკა და გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება რეგულაციის პრინციპებს, კერძოდ, მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში („Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“). აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს მონაცემთა დამუშავების მინიმუმამდე დაყვანას, პერსონალური მონაცემების ფსევდონიმიზაციას შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობას, მონაცემთა სუბიექტის შესაძლებლობას აკონტროლოს მისი მონაცემების დამუშავება, მონაცემთა დამმუშავებლის შესაძლებლობას, შექმნას და გააუმჯობესოს უსაფრთხოების პარამეტრები. იმ აპლიკაციების, მომსახურებისა და პროდუქტების შექმნის, შერჩევისა და გამოყენების პროცესში, რომლებიც მოიცავს/ეფუძნება პერსონალური მონაცემების დამუშავებას ან საჭიროებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ამოცანების შესასრულებლად, უნდა მოხდეს ამ პროდუქტების, სერვისების და აპლიკაციების შემქმნელების წახალისება, რათა მათ, არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, გაითვალისწინონ მონაცემთა დაცვის უფლება პროდუქტების, სერვისების და აპლიკაციების შემუშავებისა და შექმნის ეტაპზე, რათა დამმუშავებლებმა და უფლებამოსილმა პირებმა შეძლონ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში („Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“) პრინციპები გათვალისწინებული უნდა იქნეს საჯარო ტენდერების კონტექსტშიც.

79) მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობა და ვალდებულებები, მათ შორის, საზედამხედველო ორგანოების მონიტორინგთან და ღონისძიებებთან მიმართებაში, მოითხოვს ვალდებულებების ცალსახა განაწილებას

ამ რეგულაციის თანახმად, მათ შორის როცა დამმუშავებელი დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს განსაზღვრავს სხვა დამმუშავებლებთან ერთად ან როცა დამუშავება ხდება დამმუშავებლის სახელით.

80) ევროკავშირის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი, რომლის მიერ მონაცემების დამუშავება უკავშირდება ევროკავშირში მყოფი მონაცემთა სუბიექტებისათვის პროდუქციის ან მომსახურების შეთავაზებას, მიუხედავად იმისა ანაზღაურების სანაცვლოდაა თუ მის გარეშე, ან ამავე ტერიტორიაზე მონაცემთა სუბიექტების ქცევის მონიტორინგს, ვალდებულია, დანიშნოს წარმომადგენელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამუშავება არ არის რეგულარული, არ საჭიროებს დიდი მოცულობით განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებას ან ნასამართლობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ნაკლებად სავარაუდოა, რომ საფრთხეს შეუქმნის ფიზიკურ პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, დამუშავების ხასიათის, კონტექსტის, მოცულობის და მიზნების გათვალისწინებით, ან როცა დამმუშავებელი სახელმწიფო უწყება ან ორგანოა. წარმომადგენელი უნდა იყოს აღჭურვილი დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წერილობით მანდატით, რომელიც მას აძლევს მათი სახელით მოქმედების უფლებას ამ რეგულაციით განსაზღვრულ ვალდებულებებთან მიმართებაში. წარმომადგენლის დანიშვნა არ აისახება დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ამ რეგულაციის თანახმად არსებულ ვალდებულებებსა ან პასუხისმგებლობაზე. ამგვარმა წარმომადგენელმა უნდა იმოქმედოს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირისგან მინიჭებული მანდატის შესაბამისად, მათ შორის ამ რეგულაციის შესასრულებლად საჭირო მოქმედებებთან დაკავშირებული თანამშრომლობის დროს კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოებთან. დანიშნული წარმომადგენელი უნდა დაექვემდებაროს აღსრულების პროცედურას დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

81) როდესაც მონაცემთა დამუშავება ხორციელდება უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამმუშავებლის სახელით, რეგულაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა ითანამშრომლოს მხოლოდ იმ უფლებამოსილ პირებთან, რომელებიც უზრუნველყოფენ სათანადო გარანტიებს, კერძოდ, გარანტიებს, რომლებიც უკავშირდება ექპერტიზას, სანდოობას და ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარებისათვის აუცილებელ რესურსებს რეგულაციის მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, დამუშავების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. უფლებამოსილი პირის მიერ დამმუშავებლის ვალდებულებების შესრულების დადასტურების ერთ-ერთი ელემენტი შესაძლებელია იყოს დამტკიცებული ქცევის კოდექსის შესრულება მის მიერ ან დამტკიცებული სერტიფიცირების მექანიზმი. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავების პროცესი უნდა დარეგულირდეს ხელშეკრულებით ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით დადგენილი სხვა სამართლებრივი დოკუმენტით, რომელიც უფლებამოსილ პირს დააკისრებს ვალდებულებებს მონაცემთა დამმუშავებლის

წინაშე და განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საგანს და ხანგრძლივობას, დამუშავების ხასიათსა და მიზანს, მონაცემთა ტიპებსა და მონაცემთა სუბიექტების კატეგორიებს, მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებებსა და უფლებებს, მონაცემთა დამუშავების რისკებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით. დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა შეიძლება აირჩიონ ინდივიდუალური ხელშეკრულება ან სტანდარტული ხელშეკრულების მუხლები, რომლებიც მიღებულია უშუალოდ კომისიის მიერ ან მიღებულია საზედამხედველო ორგანოს მიერ და შემდეგ დამტკიცებულია კომისიის მიერ შესაბამისობის მექანიზმის გამოყენებით. დამმუშავებლის სახელით მონაცემების დამუშავების შემდეგ უფლებამოსილმა პირმა, დამმუშავებლის გადაწყვეტილებით, უნდა დააბრუნოს ან წაშალოს პერსონალური მონაცემები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონი, რომელიც ვრცელდება სუბიექტზე, მოითხოვს პერსონალური მონაცემების შენახვას.

82) ამ რეგულაციით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიზნით, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღრიცხოს დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც მისი პასუხისმგებლობის სფეროშია. თითოეული დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებულია, რომ ითანამშრომლოს საზედამხედველო ორგანოსთან, აღრიცხოს და მოთხოვნის შემთხვევაში, მიწოდოს მონაცემები დამუშავების ოპერაციების მონიტორინგის მიზნებისათვის.

83) უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და ამ რეგულაციის დარღვევით განხორციელებული დამუშავების თავიდან ასაცილებლად, დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა შეაფასოს დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები და მიიღოს ზომები ამ რისკების აღმოსაფხვრელად, როგორიცაა, მაგალითად, დაშიფვრა. ამ ზომებმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების სათანადო დონე, მათ შორის კონფიდენციალობა, გაითვალისწინოს არსებული მდგომარეობა და გასატარებელი ღონისძიებების ხარჯები რისკებთან და დასაცავი პერსონალური მონაცემების ხასიათთან მიმართებაში. მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების ხარისხის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამუშავებით გამოწვეული რისკები, როგორიცაა შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა, შეცვლა, უნებართვო გავრცელება ან წვდომა გადაცემულ, შენახულ ან სხვაგვარად დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური, მატერიალური ან არამატერიალური ზიანი.

84) ამ რეგულაციასთან შესაბამისობისთვის, იმ შემთხვევებში, როდესაც სავარაუდოა, რომ კონკრეტული ტიპის დამუშავება გამოიწვევს ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მაღალ რისკს, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, რომ შეაფასოს მონაცემთა დაცვის რისკები. მან უნდა შეაფასოს რისკის წარმომავლობა, ხასიათი, თავისებურება, და სიმწვავე. შეფასების შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნას იმ ზომების განსაზღვრისას, რომლებიც დამმუშავებელმა უნდა მიიღოს პერსონალური მონაცემების დამუშავების ამ

რეგულაციასთან შესაბამისობის დადასტურებისთვის. თუ მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება აჩვენებს, რომ დამუშავების ოპერაციებს თან ახლავს მაღალი რისკი, რომლის აღმოფხვრაც დამმუშავებელს არ შეუძლია შესაბამისი ზომების გამოყენებით, არსებული ტექნოლოგიის ან განხორციელების დანახარჯების გათვალისწინებით, მან დამუშავების დაწყებამდე უნდა გაიაროს წინასწარი კონსულტაცია საზედამხედველო ორგანოსთან.

85) პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევამ, სათანადო და დროული რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, ფიზიკური პირებს შესაძლოა მიაყენოს ფიზიკური, მატერიალური ან არამატერიალური ზიანი, როგორიცაა პერსონალურ მონაცემებზე კონტროლის დაკარგვა ან უფლებების შელახვა, პერსონალური მონაცემების მითვისება (identity theft) ან გაყალბება, ფსევდონიმიზაციის უნებართვო/არაავტორიზებული გაუქმება, რეპუტაციის შელახვა, პროფესიული საიდუმლოებით დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დარღვევა, ან ფიზიკური პირისთვის მიყენებული სხვა ეკონომიკური ან სოციალური ზიანი. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობისთანავე, მონაცემთა დამმუშავებელმა დაუყოვნებლივ და შესაძლებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 72 საათისა, აღნიშნულის თაობაზე უნდა აცნობოს საზედამხედველო ორგანოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანგარიშვალდებულების პრინციპის თანახმად, დამმუშავებელს შეუძლია დაადასტუროს, რომ ნაკლებად სავარაუდოა დარღვევის შედეგად ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის რისკის წარმოქმნა. თუ შეტყობინება ვერ ხორციელდება 72 საათის განმავლობაში, დაგვიანებულ შეტყობინებას თან უნდა ახლდეს შეყოვნების მიზეზების განმარტება და ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად შემდგომი დაყოვნების გარეშე.

86) თუ მოსალოდნელია, რომ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევა გამოიწვევს ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალ რისკს, დამმუშავებელი ვალდებულია, დაუყოვნებელიც შეატყობინოს ამის თაობაზე მონაცემთა სუბიექტს, რათა მან მიიღოს შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები. მიწოდებული ინფორმაცია გასაგები და მარტივი ენით უნდა აღწერდეს დარღვევის ხასიათს და ფიზიკურ პირს აძლევდეს რეკომენდაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება აიცილოს თავიდან შესაძლო უარყოფითი შედეგი. მონაცემთა სუბიექტთან ამგვარი დაკავშირება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის გზით, საზედამხედველო ორგანოს ან სხვა შესაბამისი უწყების, მაგალითად, სამართალდამცავი უწყებების მითითებების გათვალისწინებით. მაგალითად, უშუალო რისკის აღმოფხვრისთვის საჭიროა მონაცემთა სუბიექტთან სწრაფი კომუნიკაცია, ხოლო უსაფრთხოების მსგავსი დარღვევის გაგრძელების ან განმეორების თავიდან ასაცილებლად გასატარებელი ზომების შესახებ შეტყობინება შეიძლება მოითხოვდეს მეტ დროს.

87) უნდა განისაზღვროს, იყო თუ არა გატარებული ყველა სათანადო ტექნოლოგიური საშუალებით დაცვის და ორგანიზაციული ზომა პერსონალური მონაცემების

უსაფრთხოების დარღვევის დაუყოვნებლივ დასადგენად და საზედამხედველო ორგანოსა და მონაცემთა სუბიექტისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებისათვის. მოხდა თუ არა შეტყობინება დაუყოვნებლივ, უნდა დადგინდეს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის, ასევე დარღვევის შედეგებისა და მონაცემთა სუბიექტზე უარყოფითი ზეგავლენის გათვალისწინებით. ამგვარ შეტყობინებას შეიძლება მოყვეს საზედამხედველო უწყების ჩარევა რეგულაციით დადგენილი ამოცანებისა და უფლებამოსილების გათვალისწინებით.

88) პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინების ფორმატისა და პროცედურის დეტალური წესების განსაზღვრისას, განსაკუთრებით უნდა იქნას გათვალისწინებული მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის გარემოებები, ეფექტიანად იყო თუ არა შეზღუდული პერსონალურ მონაცემთა გამოყენებით თაღლითობის ალბათობა და მონაცემთა ბოროტად გამოყენების სხვა ფორმები. ამასთან, აღნიშნული წესები და პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს სამართალდამცავი უწყებების კანონიერ ინტერესებს როდესაც ნაადრევად გამჟღავნებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის გარემოებების გამოძიებას.

89) 95/46/EC დირექტივა ადგენდა საზედამხედველო ორგანოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმირების ზოგად ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვალდებულების შესრულებას თან ახლდა ადმინისტრაციული და ფინანსური ხარჯები, ის ყოველთვის არ უწყობდა ხელს პერსონალური მონაცემების დაცვის გაუმჯობესებას. ამდენად, უნდა გაუქმდეს შეტყობინების ზოგადი ვალდებულება და შეიცვალოს უფრო ეფექტიანი პროცედურებითა და მექანიზმებით, რომლებიც მიმართულია დამუშავების იმგვარ ოპერაციებზე, რომლებმაც მათი ხასიათის, მოცულობის, კონტექსტისა და მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება გამოიწვიონ ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი რისკი. ამგვარ დამუშავებას მიეკუთვნება დამუშავება ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით, ახალი ტიპის დამუშავება, რომლის მიმართაც არ განხორციელებულა რისკების შეფასება, ან რომლის დაწყებიდანაც დიდი დროა გასული.

90) მსგავს შემთხვევებში დამმუშავებელმა დამუშავების დაწყებამდე უნდა შეაფასოს მაღალი რისკების ალბათობის ალბათობა დამუშავების ხასიათის, მასშტაბის, მიზნების და რისკის წყაროების გათვალისწინებით. რისკების შეფასება უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს, დაცვის გარანტიებს და მექანიზმებს რისკის შესამსუბუქებლად, პერსონალური მონაცემების დასაცავად და რეგულაციის შესრულების უზრუნველსაყოფად.

91) აღნიშნული განსაკუთრებით ვრცელდება მონაცემთა ფართომასშტაბიან დამუშავებაზე, როდესაც მუშავდება დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემები რეგიონულ, ეროვნულ თუ სუპრანაციონალურ დონეზე და რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მონაცემთა სუბიექტების დიდ რაოდენობაზე, სავარაუდოა, რომ წარმოქმნის რისკებს, მაგალითად, მათი განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, როდესაც ტექნოლოგიურ

ცოდნასთან ერთად ფართოდ გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები, აგრეთვე, როდესაც დამუშავება წარმოქმნის მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის რისკს, კერძოდ, აღნიშნული დამუშავება მონაცემთა სუბიექტებისათვის ართულებს უფლებების რეალიზებას. მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება უნდა გაკეთდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება კონკრეტული ფიზიკური პირის შესახებ პროფილირების საფუძველზე, მისი პიროვნული მახასიათებლების სისტემატური და ფართომასშტაბიანი შეფასების გზით, ან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, ბიომეტრული მონაცემების ან ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მის მიმართ გამოყენებული უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ მონაცემების დამუშავების შედეგად. მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება ასევე აუცილებელია საჯაროდ ხელმისაწვდომი სივრცეების ფართომასშტაბიანი მონიტორინგისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ გამოიყენება ოპტიკურ-ელექტრონული მოწყობილობები ან სხვა ქმედებებისათვის, როდესაც უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანო მიიჩნევს, რომ დამუშავება გამოიწვევს მონაცემთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის რისკებს, კერძოდ, აღნიშნული ქმედებები ხელს შეუშლის მონაცემთა სუბიექტებს თავიანთი უფლებების რეალიზებაში, კონკრეტული მომსახურებით ან ხელშეკრულებით სარგებლობაში, ან იმის გამო, რომ აღნიშნული ქმედებები ხორციელდება სისტემატურად ფართო მასშტაბით. ფართომასშტაბიან დამუშავებას არ წარმოადგენს ცალკეული ექიმების, ჯანდაცვის სფეროს სხვა თანამშრომლების ან ადვოკატების მიერ პაციენტების ან კლიენტების მონაცემების დამუშავება.

92) რიგ შემთხვევებში შესაძლებელია უფრო გონივრული და ეკონომიური იყოს მონაცემთა დაცვის რისკების უფრო ფართო შეფასება და არა შეფასების ცალკეული პროექტი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო უწყებები აპირებენ საერთო აპლიკაციის ან დამუშავების პლატფორმის გამოყენებას, ან როდესაც რამდენიმე დამმუშავებელი გეგმავს ერთიანი აპლიკაციის და დამუშავების გარემოს გამოყენებას ინდუსტრიის კონკრეტულ სექტორსა ან სეგმენტში ან ფართოდ გამოყენებული ჰორიზონტალური საქმიანობისათვის.

93) წევრმა სახელმწიფომ შესაძლებელია საჭიროდ მიიჩნიოს ამგვარი შეფასების განხორციელება დამუშავების დაწყებამდე, როდესაც ხდება წევრი სახელმწიფოს კანონის მიღება, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებებისა და ორგანოების საქმიანობას და არეგულირებს დამუშავების კონკრეტულ ოპერაციას ან ოპერაციათა ერთობლიობას.

94) იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა დაცვის რისკების შეფასების შედეგად გამოვლინდება, რომ დაცვის გარანტიების, უსაფრთხოების ზომების და რისკის აღმოსაფხვრელი მექანიზმებს არარსებობის შემთხვევაში დამუშავებამ შეიძლება წარმოშვას ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი რისკი, და დამმუშავებელი მიაჩნევს, რომ ამ რისკის აღმოფხვრა შეუძლებელია გონივრული საშუალებებით, მათ შორის, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებისა და აღნიშნული ზომების გატარების ხარჯების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელმა დამუშავების დაწყებამდე უნდა გაიაროს კონსულტაცია

საზედამხედველო ორგანოსთან. ამგვარი მაღალი რისკი შეიძლება გამოწვეული იყოს გარკვეული ტიპის დამუშავებით და დამუშავების ხარისხითა და სიხშირით, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ზიანი ან ფიზიკური პირის უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა. საზედამხედველო ორგანომ კონსულტაციის შესახებ მიმართვას უნდა უპასუხოს განსაზღვრულ ვადაში. თუმცა საზედამხედველო ორგანოს მხრიდან რეაგირების არარსებობა მითითებულ დროში არ გამორიცხავს მის ჩარევას ამ რეგულაციით განსაზღვრული ფუნქციებისა და უფლებამოსილების ფარგლებში, მათ შორის არ გამორიცხავს დამუშავების დაბლოკვას. საკონსულტაციო პროცესის ფარგლებში მონაცემთა დაცვის რისკების შეფასების შედეგები მითითებულ დამუშავებასთან დაკავშირებით შესაძლოა გადაეცეს საზედამხედველო ორგანოს, კერძოდ, ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შემლახავი რისკის აღმოფხვრას.

95) საჭიროების ან მოთხოვნის შემთხვევაში დამმუშავებელი უნდა დაეხმაროს უფლებამოსილ პირს იმ ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც გამომდინარეობს მონაცემთა დაცვის რისკების შეფასების ვალდებულების და საზედამხედველო უწყებასთან წინასწარ კონსულტაციის პირობებიდან.

96) საზედამხედველო უწყებასთან კონსულტაციის გავლა აუცილებელია პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ღონისძიების მომზადების პროცესში. კონსულტაციის მიზანია დაგეგმილი დამუშავების რეგულაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, კერძოდ, მონაცემთა სუბიექტთან დაკავშირებული რისკის აღმოფხვრა.

97) იმ შემთხვევებში, როდესაც მონაცემებს ამუშავებს სახელმწიფო უწყება, გარდა სასამართლოებისა ან დამოუკიდებელი სასამართლო უწყებებისა სასამართლო საქმისწარმოების ფარგლებში, ასევე, კერძო სექტორში მონაცემებს ამუშავებს დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი, რომლის საქმიანობის მთავარი ნაწილი მოიცავს დამუშავებას, რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს ფართო მასშტაბით მონაცემთა სუბიექტების რეგულარულ და სისტემატურ მონიტორინგს, ან როდესაც მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის საქმიანობის მთავარი ნაწილი მოიცავს დიდი მოცულობით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების ან ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა ისარგებლოს იმ პირის დახმარებით, რომელსაც გააჩნია მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ექსპერტიზა და დაეხმარება რეგულაციასთან შესაბამისობის შიდა მონიტორინგის განხორციელებაში. კერძო სექტორში დამმუშავებლის ძირითადი საქმიანობა უკავშირდება მის პირველად საქმიანობას და არ უკავშირდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, როგორც დამხმარე საქმიანობას. ექსპერტიზის დონე უნდა განისაზღვროს მონაცემთა განხორციელებული დამუშავებიდან გამომდინარე და დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით. მონაცემთა დაცვის ოფიცრებს, მიუხედავად იმისა, არიან თუ

არა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის თანამშრომლები,. უნდა შეეძლოთ თავიანთი ამოცანებისა და ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულება.

98) ასოციაციებმა ან სხვა უწყებებმა, რომლებიც წარმოადგენენ დამმუშავებლების ან უფლებამოსილი პირების გარკვეულ კატეგორიებს, უნდა შექმნან ქცევის კოდექსები რეგულაციის ფარგლებში მისი ეფექტიანად დანერგვის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა სექტორისთვის დაახასიათებული დამუშავების თავისებურებებისა და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის საჭიროებების გათვალისწინებით. კერძოდ, ქცევის ამგვარმა კოდექსებმა უნდა განსაზღვრონ დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების ვალდებულებები და გაითვალისწინოს რისკი, რომელიც დამუშავების შედეგად შეიძლება შეექმნას ფიზიკურ პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

99) ქცევის კოდექსის შემუშავების, შესწორების ან განვრცობის შემთხვევაში ასოციაციებმა ან სხვა უწყებებმა, რომლებიც დამმუშავებელთა ან უფლებამოსილ პირთა კატეგორიებს წარმოადგენენ, უნდა გაიარონ კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის შესაძლებლობის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტებთან, და გაითვალისწინონ ამ კონსულტაციების შედეგად წარმოდგენილი მოსაზრებები.

100) გამჭვირვალობის გასაზრდელად და რეგულაციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, უნდა წახალისებულ იქნეს სერტიფიცირების მექანიზმების დანერგვა და მონაცემთა დაცვის ბეჭდებისა და ნიშნების გამოყენება, რომლებიც მონაცემთა სუბიექტებს შესაბამის პროდუქტებსა და სერვისებთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის დონის სწრაფად შეფასების საშუალებას აძლევს.

101) პერსონალური მონაცემების მიმოცვლა ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აუცილებელია საერთაშორისო ვაჭრობისა და თანამშრომლობისათვის. მონაცემთა ამგვარი მიმოცვლის ზრდამ წარმოშვა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევები და საკითხები. თუმცა, როდესაც პერსონალური მონაცემები ევროკავშირიდან გადაეცემა მესამე ქვეყნებში მყოფ დამმუშავებლებს, უფლებამოსილ პირებს თუ სხვა მიმღებს მესამე ქვეყნებსა ან საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროკავშირის მასშტაბით ამ რეგულაციით დადგენილი ფიზიკურ პირთა დაცვის სათანადო დონე უნდა იქნას შენარჩუნებული, მათ შორის, როდესაც ხდება მონაცემთა შემდგომი გადაცემა იმავე ან სხვა მესამე სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციაში. ნებისმიერ შემთხვევაში, მესამე ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის მონაცემების გადაცემა უნდა განხორციელდეს ამ რეგულაციასთან სრული შესაბამისობით. თუ დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი მოქმედებს ამ რეგულაციის იმ დებულებებთან შესაბამისობაში, რომლებიც ეხება პერსონალური მონაცემების გადაცემას მესამე ქვეყნებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, და ამავდროულად ითვალისწინებს რეგულაციის სხვა დებულებებს.

102) რეგულაცია არ ეწინააღმდეგება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების მოქმედებას, რომლებიც დადებულია ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის და არეგულირებს პერსონალური მონაცემების გადაცემას, მათ შორის დაცვის

სათანადო გარანტიების არსებობას მონაცემთა სუბიექტებისთვის. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს მესამე ქვეყნების ან საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის პერსონალური მონაცემების გადაცემას, რამდენადაც აღნიშნული ხელშეკრულებები არ ახდენენ გავლენას რეგულაციაზე ან ევროკავშირის კანონმდებლობის რომელიმე სხვა დებულებაზე და ითვალისწინებენ მონაცემთა სუბიექტების ფუნდამენტური უფლებების დაცვის სათანადო დონეს.

103) კომისიამ შეიძლება მიიღოს ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მესამე ქვეყანა, ტერიტორია ან რომელიმე კონკრეტული სექტორი ამ მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამის დონეს. ამგვარად კომისია განსაზღვრავს ევროკავშირის მასშტაბით განსაზღვრულ და ერთგვაროვან სამართლებრივ სისტემას იმ მესამე ქვეყანასა თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელთაც, მიიჩნევა, რომ გააჩნიათ დაცვის ამგვარი დონე. აღნიშნულ შემთხვევებში, მონაცემთა მესამე ქვეყნისა ან საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს სხვა დამატებითი ნებართვის გარეშე. ასევე, კომისია უფლებამოსილია გააუქმოს ამგვარი გადაწყვეტილება შესაბამისი შეტყობინებისა და მიზეზების სათანადო განმარტების შემდგომ.

104) ფუნდამენტური ღირებულებების, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპის შესაბამისად, რომელსაც ეფუძნება ევროკავშირი, კომისიამ მესამე ქვეყნის, მისი ტერიტორიის ან მესამე ქვეყანაში კონკრეტული სექტორის შეფასებისას, უნდა გაითვალისწინოს, მესამე ქვეყენაში კანონის უზენაესობის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების საერთაშორისო ნორმებს და სტანდარტების არსებული დონე, ასევე ზოგადი კანონმდებლობა და სექტორული რეგულაციები, მათ შორის, კანონმდებლობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების, თავდაცვის და ეროვნული უსაფრთხოების, ასევე საზოგადოებრივი წესრიგისა და სისხლის სამართალთან დაკავშირებით. შესაბამისობის გადაწყვეტილება მესამე ქვეყნის ტერიტორიის ან კონკრეტული სექტორის შესახებ უნდა ითვალისწინებდეს მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს, როგორიცაა დამუშავების კონკრეტული ტიპები და შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტებისა და კანონმდებლობის მოქმედების სფერო მესამე ქვეყნაში. მესამე ქვეყანამ უნდა წარმოადგინოს დაცვის სათანადო გარანტიები, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირში არსებულ მონაცემთა დაცვის დონეს, კერძოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ სექტორში. კერძოდ, მესამე ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის ეფექტიანი და დამოუკიდებელი ზედამხედველობის არსებობა და წევრი სახელმწიფოების მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობის მექანიზმების არსებობა, მონაცემთა სუბიექტები კი სარგებლობენ ეფექტიანი და აღსრულებადი უფლებებით, ასევე ეფექტიანი ადმინისტრაციული და სასამართლოსათვის მიმართვის ეფექტური უფლებით.

105) გარდა მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა, კომისიამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის ვალდებულებები, რომლებიც თან ახლავს მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ მრავალმხრივ ან რეგიონალურ სისტემებში, ასევე ამგვარი ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნას, არის თუ არა მესამე ქვეყანა ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის ხელმომწერი. კომისიამ უნდა გაიაროს კონსულტაცია საბჭოსთან მესამე ქვეყნებსა ან საერთაშორისო ორგანიზაციებში დაცვის დონის შეფასებისას.

106) კომისიამ უნდა განახორციელოს მესამე ქვეყანაში, მის ტერიტორიაზე ან მესამე ქვეყანაში კონკრეტულ სექტორში მონაცემთა დაცვის შესახებ მიღებული იმ გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგი, რომლებიც მიღებულია დირექტივა 95/46/EC-ის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე. შესაბამისობის გადაწყვეტილებებში კომისიამ უნდა განსაზღვროს გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდული გადახედვის მექანიზმი. პერიოდული გადახედვა უნდა განხორციელდეს მესამე ქვეყანასთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან კონსულტაციის შედეგად და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქვეყანაში და საერთაშორისო ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენები. მონიტორინგისა და პერიოდული განხილვების მიზნებიდან გამომდინარე, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ევროპარლამენტისა და საბჭოს და სხვა სათანადო უწყებებისა და წყაროების დასკვნები. კომისიამ გონივრულ ვადაში უნდა შეაფასოს ამ გადაწყვეტილებების მოქმედება და შესაბამისი დასკვნები მიაწოდოს კომიტეტს ევროპარლამენტის და საბჭოს (EU) No 182/2011[12] რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც ეს დაწესებულია წინამდებარე რეგულაციით, და ასევე ევროპარლამენტსა და საბჭოს.

107) კომისიამ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მესამე ქვეყანა, მისი ტერიტორიის ნაწილი ან მესამე ქვეყანაში კონკრეტული სექტორი ან საერთაშორისო ორგანიზაცია აღარ აკმაყოფილებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამის სტანდარტს. შესაბამისად, უნდა შეჩერდეს პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ამ მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, სანამ არ შესრულდება რეგულაციით განსაზღვრული პირობები მონაცემთა გადაცემისას აუცილებელი უსაფრთხოების გარანტიების შესახებ, მათ შორის, სავალდებულო კორპორაციული წესები და გამონაკლისები კონკრეტული შემთხვევებში. ასეთ შემთხვევებში, უნდა არსებობდეს პირობები კონსულტაციების შესახებ კომისიასა და ამგვარ მესამე სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის. კომისიამ დროულად უნდა

[12]ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 16 თებერვლის რეგულაცია (EU) No 12/2011, რომელიც ადგენს წესებს და ზოგად პრინციპებს წევრი სახელმწიფოების მიერ კომისიის აღმასრულებელი უფლებამოსილების განხორციელების კონტროლის მექანიზმისთვის.

შეატყობინოს მესამე ქვეყენას ან საერთაშორისო ორგანიზაციას მიზეზები და დაიწყოს კონსულტაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

108) შესაბამისობის გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს დაცვის სათანადო გარანტიები შეიძლება მოიცავდეს სავალდებულო კორპორაციულ წესებს, კომისიის მიერ მიღებულ მონაცემთა დაცვის სტანდარტულ პირობებს, საზედამხედველო უწყების მიერ მიღებულ მონაცემთა დაცვის სტანდარტულ პირობებს ან საზედამხედველო უწყების მიერ დამტკიცებულ სახელშეკრულებო პირობებს. დაცვის გარანტიების მეშვეობით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისობა ევროკავშირში არსებულ მონაცემთა დაცვის მოთხოვნებთან და მონაცემთა სუბიექტების მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ უფლებებთან, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზების შესაძლებლობა და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები, მათ შორის, ადმინისტრაციული და სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ან კომპენსაციის მოთხოვნის საშუალება. აღნიშნული გარანტიები უნდა შეესაბამებოდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ზოგად პრინციპებს, ასევე მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში („Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“) პრინციპებს. მონაცემთა გადაცემა შეიძლება მოხდეს მესამე ქვეყნებში არსებული საჯარო უწყებების ან საჯარო უფლებამოსილების მქონე უწყებების ან შესაბამისი მოვალეობებისა და ფუნქციების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მათ შორის ადმინისტრაციული შეთანხმებებში შესული დებულებების საფუძველზე, როგორიცაა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც მონაცემთა სუბიექტების უფლებების აღსრულებას და ეფექტურობას უზრუნველყოფს. უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანოს ნებართვა უნდა მოპოვებულ იქნეს იმ შემთხვევებში, როცა ადმინისტრაციული შეთანხმებებით განსაზღვრული დაცვის მექანიზმები არ არის სამართლებრივად სავალდებულო.

109) დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ კომისიის ან საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული მონაცემთა დაცვის სტანდარტული პირობების გამოყენება უნდა ზღუდავდეს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის შესაძლებლობას, რომ ზოგად ხელშეკრულებაში, როგორიცაა ხელშეკრულება ორ დამმუშავებელს შორის, ასევე შეიტანოს მონაცემთა დაცვის სტანდარტული პირობები ან განსხვავებული პირობები და დამატებითი გარანტიები, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონტრაქტის სტანდარტულ პირობებს, რომლებიც მიღებულია კომისიის ან საზედამხედველო ორგანოს მიერ და არ გამორიცხავს მონაცემთა სუბიექტების ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. უნდა მოხდეს დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების წახალისება, რათა მათ დაცვის სტანდარტული პირობები შეავსონ დამატებითი გარანტიებით სახელშეკრულებო ვალდებულებების სახით.

110) იმ დაწესებულებათა ან საწარმოთა ჯგუფს, რომლებიც ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში არიან ჩართულნი, უნდა შეეძლოთ, იხელმძღვანელონ

დამტკიცებული სავალდებულო კორპორაციული წესებით ევროკავშირიდან მონაცემთა საერთაშორისო გადაცემისას, ერთი ჯგუფის წევრ ორგანიზაციებს შორის ან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული საწარმოების ჯგუფის ფარგლებში, თუკი ამგვარი კორპორაციული წესები მოიცავს ყველა არსებით პრინციპს და უფლებას, რომლებიც უზრუნველყოფს გარანტიებს პერსონალური მონაცემების გადაცემის ან გადაცემის კატეგორიებისათვის.

111) უნდა არსებობდეს შესაბამისი დებულება, რომლის მიხედვითაც, დასაშვებია მონაცემთა გადაცემა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა გამოხატა მკაფიო თანხმობა გადაცემაზე, გადაცემა არ არის რეგულარული და აუცილებელია ხელშეკრულების ან სამართლებრივი მოთხოვნის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს სასამართლო პროცედურის ნაწილი, ადმინისტრაციული თუ სასამართლოს გარდა სხვა პროცედურა, მათ შორის, მარეგულირებელი ორგანოებისათვის. უნდა არსებობდეს შესაბამისი დებულება, რომლის მიხედვითაც, დასაშვებია მონაცემთა გადაცემა ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეს, ან გადაცემა ხორციელდება კანონით დადგენილი რეესტრიდან და აქვს საკონსულტაციო დანიშნულება საზოგადოების ან იმ პირებისთვის, ვისაც გააჩნიათ კანონიერი ინტერესი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს რეესტრში დაცული მონაცემების მთლიანად ან კატეგორიათა მთლიანად გადაცემა, და როდესაც გადაცემა ხორციელდება საკონსულტაციო მიზნებისათვის კანონიერი ინტერესები მქონე საზოგადოების ან პირთათვის, გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ ამ უკანასკნელთა მოთხოვნის საფუძველზე, ან თუ ისინი წარმოადგენენ მონაცემთა მიმღებს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მონაცემთა სუბიექტების ინტერესები და ფუნდამენტური უფლებები.

112) აღნიშნული გამონაკლისები უნდა გავრცელდეს მონაცემთა გადაცემაზე, რომელიც აუცილებელი და საჭიროა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, მაგალითად მონაცემების საერთაშორისო გადაცემისას კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოებს, საგადასახადო, საბაჟო და ფინანსური ზედამხედველობის ორგანოებს შორის, ასევე მონაცემების გადაცემისას სოციალური უსაფრთხოების და ჯანდაცვის საკითხებზე პასუხისმგებელ სამსახურებს შორის, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება კონტაქტში გადამდები დაავადებების დროს კონტაქტში მყოფი პირების დადგება, ან მონაცემთა გადაცემა ემსახურება სპორტში დოპინგის გამოყენების შემცირებას და/ან აღმოფხვრას. პერსონალური მონაცემების გადაცემა ასევე კანონიერად უნდა ჩაითვალოს, თუ აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესის, მათ შორის, მისი ფიზიკური მთლიანობის და სიცოცხლის დასაცავად, როდესაც მონაცემთა სუბიექტს არ შეუძლია გამოხატოს თანხმობა მონაცემთა გადაცემაზე. შესაბამისობის გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე შესაძლებელია დაწესდეს შეზღუდვები კონკრეტული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გადაცემაზე მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში. წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნული

დებულებების შესახებ უნდა აცნობონ კომისიას. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციისთვის იმ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების გადაცემა, რომელსაც არ შესწევს უნარი, გამოხატოს თანხმობა, შესაძლებელია ჩაითვალოს აუცილებლად საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ან მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, იმ თვალსაზრისით, თუ ის ხორციელდება ჟენევის კონვენციებში ჩამოყალიბებული ამოცანების მისაღწევად ან შეიარაღებული კონფლიქტებისას მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპების შესაბამისად.

113) დასაშვებია მონაცემთა გადაცემა, თუ ის არ არის განმეორებითი, შეეხება მონაცემთა სუბიექტების შეზღუდულ რაოდენობას, საჭიროა დამმუშავებლის მნიშვნელოვანი კანონიერი ინტერესებით ნაკარნახევი მიზნების მისაღწევად, როდესაც ამ ინტერესებს არ აღემატება მონაცემთა სუბიექტის ინტერესები, უფლებები და თავისუფლებები და როცა დამმუშავებელს შეფასებული აქვს მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა გარემოება. დამმუშავებელმა განსაკუთრებულად უნდა გაითვალისწინოს პერსონალური მონაცემების მახასიათებლები, დაგეგმილი დამუშავების მიზანი და ხანგრძლიობა, ასევე საწყის ქვეყანაში, მესამე ქვეყანასა და საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში არსებული მგომარეობა და უნდა უზრუნველყოს სათანადო გარანტიები ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ამგვარი გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, როცა გადაცემის ვერცერთი სხვა საფუძველი ვერ გავრცელდება ამ შემთხვევაზე. სამეცნიერო და ისტორიული კვლევების ან სტატისტიკური კვლევების მიზნები უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების კანონიერ მოლოდინებს ცოდნის ამაღლებასთან დაკავშირებით. დამმუშავებელმა უნდა შეატყობინოს საზედამხედველო ორგანოს და მონაცემთა სუბიექტს მონაცემების გადაცემის შესახებ.

114) ნებისმიერ შემთხვევაში, თუ კომისიას არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება მესამე ქვეყანაში მონაცემთა დაცვის დონის შესაბამისობის შესახებ, დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა გაატაროს ისეთი ზომები, რომლებიც მონაცემთა სუბიექტებს ანიჭებს ევროკავშირში მათი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ რეალიზებად და ეფექტურ უფლებებს მონაცემთა გადაცემის შემდეგაც, რათა მათ შემდგომშიც მოახდინონ ფუნდამენტური უფლებების რეალიზება და დაცვის გარანტიებით სარგებლობა.

115) ზოგიერთი მესამე სახელმწიფო იღებს კანონებს, რეგულაციებს და სხვა სამართლებრივ აქტებს, რომელთა მიზანია ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული დამუშავების ოპერაციების პირდაპირი რეგულირება წევრი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში. ეს შეიძლება მოიცავდეს მესამე ქვეყნების სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებსა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებს, რომლებიც მოითხოვს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ პერსონალური მონაცემების გადაცემას ან გამჟღავნებას, და რომლებიც არ ეფუძნება საერთაშორისო შეთანხმებას, როგორიცაა მესამე ქვეყანასა და ევროკავშირს ან წევრ სახელმწიფოს

შორის დადებული შეთანხმება სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ. ამ კანონების, რეგულაციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საერთაშორისო გამოყენება შეიძლება არღვევდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და ხელს ფიზიკურ პირთა დაცვის უზრუნველყოფას, რაც დადგენილია ევროკავშირში ამ რეგულაციით. გადაცემა ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დაცულია რეგულაციის მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული დებულებები. მაგალითად, თუ გადაცემა აუცილებელია ევროკავშირის ან იმ წევრი სახელმწიფოს კანონით დადგენილი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება დამმუშავებელზე.

116) როდესაც პერსონალური მონაცემების გადაცემა ხდება ევროკავშირის საზღვარს მიღმა, შესაძლებელია გაიზარდოს საფრთხე იმისა, რომ ფიზიკური პირები ვეღარ შეძლებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების რეალიზებას, კერძოდ, ვეღარ დაიცავენ მონაცემთა არაკანონიერი გამოყენების ან ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებისაგან. ამავდროულად საზედამხედველო ორგანოებმა შეიძლება შესაძლებელია, ვეღარ შეძლონ განაცხადების განხილვა და გამოძიების ჩატარება იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხდება ევროკავშირის საზღვრებს გარეთ. გარდა ამისა, ერთობლივ საერთაშორისო მოქმედებებს შესაძლოა ხელი შეუშალოს არასაკმარისმა უფლებამოსილებამ პრევენციისა და დარღვეული უფლებების აღდგენისთვის, შეუთავსებელმა სამართლებრივმა რეჟიმებმა და პრაქტიკულმა ბარიერებმა, როგორიცაა რესურსების სიმწირე. შესაბამისად, აუცილებელია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა, მათ შორის ინფორმაციის გაცვლისა და ერთობლივი საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთდახმარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის აღსასრულებლად, კომისიამ და საზედამხედველო ორგანოებმა უნდა გაცვალონ ინფორმაცია და ითანამშრომლონ მესამე ქვეყნების შესაბამის უწყებებთან იმ აქტივობების ფარგლებში, რაც უკავშირდება მათი უფლებამოსილებების განხორციელებას, ნაცვალგების პრინციპისა და ამ რეგულაციის შესაბამისად.

117) წევრ სახელმწიფოებში საზედამხედველო ორგანოების შექმნა ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის არსებითი კომპონენტია. ეს ორგანოები უნდა იყვნენ სრულიად დამოუკიდებელნი თავიანთი ამოცანების შესრულებისა და უფლებამოსილების განხორციელებისას. წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ ერთზე მეტი საზედამხედველო ორგანოს შექმნა ქვეყნის კონსტიტუციური, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული მოწყობის გათვალისწინებით.

118) საზედამხედველო ორგანოების დამოუკიდებლობა არ გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული ორგანოებზე არ შეიძლება გავრცელდეს ფინანსური დანახარჯების კონტროლისა და სასამართლო ზედამხედველობის მექანიზმები.

119) როდესაც წევრი სახელმწიფო ასახელებს ერთზე მეტ საზედამხედველო ორგანოს, კანონით უნდა დადგინდეს ის მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული საზედამხედველო ორგანოების ეფექტიანი

მონაწილეობა თანამიმდევრულობის მექანიზმში. კერძოდ, წევრმა სახელმწიფომ უნდა დაასახელოს საზედამხედველო ორგანო, რომელიც წარმოადგენს საკონტაქტო პირს მექანიზმის ფარგლებში უწყებების ეფექტიანი მონაწილეობისათვის და უზრუნველყოფს სწრაფ და შეუფერხებელ თანამშრომლობას სხვა საზედამხედველო ორგანოებთან, საბჭოსა და კომისიასთან.

120) თითოეული საზედამხედველო ორგანო უზრუნველყოფილი უნდა იქნას იმ ფინანსური და ადამიანური რესურსებით, შენობითა და ინფრასტრუქტურით, რაც აუცილებელია მისი ამოცანების ეფექტიანად შესრულებისათვის, მათ შორის, ევროკავშირის მასშტაბით სხვა საზედამხედველო ორგანოებთან ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის მიზნით. თითოეულ საზედამხედველო ორგანოს უნდა გააჩნდეს მისთვის გამოყოფილი საჯარო წლიური ბიუჯეტი, რომელიც იქნება ერთიანი სახელმწიფო ან ეროვნული ბიუჯეტის ნაწილი.

121) საზედამხედველო ორგანოს წევრის ან წევრთა შესახებ პირობები დადგენილი უნდა იყოს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, კერძოდ, უნდა ადგენდეს, რომ აღნიშნული წევრები უნდა დაინიშნონ გამჭვირვალე პროცედურის შედეგად, პარლამენტის, მთავრობის ან წევრი სახელმწიფოს მეთაურის მიერ მთავრობის, მთავრობის წევრის, პარლამენტის, პარლამენტის პალატის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი სხვა უწყების წინადადების საფუძველზე. საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, წევრი ან წევრები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც არ არის თავსებადი მათ სამსახურებრივ მოვალეობებთან და თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არ უნდა მიიღონ მონაწილეობა თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობაში, იქნება ეს ანაზღაურებადი თუ არა ანაზღაურებადი საქმიანობა. საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰყავდეს საკუთარი გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია საზედამხედველო ორგანოს ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, თანამშრომლები ექვემდებარებიან საზედამხედველო ორგანოს წევრის და წევრების ექსკლუზიურ მითითებებს.

122) თითოეული საზედამხედველო ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი, მისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განახორციელოს ამ რეგულაციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და შეასრულოს თავისი ამოცანები. კერძოდ, ეს უფლებამოსილება უნდა მოიცავდეს მონაცემთა დამუშავებას დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის დაწესებულების მიერ მისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის კონტექსტში, დამუშავებას, რომელსაც ახორციელებს საჯარო უწყება ან კერძო ორგანიზაცია, რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ასევე დამუშავებას, რომელიც ახდენს გავლენას მონაცემთა სუბიექტებზე მის ტერიტორიაზე ან იმგვარ დამუშავებას, რომელსაც ახორციელებს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს აღნიშნული საზედამხედველო ორგანოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს. აღნიშნული ასევე უნდა მოიცავდეს

მონაცემთა სუბიექტის განცხადებების/საჩივრების განხილვას, ამ რეგულაციის დანერგვის შესახებ გამოძიების წარმართვას და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკების, წესების, დაცვის გარანტიების და უფლებების შესახებ.

123) საზედამხედველო ორგანოებმა უნდა განახორციელონ ამ რეგულაციის დებულებების დანერგვის ზედამხედველობა და ხელი შეუწყონ რეგულაციის თანმიმდევრულ დანერგვას ევროკავშირის ტერიტორიაზე, ფიზიკურ პირთა დასაცავად მათი პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და შიდა ბაზარზე პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის ხელშესაწყობად. ამ მიზნით საზედამხედველო ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და კომისიასთან, რისთვისაც არ არსებობს სახელმწიფოებს შორის ურთიერთდახმარების ან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადების საჭიროება.

124) იმ შემთხვევებში, როდესაც პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება ევროკავშირში დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ადგილსამყოფელის საქმიანობის ფარგლებში, დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობა მდებარეობს ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში, ან იმ შემთხვევებში, როდესაც დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ერთადერთი ადგილსამყოფელის ფარგლებში საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში მყოფ მონაცემთა სუბიექტებზე, წამყვანი საზედამხედველო ორგანოს ფუნქცია უნდა ჰქონდეს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ძირითადი ან ერთადერთი ადგილსამყოფელის ფარგლებში საზედამხედველო ორგანომ. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ უნდა ითანამშრომლოს დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებთან, რადგან დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირის ადგილსამყოფელი არის აქვს მათი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ მონაცემთა სუბიექტებზე მნიშნელოვან გავლენას ახდენს დამუშავება, ან თუ მათთან შესულია საჩივარი. ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც მონაცემთა სუბიექტს, რომელიც არ ცხოვრობს ამ წევრ სახელმწიფოში, შეაქვს საჩივარი, საჩივრის მიმღები საზედამხედველო უწყება მიიჩნევა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოდ. საბჭოს, ამ რეგულაციის აღსრულებასთან დაკავშირებული ფუნქციების ფარგლებში, უნდა შეეძლოს, რომ შეიმუშავოს სახელმძღვანელო პრინციპები, კერძოდ იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად, ახდენს თუ არა დამუშავება მნიშვნელოვან ზეგავლენას მონაცემთა სუბიექტებზე ერთზე მეტ სახელმწიფოში და რას წარმოადგენს სათანადო და დასაბუთებული უარი.

125) წამყვანი საზედამხედველო ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი, რომ მიიღოს სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილებები იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც უკავშირდება ამ რეგულაციით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. წამყვანი საზედამხედველო ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული

საზედამხედველო ორგანოების ჩართულობა და კოორდინაცია. იმ შემთხვევაში, თუ მიიღება გადაწყვეტილება, რომ მონაცემთა სუბიექტის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს სრულად ან ნაწილობრივ, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ საზედამხედველო ორგანომ, რომელსაც მიმართეს ამ განცხადებით.

126) გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა იყოს ერთობლივად წამყვან და დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს შორის და მიემართებოდეს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ძირითად ან ერთადერთ ადგილსამყოფელს და სავალდებულოდ შესასრულებელი იყოს მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისთვის. დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა გაატარონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ ამ რეგულაციასთან შესაბამისობა და იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის შეტყობინებაც მოხდა წამყვანი საზედამხედველო ორგანოს მიერ დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ძირითად ადგილსამყოფელზე.

127) თითოეული საზედამხედველო ორგანო, რომელიც არ მოქმედებს წამყვანი საზედამხედველო ორგანოს რანგში, უფლებამოსილია განიხილოს ადგილობრივი საქმეები, როდესაც მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი რეგისტრირებულია ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში, მაგრამ დავის საგანია მონაცემთა დამუშავება, რომელიც ერთ კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში ხდება და ეხება მონაცემთა სუბიექტებს ამ წევრ სახელმწიფოში, მაგალითად, თუ დავა ეხება დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებას წევრი სახელმწიფოს დასაქმების გარემოში. ასეთ შემთხვევებში, საზედამხედველო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს წამყვან საზედამხედველო ორგანოს ამის თაობაზე. ინფორმაციის მიღების შემდეგ წამყვანი საზედამხედველო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, განიხილავს საქმეს წამყვან საზედამხედველო ორგანოსა და სხვა საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ არსებული შეთანხმების შესაბამისად („ერთი ფანჯრის მექანიზმი“), თუ ინფორმაციის მიმწოდებელმა საზედამხედველო ორგანომ განიხილოს ადგილობრივ დონეზე. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, არსებობს თუ არა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს ინფორმაციის მიმწოდებელი საზედამხედველო ორგანო, დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის დაწესებულება, რათა ეფექტურად მოხდეს დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება. თუ წამყვანი საზედამხედველო უწყება განიხილავს საქმეს, საზედამხედველო ორგანოს, რომელმაც მას მიაწოდა ინფორმაცია, უნდა ქონდეს შესაძლებლობა მიაწოდოს გადაწყვეტილების პროექტი, რომელსაც წამყვანი საზედამხედველო უწყება გამოიყენებს გადაწყვეტილების სამუშაო ვერსიის ერთი ფანჯრის მექანიზმით მომზადებისას.

128) წესები, რომლებიც ეხება წამყვან საზედამხედველო უწყებას და ერთი ფანჯრის მექანიზმს, არ მოქმედებს როდესაც მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საჯარო უწყებების და იმ კერძო კომპანიების მიერ, რომლებიც მოქმედებენ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში, ერთადერთი საზედამხედველო უწყება, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ამ რეგულაციით მისთვის მინიჭებული

უფლებამოსილებები, არის იმ სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანო, სადაც არის დაფუძნებული საჯარო დაწესებულება ან კერძო კომპანია.

129) ევროკავშირის მასშტაბით ამ რეგულაციის თანმიმდევრული მონიტორინგისა და აღსრულებისთვის, საზედამხედველო ორგანოებს თითოეულ წევრ სახელმწიფოში უნდა ქონდეს ერთნაირი ფუნქციები და ეფექტური უფლებამოსილება, მათ შორის გამოძიების, გამოსწორების და სანქციების დაწესების, ასევე ავტორიზაციისა და კონსულტაციის გაწევის, კერძოდ, ფიზიკური პირების საჩივრების განხილვისას რეგულაციით დადგენილი დარღვევის შემთხვევების სასამართლოსთვის გადაცემისა და სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლებამოსილება, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროკურატურის ორგანოების ფუნქციების გათვალისწინებით. ამგვარი უფლებამოსილებები ასევე უნდა მოიცავდეს მონაცემთა დამუშავების დროებით ან სამუდამო შეზღუდვას, მათ შორის აკრძალვასაც. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა განსაზღვრონ ამ რეგულაციის თანახმად მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები. საზედამხედველო ორგანოების უფლებამოსილება უნდა იქნას გამოყენებული ობიექტურად, სამართლიანად და გონივრულ ვადაში ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოს კანონით დადგენილი პროცედურული დაცვის გარანტიებით. კერძოდ, თითოეული ზომა უნდა იყოს ამ რეგულაციის შესრულების უზრუნველსაყოფად სათანადო, აუცილებელი და პროპორციული და ითვალისწინებდეს თითოეული ინდივიდუალური საქმის გარემოებებს, პატივს სცემდეს თითოეული პიროვნების უფლებას წარადგინოს საკუთარი აზრი კონკრეტულ ღონისძიებასთან მიმართებაში, რომელმაც შესაძლოა მასზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს და შესაბამის პირებს არიდებდეს გადაჭარბებულ ხარჯებს და ბარიერებს. შენობაში წვდომასთან დაკავშირებული საგამოძიებო უფლებამოსილება უნდა იქნას გამოყენებული წევრი სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების, კერძოდ, სასამართლოს წინასწარი ნებართვის საფუძველზე. საზედამხედველო ორგანოს თითოეული სავალდებულო ძალის მქონე ღონისძიება უნდა გაფორმდეს წერილობით, უნდა იყოს გასაგები და ცალსახა, უნდა უთითებდეს საზედამხედველო ორგანოს, რომელმაც გაატარა ეს ღონისძიება, იყოს ხელმოწერილი ხელმძღვანელის ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მიერ, რომელიც ხელმძღვანელის მხრიდან სათანადოდ უფლებამოსილია, უნდა განმარტავდეს ღონისძიების გატარების მიზეზებს და უთითებდეს დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტურ გზებზე. ამ ჩამონათვალით არ უნდა შეიზღუდოს წევრი სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული დამატებითი მოთხოვნები. სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს, რომ იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო განხილვას იმ წევრ სახელმწიფოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება.

130) თუ საჩივარი წარდგენილია საზედამხედველო ორგანოში, რომელიც არ წარმოადგენს წამყვან საზედამხედველო ორგანოს, წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს საჩივრის მიმღებ საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობისა და თანმიმდევრულობის თაობაზე ამ რეგულაციის დებულებების თანახმად. ასეთ შემთხვევებში წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ

სამართლებრივი შედეგის მქონე ღონისძიებების გატარებისას, როგორიცაა ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრება, განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოს იმ საზედამხედველო ორგანოს მოსაზრება, რომელთანაც წარდგენილი იყო საჩივარი და რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს გამოძიება მისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უფლებამოსილ საზედამხედველო ორგანოსთან ერთად.

131) თუ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით სხვა საზედამხედველო ორგანო მოქმედებს როგორც წამყვანი საზედამხედველო ორგანო, თუმცა, საჩივრის კონკრეტული საგანი ან შესაძლო დარღვევა ეხება მხოლოდ დამუშავებას იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც შეტანილია საჩივარი ან დადგენილია შესაძლო დარღვევა და საკითხი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ან სავარაუდოდ ვერ მოახდენს მონაცემთა სუბიექტებზე სხვა წევრ სახელმწიფოში, საზედამხედველო ორგანო, რომელმაც მიიღო საჩივარი, დაადგინა ან სხვაგვარად არის ინფორმირებული იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც შეიცავს ამ რეგულაციის შესაძლო დარღვევებს, უნდა შეეცადოს შეთანხმების მიღწევას მონაცემთა დამმუშავებელთან და შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გამოიყენოს მისი სრული უფლებამოსილება. აღნიშნული მოიცავს: მონაცემთა ცალკეულ დამუშავებას, რომელიც ხორციელდება საზედამხედველო ორგანოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მონაცემთა სუბიექტებთან მიმართებაში, რომლებიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან; საზედამხედველო ორგანოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფ მონაცემთა სუბიექტებისათვის საქონლისა და სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებულ მონაცემთა დამუშავებას; ან მონაცემთა დამუშავებას, რომელიც უნდა შეფასდეს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ვალდებულებების გათვალისწინებით.

132) საზედამხედველო ორგანოების საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების აქტივობები უნდა მოიცავდეს კონკრეტულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების, მათ შორი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისა და ფიზიკური პირების მიმართ.

133) საზედამხედველო ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან მათი ფუნქციების შესრულებისას და ერთმანეთს გაუწიონ დახმარება შიდა ბაზარზე ამ რეგულაციის თანამიმდევრული აღსრულების და გამოყენების მიზნით. საზედამხედველო ორგანოს, რომელიც გზავნის ურთიერთდახმარების მოთხოვნას, შეუძლია მიიღოს დროებითი ზომა, თუ მის ამ მოთხოვნას რეაგირება არ მოჰყვება სხვა საზედამხედველო ორგანოს მიერ მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

134) საზედამხედველო ორგანოები საჭიროებისამებრ უნდა ახორციელებდნენ ერთობლივ საქმიანობას. მოთხოვნის მიმღები საზედამხედველო ორგანო ვალდებულია უპასუხოს ამ მოთხოვნას დადგენილ ვადაში.

135) ევროკავშირის მასშტაბით ამ რეგულაციის თანმიმდევრული აღსრულების მიზნიდან გამომდინარე, უნდა შეიქნას საზედამხედველო ორგანოების შორის თანამშრომლობის თანმიმდევრულობის მექანიზმი. ეს მექანიზმი უნდა

გავრცელდეს შემთხვევებზე, როდესაც საზედამხედველო ორგანო ატარებს ღონისძიებას, რომლის სამართლებრივი შედეგები შეეხება რამდენიმე სახელმწიფოში მცხოვრებ მონაცემთა სუბიექტებზე ზეგავლენის მქონე მონაცემთა დამუშავებას. მექანიზმი ასევე მოქმედებს, როდესაც ნებისმიერი დაინტერესებული საზედამხედველო ორგანო ან კომისია ითხოვს საკითხის გადაწყვეტას თანმიმდევრულობის მექანიზმის გამოყენებით. ეს მექანიზმი ხელს არ უნდა უშლიდეს კომისიის მიერ ნებისმიერი ზომის მიღებას ხელშეკრულებებით დადენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

136) თანმიმდევრულობის მექანიზმის გამოყენებისას, წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ან დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოს ან კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, საბჭომ უნდა გამოსცეს მოსაზრება დადგენილ ვადაში. საბჭოს ასევე უნდა ქონდეს სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება საზედამხედველო ორგანოებს შორის დავის შემთხვევაში. ამ მიზნით, საბჭომ, წევრების ხმათა ორი მესამედის საფუძველზე უნდა გამოსცეს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებები ცალსახად სპეციფიურ შემთხვევებში, როცა საზედამხედველო ორგანოებს ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებები აქვთ, კერძოდ, თუ საქმის არსებითი მხარის შესახებ ვერ თანხმდებიან თანამშრომლობის მექანიზმში მონაწილე წამყვანი საზედამხედველო ორგანო და სხვა ორგანოები, განსაკუთრებით თუ სახეზეა ამ რეგულაციის დარღვევა.

137) ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა არსებობდეს გადაუდებელი მოქმედების საჭიროება მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, კერძოდ, როცა არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლება მნიშვნელოვნად შეზღუდვის საფრთხე. ასეთ შემთხვევაში საზედამხედველო ორგანოს უნდა შეეძლოს მის ტერიტორიაზე სათანადოდ დასაბუთებული დროებითი ზომების მიღების უფლებამოსილება განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

138) ამგვარი მექანიზმის გამოყენება უნდა წარმოადგენდეს იმ ზომის გამოყენების კანონიერების პირობას, რომელსაც საზედამხედველო ორგანო მიმართავს სამართლებრივი შედეგის მისაღწევად როდესაც ის სავალდებულოა. საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სხვა შემთხვევებში უნდა გამოყენებულ იქნეს თანამშრომლობის მექანიზმი წამყვან საზედამხედველო ორგანოსა და დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს შორის და შესაბამისმა საზედამხედველო ორგანოებმა ორი ან მრავალი მხარის მონაწილეობით უნდა ითანამშრომლონ და ერთობლივად იმოქმედონ შესაბამისობის მექანიზმის ამოქმედების გარეშე.

139) ამ რეგულაციის თანმიმდევრული აღსრულების მხარდაჭერის მიზნით უნდა შეიქმნას საბჭო ევროკავშირის დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსით. საკუთარი მიზნების განსახორციელებლად საბჭო უნდა იყოს იურიდიული პირი და მას უნდა წარმოადგენდეს თავმჯდომარე. საბჭომ უნდა ჩაანაცვლოს 95/46/EC დირექტივით დაფუძნებული პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ინდივიდთა დაცვის სამუშაო ჯგუფი. საბჭო შედგება თითოეული წევრი

საელმწიფოს საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელებისგან და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველისგან ან მათი შესაბამისი წარმომადგენლებისგან. კომისიამ უნდა მიიღოს მონაწილეობა საბჭოს საქმიანობაში ხმის მიცემის უფლების გარეშე და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს უნდა ქონდეს ხმის მიცემის უფლება ცალკეულ საკითხებზე. საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს ამ რეგულაციის თანმიმდევრულ აღსრულებას ევროკავშირის მასშტაბით, მათ შორის, კომისიისთვის რეკომენდაციების გაწევის გზით, კერძოდ, რეკომენდაციები მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში დაცვის დონის საკითხებზე და ევროკავშირის საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. საბჭომ ამ ფუნქციების შესრულებისას უნდა იმოქმედოს დამოუკიდებლად.

140) საბჭოს ეხმარება სამდივნო, რომელსაც უზრუნველყოფს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ ამ რეგულაციით საბჭოსთვის მინიჭებულ ფუნქციებს, მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით უნდა ასრულებდნენ ამ ფუნქციებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

141) თითოეულ მონაცემთა სუბიექტს აქვს საზედამხედველო ორგანოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება განსაკუთრებით იმ წევრ სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოში, სადაც მდებარეობს მონაცემთა სუბიექტის საცხოვრებელი ადგილი. მას ასევე აქვს სასამართლოს გზით უფლების ეფექტური აღდგენის უფლება ქარტიის 47-ე მუხლის შესაბამისად, თუ ის თვლის, რომ რეგულაციით გათვალისწინებული მისი უფლებები დარღვეულია ან როცა საზედამხედველო ორგანო არ რეაგირებს საჩივარზე, ნაწილობრივ ან სრულად უარყოფს ან არ განიხილავს მას, ან არ ახდენს რეაგირებას, როდესაც ეს აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად. საჩივრის პასუხად უნდა განხორციელდეს საქმის შესწავლა, რომელიც ექვემდებარება სასამართლო განხილვას, კონკრეტული საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე. საზედამხედველო ორგანომ მონაცემთა სუბიექტს გონივრულ ვადაში უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის განხილვის მიმდინარეობის და საჩივრის შედეგის შესახებ. თუ საქმე მოითხოვს დამატებით შესწავლას ან სხვა საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობას, მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს შუალედური ინფორმაცია. საჩივრების შეტანის პროცედურის გასამარტივებლად, თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მიიღოს ზომები, როგორიცაა საჩივრის ფორმის მიწოდება, რომელიც შეიძლება შეივსოს ელექტრონულად, თუმცა შესაძლებელია კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებაც.

142) თუ მონაცემთა სუბიექტი მიიჩნევს, რომ დაირღვა მისი ამ რეგულაციით გათვალისწინებული უფლებები, მას უნდა შეეძლოს მისი სახელით საჩივრის საზედამხედველო ორგანოში წარდგენის და მონაცემთა სუბიექტის სახელით კომპენსაციის მიღების (თუ ეს ნებადართულია წევრი სახელმწიფოს კანონით) უფლებამოსილება მიანიჭოს არაკომერციულ ორგანიზაციას ან ასოციაციას, რომელიც შექმნილია წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე,

წესდების საფუძველზე განსაზღვრული მისი მიზნები ემსახურება საჯარო ინტერესს და ამავდროულად აქტიურია პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში. წევრმა სახელმწიფომ შესაძლოა განსაზღვროს ამ ორგანოს, ორგანიზაციის ან ასოციაციის უფლება, რომ მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი წევრ სახელმწიფოში და სასამართლოს გზით მოითხოვოს უფლების აღდგენა თუ მას აქვს საფუძვლიანი ეჭვი მონაცემთა დამუშავების შედეგად ამ რეგულაციის შესაბამისად მონაცემთა სუბიექტების უფლებების დარღვევის თაობაზე. შესაძლოა შეიზღუდოს ამ ორგანოს, ორგანიზაციის ან ასოციაციის უფლება მოითხოვოს კომპენსაცია მონაცემთა სუბიექტების სახელით მათგან შესაბამისი უფლებამოსილების მიღების გარეშე.

143) ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს საბჭოს გადაწყვეტილებების გაუქმებასთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი მართლმსაჯულების სასამართლოში TFEU-ს 263-ე მუხლით დადგენილი წესით. შესაბამისმა საზედამხედველო ორგანოებმა, როგორც საბჭოს ამ გადაწყვეტილებების ადრესატებმა, გადაწყვეტილების გასაჩივრების სურვილის შემთხვევაში, უნდა შეიტანონ სარჩელი შეტყობინების მიღებიდან ორი თვის განმავლობაში, TFEU-ს 263-ე მუხლის შესაბამისად. თუ საბჭოს გადაწყვეტილება უშუალოდ და ინდივიდუალურად ეხება მონაცემთა დამმუშავებელს, უფლებამოსილ პირს ან მოსარჩელეს, ამ უკანასკნელმა შესაძლოა დაიწყოს სამართალწარმოება ამ გადაწყვეტილებების გასაუქმებლად საბჭოს გვერდზე მათი გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში, TFEU-ს 263-ე მუხლის შესაბამისად. TFEU-ს 263-ე მუხლით გათვალისწინებული ამ უფლების გარდა, თითოეულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უნდა ქონდეს უფლება კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში გაასაჩივროს საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სამართლებრივ გავლენას ახდენს მასზე. კერძოდ, ამგვარი გადაწყვეტილება ეხება საზედამხედველო ორგანოს მიერ საგამოძიებო, გამასწორებელი და ავტორიზაციის უფლებამოსილების გამოყენებას ან ორგანოს მიერ საჩივრების დაუშვებლობას ან უარყოფას. მიუხედავად ამისა, სასამართლოს გზით უფლების აღდგენა არ ვრცელდება საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებულ ზომებზე, რომლებიც არ არის სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონე, როგორიცაა საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული მოსაზრებები ან რეკომენდაციები. საზედამხედველო ორგანოს წინააღმდეგ მიმართული პროცესი უნდა წარიმართოს იმ წევრი სახელმწიფოს სასამართლოში, სადაც არის დაფუძნებული საზედამხედველო ორგანო და ამ წევრი სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. ამ სასამართლოებს აქვთ სრული იურისდიქცია, რომელიც მოიცავს მათ მიერ განხილული დავის ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი საკითხების განხილვასაც.

თუ საზედამხედველო ორგანომ უარყო ან არ მიიღო განსახილველად საჩივარი, მოსარჩელემ შეიძლება დაიწყოს სამართალწარმოება იმავე წევრი სახელმწიფოს სასამართლოებში. ამ რეგულაციის გავრცელებასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის ეტაპზე, ეროვნულ სასამართლოებს, რომლებიც

განიხილავენ გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვან საკითხს, შეუძლიათ, TFEU-ს 267-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში კი ვალდებული არიან, რომ მიმართონ მართლმსაჯულების სასამართლოს თხოვნით, გამოსცეს წინასწარი განჩინება ევროკავშირის კანონის, მათ შორის, ამ რეგულაციის განმარტების მიზნით. ამასთან, თუ საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც აღასრულებს საბჭოს გადაწყვეტილებას, საჩივრდება ეროვნულ სასამართლოში და საბჭოს გადაწყვეტილების კანონიერება წარმოადგენს დავის საგანს, ეროვნული სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ძალადაკარგულად ცნოს საბჭოს გადაწყვეტილება, თუმცა, მისი კანონიერების თაობაზე საქმე განსახილველად უნდა გადასცეს მართლმსაჯულების სასამართლოს თუ მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება უნდა იქნეს ცნობილი ძალადაკარგულად მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ TFEU-ს 267-ე მუხლის შესახებ გაკეთებული განმარტების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ეროვნულმა სასამართლომ საბჭოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი შეიძლება არ გადასცეს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც ჰქონდა გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობა, კერძოდ, თუ ეს გადაწყვეტილება მას ეხებოდა პირდაპირ და ინდივიდუალურად, მაგრამ მან არ გამოიყენა ეს უფლება TFEU-ს 263-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

144) როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს, სადაც საჩივრდება საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება, აქვს ინფორმაცია, რომ სხვა წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ სასამართლოში განიხილება დავა იმავე მონაცემთა დამუშავების შესახებ, იმავე მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული დამუშავების, იმავე ან დავის საგნის შესახებ, იგი უნდა დაუკავშირდეს სასამართლოს მსგავსი სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ დადასტურების მისაღებად. როდესაც საქმის წარმოება იმავე საკითხზე მიმდინარეობს სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოში, ნებისმიერი სასამართლო, გარდა პირველი ინსტანციის სასამართლოსი, აჩერებს საქმის განხილვას ან ერთ-ერთი მხარის მომართვის საფუძველზე უარს ამბობს საკუთრ იურისდიქციაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს სასარგებლოდ, თუ ამ უკანასკნელის იურისდიქცია ვრცელდება ამ დავაზე და მისი კანონმდებლობა იძლევა მსგავსი დაკავშირებული პროცესების გაერთიანების საშუალებას. პროცესები ითვლება ურთიერთდაკავშირებულად, თუ ისინი ერთმანეთთან იმდენად არის დაკავშირებული, რომ უპრიანია მათი ერთად განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, რათა თავიდან იქნას აცილებული შეუთავსებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც სხვადასხვა სასამართლო პროცესების შედეგად შეიძლება იყოს მიღებული.

145) მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წინააღმდეგ მიმართული სამართალწარმოების შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა შეეძლოს არჩევანის გაკეთება წევრ სახელმწიფოებში არსებულ სასამართლოებს შორის, რომელთაგან ერთი მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის დაწესებულების ადგილსამყოფელია, მეორე კი - მონაცემთა სუბიექტის

საცხოვრებელი ადგილი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამმუშავებელი წევრი სახელმწიფოს საჯარო ორგანოა, რომელიც მის უფლებამოსილებას ახორციელებს.

146) მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია, რომ აანაზღაუროს რეგულაციის მოთხოვნების დარღვევის შედეგად პირისთვის მიყენებული ზიანი. მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი ამ ვალდებულებისგან თავისუფლდება თუ დაამტკიცებს, რომ მიყენებულ ზიანზე არ არის პასუხისმგებელი. ზიანი უნდა განიმარტოს ზოგადად, მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე და სრულად უნდა ასახავდეს ამ რეგულაციის მიზნებს. აღნიშნული არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რომელიც გამოწვეულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის სხვა ნორმების დარღვევით. მონაცემთა ამ რეგულაციის დარღვევით დამუშავება, გულისხმობს დამუშავებას, რომელიც ასევე არღვევს რეგულაციის თანახმად მიღებულ დელეგირებულ და აღმასრულებელ აქტებს და წევრი სახელმწიფოებს კანონმდებლობას, რომელიც აზუსტებს ამ რეგულაციის ნორმებს. მონაცემთა სუბიექტებმა უნდა მიიღონ სრული და ეფექტური კომპენსაცია მათთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამმუშავებლები და უფლებამოსილი პირები მონაწილეობენ ერთი და იმავე მონაცემების დამუშავებაში, პასუხისმგებლობა სრული მოცულობით ეკისრება თითოეულ მათგანს. თუმცა, თუ სასამართლო პროცესში ისინი ერთად არიან მოპასუხეები, კომპენსაცია შეიძლება გადანაწილდეს დამმუშავებლებსა და უფლებამოსილ პირებს შორის პასუხისმგებლობის შესაბამისად მონაცემთა დამუშავებით მიყენებულ ზიანზე იმ პირობით, თუ მონაცემთა სუბიექტისთვის მიყენებული ზიანი სრულად და ეფექტურად არის ანაზღაურებული. ნებისმიერ მონაცემთა დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს, კომპენსაციის სრულად გადახდის შემდგომ შეუძლია საქმის აღძვრა ამავე დამუშავებაში მონაწილე სხვა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების წინააღმდეგ გადახდილი კომპენსაციის ასანაზღაურებლად.

147) თუ რეგულაციით დადგენილია იურისდიქციასთან დაკავშირებული კონკრეტული წესები, კერძოდ, მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წინააღმდეგ სასამართლოში საქმის აღძვრის შემთხვევაში, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მიზნით, იურისდიქციის დამდგენი ზოგადი ნორმები, როგორიცაა ნორმები, დადგენილი ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (EU) No 1215/2012[13], არ გამორიცხავს ამ კონკრეტული წესების მოქმედებას.

148) ამ რეგულაციით დადგენილი წესების აღსრულების განსამტკიცებლად, სანქცია, მათ შორის ადმინისტრაციული ჯარიმა უნდა დაეკისროს რეგულაციის ნებისმიერი დარღვევისთვის, საზედამხედველო ორგანოს მიერ რეგულაციის თანახმად მიღებულ სათანადო ზომებთან ერთად ან მათ სანაცვლოდ. თუ სახეზეა მცირე დარღვევა ან თუ ჯარიმა ფიზიკურ პირს არაპროპორციულ ტვირთს

[13] 2012 წლის 12 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) No 1215/2012 იურისდიქციისა და სამოქალაქო და კომერციულ საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ.

აკისრებს, ჯარიმა შეიძლება ჩაანაცვლოს საყვედურმა. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დარღვევის სახე, სიმძიმე და ხანგძლივობა, იყო თუ არა დარღვევა ჩადენილი განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, ასევე გათვალისწინებულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის ზიანის შესამსუბუქებლად მიღებული ზომები, პასუხისმგებლობის ხარისხი და წარსულში ჩადენილი მსგავსი დარღვევები, ფორმა რომლითაც საზედამხედველო ორგანოსთვის ცნობილი გახდა დარღვევის შესახებ, მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიმართ გამოყენებული ზომების შესრულება, ქცევის კოდექსის შესრულება და ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოება. სანქციის, მათ შორის ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრებაზე უნდა გავრცელდეს ევროკავშირის სამართლის ზოგად პრინციპების და ქარტიის შესაბამისი პროცედურული გარანტიები, მათ შორის სასამართლოს მიერ დაცვისა და საპროცესო უფლებები.

149) წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ წესები, რომლებიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამ რეგულაციის დარღვევისთვის, მათ შორის იმ წესების დარღვევისთვის, რომლებიც მიღებულია ეროვნულ დონეზე ამ რეგულაციის ფარგლებში და მის აღსასრულებლად. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შესაძლოა ითვალისწინებდეს მოგების წილის დათმობას რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში. თუმცა სისხლის სამართლის ისევე, როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება არ უნდა იწვევდეს პრინციპის *ne bis in idem* (ერთი და იმავე ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ორჯერ დაკისრების დაუშვებლობა) დარღვევას, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტების შესაბამისად.

150) ამ რეგულაციის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრებისა და ჰარმონიზაციის მიზნით, თითოეულ საზედამხედველო ორგანოს უნდა ქონდეს ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრების უფლება. რეგულაციით უნდა მიეთითოს დარღვევები, ადმინისტრაციული ჯარიმების ზედა ზღვარი და ჯარიმის შეფარდების კრიტერიუმები. თითოეულ შემთხვევაში კომპეტენტურმა საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული გარემოებები, დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა, ასევე შედეგები და ამ რეგულაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და დარღვევით გამოწვეული შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამსუბუქებლად მიღებული ზომები. საწარმოსთვის ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში, „საწარმო“ განიმარტება TFEU-ს 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად. თუ ადმინისტრაციული ჯარიმა ეკისრება პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ საწარმოს, საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს წევრ სახელმწიფოში არსებული შემოსავლის საშუალო დონე, ასევე პირის ეკონომიკური მდგომარეობა ჯარიმის შესაბამისი ოდენობის განსაზღვრისას. ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას თანმიმდევრულობის მექანიზმი ადმინისტრაციული ჯარიმების თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად. წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს გავრცელდეს თუ არა საჯარო უწყებებზე ადმინისტრაციული ჯარიმები. ადმინისტრაციული ჯარიმის დაწესება ან გაფრთხილების მიცემა არ ახდენს

ზეგავლენას საზედამხედველო ორგანოს სხვა სახის უფლებამოსილებაზე ან რეგულაციით გათვალისწინებულ სხვა სანქციებზე.

151) დანიისა და ესტონეთის სამართლებრივი სისტემები არ იყენებენ ამ რეგულაციით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ჯარიმებს. წესები, რომლებიც ადმინისტრაციულ ჯარიმებს ეხება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმგვარად, რომ დანიაში ჯარიმა დააწესოს კომპეტენტურმა ეროვნულმა სასამართლოებმა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ხოლო ესტონეთში ჯარიმა დაწესდეს საზედამხედველო ორგანო გადაცდომის (misdemeanor) პროცედურის ფარგლებში იმ პირობით, რომ მოცემულ წევრ სახელმწიფოებში ამ წესების გამოყენებას აქვს საზედამხედველო ორგანოების მიერ დაწესებული ადმინისტრაციული ჯარიმის ტოლფასი ეფექტი. შესაბამისად, კომპეტენტურმა ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ საზედამხედველო ორგანოს რეკომენდაცია, რომელიც ჯარიმას აწესებს. ნებისმიერ შემთხვევაში დაწესებული ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე.

152) თუ ეს რეგულაცია არ ახდენს ადმინისტრაციული სანქციების ჰარმონიზებას ან საჭიროებისამებრ სხვა შემთხვევებში, მაგალითად, რეგულაციის სერიოზული დარღვევების დროს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ სისტემა, რომელიც ეფექტურ, პროპორციულ და შემაკავებელ სანქციებს აწესებს. პასუხისმგებლობის ხასიათი, იქნება ეს სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციული, უნდა განისაზღვროს წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

153) წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი წესები, რომლებიც არეგულირებს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას, მათ შორის ჟურნალისტურ, სახელოვნებო, და ლიტერატურულ გამოხატვას, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებასთან ამ რეგულაციის შესაბამისად. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მხოლოდ ჟურნალისტური, აკადემიური, სახელოვნებო და ლიტერატურული გამოხატვის მიზნებისათვის, უნდა გავრცელდეს რეგულაციის პირობებიდან გამონაკლისები, თუ ეს საჭიროა პერსონალური დაცვის უფლების გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან, შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, როგორც ეს გარანტირებულია ქარტიის მე-11 მუხლით. კერძოდ, აღნიშნული შეეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას აუდიოვიზუალურ სფეროში და ახალი ამბების არქივებსა და პრესის ბიბლიოთეკებში. შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც დააწესებს გამონაკლისებს ამ ფუნდამენტურ უფლებებს შორის ბალანსის დაცვის მიზნით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ გამონაკლისები, რომლებიც შეეხება ზოგად პრინციპებს, მონაცემთა სუბიექტის, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის უფლებებს, პერსონალური მონაცემების გადაცემას მესამე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოებს, თანამშრომლობასა და თანმიმდევრულობას, და მონაცემთა დამუშავების კონკრეტულ გარემოებებს. თუ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში განსხვავებული გამონაკლისებია დაწესებული, მოქმედებს იმ წევრი სახელმწიფოს კანონი, რომელსაც ექვემდებარება მონაცემთა დამმუშავებელი.

დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, თავისუფლებასთან დაკავშირებული ცნებები, როგორიცაა მაგალითად, ჟურნალისტიკა, უნდა იყოს ფართოდ განმარტებული.

154) რეგულაცია იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნეს ოფიციალურ დოკუმენტებზე საზოგადოების წვდომის პრინციპი ამ რეგულაციის გამოყენებისას. საზოგადოების წვდომა ოფიციალურ დოკუმენტებზე შესაძლოა ჩაითვალოს საჯარო ინტერესის ნაწილად. საჯარო უწყებაში ან დაწესებულებაში დაცული პერსონალური მონაცემების შემცველი ოფიციალური დოკუმენტი დაწესებულებამ შესაძლოა გასცეს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ კანონებმა უნდა უზრუნველყოს ოფიციალურ დოკუმენტებზე საზოგადოების წვდომისა და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესაბამისობა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებასთან ამ რეგულაციის საფუძველზე. ამ კონტექსტში საჯარო ორგანოები და უწყებები მოიცავს ყველა ორგანოს ან სხვა უწყებას, რომელზეც ვრცელდება წევრი სახელმწიფოს კანონი და რომელიც არეგულირებს დოკუმენტებზე საზოგადოების წვდომას. ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2003/98/EC[14] ძალაში ტოვებს და გავლენას არ ახდენს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის დონეზე ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, დირექტივა არ ცვლის ამ რეგულაციით განსაზღვრულ ვალდებულებებსა და უფლებებს. ეს დირექტივა არ უნდა გავრცელდეს დოკუმენტებზე, რომლებზე წვდომაც გამორიცხული ან შეზღუდულია წვდომის რეჟიმებით პერსონალური მონაცემების დაცვის საფუძველზე და ასევე ხელმისაწვდომი დოკუმენტების ნაწილებზე, რომლებიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა ხელახალი გამოყენება კანონის თანახმად არ არის თავსებადი ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისგან დაცვის კანონმდებლობასთან.

155) წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა და კოლექტიური შეთანხმებები, მათ შორის 'სამუშაოსთან დაკავშირებული შეთანხმებები', შესაძლოა ადგენდეს დასაქმების მიზნებისთვის პერსონალური მონაცემების დამუშავების კონკრეტულ წესებს, კერძოდ, შესაძლოა განისაზღვროს პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში დასაქმებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია დასაქმებულის თანხმობის შემთხვევაში, როგორიცაა დასაქმების მიზნები, შრომითი ხელშეკრულების შესრულება, მათ შორის კანონით ან კოლექტიური შეთანხმებით დადგენილი ვალდებულებების შესრულება, სამუშაოს მართვა, დაგეგმვა ან ორგანიზება, სამუშაო ადგილზე თანასწორობა და მრავალფეროვნება, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, დასაქმებულის ან მომხმარებლის ქონების დაცვა და დასაქმებასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება და სარგებლის მიღება, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, ასევე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

---

[14]ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 17 ნოემბრის დირექტივა 2003/98/EC საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალი გამოყენების შესახებ (OJ L 345, 31.12.2003, გვ.90)..

156) პერსონალური მონაცემების დამუშავება საჯარო ინტერესის შესაბამისად, არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის, ან სტატისტიკის წარმოების მიზნებით, უნდა დაექვემდებაროს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესაბამისი გარანტიებს, ამ რეგულაციის შესაბამისად. ამგვარი დაცვის გარანტიები უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის დაცვის მიზნით. მონაცემების შემდგომი დამუშავება საჯარო ინტერესის შესაბამისად არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური კვლევის მიზნებისათვის უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შესაბამისი დაცვის გარანტიები (როგორიცაა, მაგალითად, მონაცემთა ფსევდონიმიზაცია) და მონაცემთა დამმუშავებელი დაადგენს რომ ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია იმ მონაცემების დამუშავებით, რომლებიც არ ან აღარ იძლევა მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოს დაცვის შესაბამისი გარანტიები მონაცემთა დამუშავებისთვის საჯარო ინტერესის შესაბამისად არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური კვლევის მიზნებისთვის. წევრ სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ კონკრეტულ პირობებში და მონაცემთა სუბიექტების დაცვის შესაბამისი გარანტიების გათვალისწინებით, შეიმუშაონ სპეციფიური წესები და გამონაკლისები ინფორმაციის მოთხოვნასა და უფლებებთან მიმართებაში, როგორიცაა შესწორებისა და წაშლის, დავიწყებისა და დამუშავების შეზღუდვის, მონაცემთა პორტირების უფლებები, და დამუშავებაზე უარის თქმის უფლება, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ პერსონალური მონაცემები მუშავდება საჯარო ინტერესის შესაბამისად არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებიდან გამომდინარე. ეს პირობებმა და დაცვის გარანტიები შესაძლოა მოიცავდეს სპეციალურ პროცედურებს მონაცემთა სუბიექტებისთვის, რათა მათ შეძლონ იმ უფლებებით სარგებლობა, თუ ეს დასაშვებია დამუშავების მიზნების და ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გათვალისწინებით, რომელთა მიზანია პერსონალური მონაცემების დამუშავების მინიმიზაცია პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებიდან გამომდინარე. პერსონალური მონაცემების დამუშავება სამეცნიერო მიზნებისთვის ასევე უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის კანონმდებლობას, როგორიცაა მაგალითად, კანონმდებლობა კლინიკური კვლევების შესახებ.

157) რეესტრებში არსებული ინფორმაციის თავმოყრის შედეგად მკვლევარებს შეუძლიათ ახალი, მნიშვნელოვნად ღირებული ცოდნის მოპოვება გავრცელებული დაავადებების შესახებ, როგორიცაა კარდიო-ვასკულარული დაავადება, სიმსივნე და დეპრესია. რეესტრების საფუძველზე შესაძლოა გაუმჯობესდეს კვლევის შედეგები, რადგან მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს შეეხება. სოციალურ მეცნიერებაში, რეესტრების გამოყენებით განხორციელებული კვლევები მკვლევარებს აძლევს მნიშვნელოვან ცოდნას სოციალურ მდგომარეობებს შორის გრძელვადიანი კორელაციის შესახებ, როგორიცაა უმუშევრობა და განათლება და ცხოვრების პირობები. კვლევის შედეგები, რომლებიც რეესტრის საშუალებით მიიღება, უზრუნველყოფს ცოდნის მაღალ დონეს, რომლის საფუძველზეც

შესაძლოა ცოდნაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ბევრი ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სოციალური მომსახურების ეფექტიანობის ზრდა. სამეცნიერო კვლევის გასამარტივებლად, პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს სამეცნიერო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ევროკავშირისა ან წევრი სახელმწიფოს კანონში დადგენილი შესაბამისი პირობებისა და დაცვის გარანტიების გათვალისწინებით.

158) ეს რეგულაცია ვრცელდება არქივირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუმცა, მისი მოქმედება არ უნდა გავრცელდეს გარდაცვლილ ადამიანებზე. საჯარო ორგანოებს ან საჯარო ან კერძო უწყებებს, სადაც დაცულია მონაცემები საჯარო ინტერესის ფარგლებში, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით აქვთ ვალდებულება შეიძინონ, შეინახონ, შეაფასონ, დაახარისხონ, აღწერონ, საზოგადოებას მიაწოდონ, გაავრცელონ და ხელმისაწვდომი გახადონ გრძელვადიანი ღირებულების მქონე და საჯარო ინტერესის შემცველი მონაცემები. წევრი სახელმწიფოები ასევე უნდა იყვნენ უფლებამოსილი უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების დამუშავება დაარქივების მიზნით, მაგალითად, უზრუნველყონ კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება პოლიტიკურ ქცევას ყოფილი ტოტალიტარული რეჟიმების, გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულების, კერძოდ ჰოლოკოსტის, ან ომის დროს ჩადენილი დანაშაულებების დროს.

159) ეს რეგულაცია ასევე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის. ამ რეგულაციის მიზნებიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების სამეცნიერო კვლევებისთვის დამუშავება უნდა განისაზღვროს ფართოდ და უნდა მოიცავდეს მაგალითად, ტექნოლოგიების განვითარებას და დემონსტრირებას, ფუნდამენტურ კვლევას, გამოყენებით კვლევას და კერძო წყაროებიდან დაფინანსებულ კვლევას. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ევროკავშირის ევროპული კვლევითი ზონის მიღწევის მიზანი, მოცემული TFEU-ს 179-ე მუხლის პირველ პუნქტში. სამეცნიერო-კვლევითი მიზნები აქვს ასევე ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ, საჯარო ინტერესით განპირობებულ კვლევებს. სპეციფიურობის დასაკმაყოფილებლად მონაცემთა სამეცნიერო კვლევისთვის დამუშავებისას უნდა დაკმაყოფილდეს კონკრეტული პირობები, რომლებიც ეხება პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებას ან სხვაგვარ გამჟღავნებას სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის. თუ სამეცნიერო კვლევის შედეგი ჯანდაცვის სფეროში წარმოქმნის დამატებითი ზომების მიღების საჭიროებას მონაცემთა სუბიექტის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ამოქმედდეს ამ რეგულაციის ზოგადი წესები მსგავს ზომებთან მიმართებაში.

160) ეს რეგულაცია ასევე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ისტორიული კვლევის მიზნებისთვის. ეს მოიცავს ისტორიულ კვლევას და გენეოლოგიური მიზნებისთვის ჩატარებულ კვლევას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რეგულაცია არ ვრცელდება გარდაცვლილ ადამიანებზე.

161) კლინიკური კვლევებში მონაწილეობაზე თანხმობა რეგულირდება ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) No 536/2014-ის შესაბამისი დებულებებით[15].

162) ეს რეგულაცია ასევე ვრცელდება სტატისტიკური მიზნებით მონაცემთა დამუშავებაზე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კანონმა რეგულაციის ფარგლებში უნდა განსაზღვროს სტატისტიკის შინაარსი, ხელმისაწვდომობის კონტროლი, პერსონალური მონაცემების დამუშავების მახასიათებლები და მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების და სტატისტიკური კონფიდენციალობის დაცვის გარანტიები. სტატისტიკური მიზნები გულისხმობს პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ნებისმიერ ოპერაციას, რომელიც საჭიროა სტატისტიკური გამოკითხვის ან სტატისტიკური შედეგების მისაღებად. სტატისტიკური მიზნები გულისხმობს, რომ ამ მიზნებით განხორციელებული დამუშავების შედეგი არ არის პერსონალური მონაცემები, არამედ მონაცემთა ერთიანობა, და ეს შედეგი ან პერსონალური მონაცემები არ გამოიყენება კონკრეტული ფიზიკური პირის მიმართ ღონისძიებების ან გადაწყვეტილებების მისაღებად.

163) ევროკავშირისა და ეროვნული სტატისტიკური უწყებების მიერ შეგროვებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ოფიციალური ევროპული და ეროვნული სტატისტიკის საწარმოებლად, უნდა იყოს დაცული. ევროპული სტატისტიკა უნდა დაიხვეწოს, დამუშავდეს და გავრცელდეს TFEU-ს 338-ე მუხლის მე-2 პუნქტის სტატისტიკის წარმოების პრინციპების შესაბამისად, ეროვნული სტატისტიკა კი უნდა შეესაბამებოდეს წევრი სახელმწიფოს კანონს. ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) No 223/2009[16] ასევე ადგენს ევროპულის სტატისტიკის კონფიდენციალობის დამატებითი მახასიათებლებს.

164) რაც შეეხება საზედამხედველო ორგანოების უფლებამოსილებას მიიღონ მონაცემთა დამმუშავებლისგან ან უფლებამოსილი პირისგან მონაცემებსა და მათ სამუშაო ადგილზე წვდომის უფლებამოსილება, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კანონით დაადგინონ კონკრეტული წესები ამ რეგულაციის ფარგლებში, რათა დაიცვან პროფესიული ან მისი მსგავსი საიდუმლოების დაცვის ვალდებულება, რამდენადაც ეს საჭიროა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების პროფესიული საიდუმლოს დაცვის ვალდებულებასთან შესაბამისობაში

---

[15]ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის რეგულაცია (EU) No 536/2014 ადამიანებისთვის განკუთვნილ სამედიცინო პროდუქტებზე კლინიკური კვლევების შესახებ და დირექტივა 2001/20/EC-ის გაუქმების შესახებ (OJ L 158, 27.5.2014.გვ.1).

[16]ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 11 მარტის რეგულაცია (EC) No 223/2009 ევროპის სტატისტიკის შესახებ და ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC, Euratom) No 1101/2008-ის გაუქმების თაობაზე, რომელიც ეხება მონაცემთა სუბიექტების კონფიდენციალური სტატისტიკის ევროპის თანამეგობრობის სტატისტიკის ოფისისთვის გადაცემას, საბჭოს რეგულაცია (EC) No 322/97 თანამეგობრობის სტატისტიკის შესახებ და საბჭოს გადაწყვეტილება 89/382/EEC, Euroatom, ევროპის თანამეგობრობის სტატისტიკური პროგრამების კომიტეტის დაფუძნების შესახებ (Oj L 87, 31.3.2009, გვ.164).

მოსაყვანად. ეს არ გამორიცხავს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს მიიღონ პროფესიული საიდუმლოების წესები ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად.

165) ეს რეგულაცია პატივს სცემს და არ გამორიცხავს ეკლესიებისა და რელიგიური ასოციაციების ან თემების კონსტიტუციურ სტატუსს წევრ სახელმწიფოებში, როგორც ეს არის აღიარებული TFEU-ს მე-17 მუხლით.

166) ამ რეგულაციის მიზნების მისაღწევად, კერძოდ, ფიზიკურ პირთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების, კერძოდ, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების დასაცავად და ევროკავშირში პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის უზრუნველსაყოფად, კომისიას უნდა გადაეცეს აქტების მიღების უფლება TFEU-ს 290-ე მუხლის შესაბამისად. კერძოდ, უნდა იქნეს მიღებული დელეგირებული აქტები სერტიფიცირების მექანიზმის კრიტერიუმებისა და მოთხოვნების შესახებ, ასევე სტანდარტული სიმბოლოებით წარმოდგენილი ინფორმაციის და ამ სიმბოლოების მიწოდების პროცედურის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ გამართოს შესაბამისი კონსულტაციები მოსამზადებელი სამუშაოს დროს, მათ შორის ექსპერტებთან. კომისიამ, დელეგირებული აქტების შემუშავებისას, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციის ევროპარლამენტისა და საბჭოსთვის ერთდროული, დროული და სათანადო გადაცემა.

167) ამ რეგულაციის შესრულების ერთგვაროვანი პირობების უზრუნველსაყოფად, კომისიას უნდა გადაეცეს აღსრულების უფლებამოსილება რეგულაციით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს უფლებამოსილება უნდა გამოყენებულ იქნეს რეგულაცია (EU) No 182/2011-ის შესაბამისად. ამ კონტექსტში კომისიამ უნდა განიხილოს კონკრეტული ღონისძიებები მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

168) განხილვის პროცედურა საიმპლემენტაციო აქტების მიღებისას გამოყენებულ უნდა იქნეს, რომლებიც ეხება დამმუშავებლებსა და უფლებამოსილ პირებს და უფლებამოსილ პირებს შორის დადებული ხელშეკრულებების სტანდარტულ პირობებს; ქცევის კოდექსებს; სერტიფიცირების ტექნიკურ სტანდარტებს და მექანიზმებს; დაცვის შესაბამის პროცედურას, რომელიც მესამე ქვეყნისთვის, ტერიტორიისთვის, მესამე ქვეყანაში კონკრეტული სექტორისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის არის განკუთვნილი; დაცვის სტანდარტულ პირობებს; დამმუშავებლებს, უფლებამოსილ პირებსა და საზედამხედველო ორგანოებს შორის ელექტრონული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლის ფორმატსა და პროცედურებს სავალდებულო კორპორაციული წესებისათვის; ურთიერთდახმარებას; ელექტრონული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლის სისტემას საზედამხედველო ორგანოებს შორის, ასევე საზედამხედველო ორგანოებსა და საბჭოს შორის.

169) კომისიამ უნდა მიიღოს დაუყოვნებლივ შესასრულებელი საიმპლემენტაციო აქტები იმ შემთხვევებში, თუ არსებული მტკიცებულებიდან ჩანს, რომ მესამე ქვეყანა ან მესამე ქვეყნის კონკრეტული სექტორი ან საერთაშორისო ორგანიზაცია არ უზრუნველყოფს დაცვის სათანადო დონეს და საჭიროა გადაუდებელი

მდგომარეობიდან გამომდინარე.

170) იმის გათვალისწინებით, რომ რეგულაციის მიზანი, კერძოდ, ფიზიკურ პირთა სათანადო დაცვა და პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის უზრუნველყოფა ევროკავშირის მასშტაბით, სათანადოდ ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ და უკეთ შეიძლება იქნეს მიღწეული ევროკავშირის დონეზე, გავრცელების მასშტაბისა და შედეგების გამო, ევროკავშირმა შეიძლება მიიღოს ზომები სუბსიდიარულობის პრინციპიდან გამომდინარე, როგორც ეს მოცემული ევროკავშირის (TEU) ხელშეკრულების მე-5 მუხლში. ამ მუხლში მოცემული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, ეს რეგულაცია არ ცდება მიზნის მიღწევის საჭიროებას.

171) ამ რეგულაციით უქმდება 95/46/EC დირექტივა. დამუშავება, რომელიც მიმდინარეობს ამ რეგულაციის ძალაში შესვლის მომენტში, უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მოცემულ რეგულაციასთან რეგულაციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. თუ დამუშავება ეფუძნება თანხმობას 95/46/EC დირექტივის შესაბამისად, აღარ არის აუცილებელი მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის ხელახლა გამოხატვა, თუ თანხმობის გამოხატვის შეესაბამება ამ რეგულაციის პირობებს, რათა დამმუშავებელმა შეძლოს დამუშავების გაგრძელება რეგულაციის ძალაში შესვლის თარიღიდან. კომისიის მიერ მიღებული გადაწვეტილებები და საზედამხედველო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვები, რომლებიც ეფუძნება 95/46/EC დირექტივას, რჩება ძალაში ჩასწორებამდე, ჩანაცვლებამდე ან გაუქმებამდე.

172) (EC) No 45/2001 რეგულაციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ევროპის მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან შედგა კონსულტაცია და მან 2012 წლის 7 მარტს გამოაქვეყნა მოსაზრება[1].

173) ეს რეგულაცია უნდა გავრცელდეს ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, რომლებიც არ ექვემდებარება იმავე მიზნის მქონე ვალდებულებებს, რომლებიც მოცემულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/58/EC[2] დირექტივა, მათ შორის, დამმუშავებლის ვალდებულებებს და ფიზიკური პირის უფლებებს. ამ რეგულაციასა და 2002/58/EC დირექტივას შორის ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად, ეს დირექტივა შესაბამისად უნდა შესწორდეს. რეგულაციის მიღების შემდეგ დირექტივა 2002/58/EC უნდა გადაიხედოს ამ რეგულაციის თანმიმდევრული შესრულების უზრუნველსაყოფად.

---

[1] OJ C 192, 30.6.2012, გვ.7

[2]ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 12 ივლისის დირექტივა 2002/58/EC, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას და პირადი ცხოვრების დაცვას ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში (დირექტივა პირადი ცხოვრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ) (OJ L 201.31.2002, გვ.37).

თავი 1
ზოგადი დებულებები

მუხლი 1
რეგულაციის საგანი და მიზნები

1. ეს რეგულაცია განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვასთან და მონაცემთა თავისუფალ მიმოცვლასთან დაკავშირებულ წესებს.
2. ეს რეგულაცია იცავს ფიზიკურ პირთა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ, მათი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას.
3. პერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოცვლა ევროკავშირის ფარგლებში არ უნდა შეიზღუდოს ან აიკრძალოს იმ მიზეზების გამო, რომლებიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვას.

მუხლი 2
მატერიალური მოქმედების სფერო

1. ეს რეგულაცია ვრცელდება პერსონალური მონაცემების სრულად ან ნაწილობრივ ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და არაავტომატური საშუალებებით ისეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის შემადგენელი ნაწილია ან უნდა გახდეს ფაილური სისტემის შემადგენელი ნაწილი.
2. ეს რეგულაცია არ ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე:

   ა) იმგვარი საქმიანობისას, რომელიც სცდება ევროკავშირის სამართლის მოქმედების ფარგლებს;

   ბ) რომელსაც ახორციელებს წევრი სახელმწიფო ისეთი საქმიანობისას, რომელზეც ვრცელდება ევროკავშირის ხელშეკრულების V ნაწილის მე-2 თავი;

   გ) რომელსაც ახორციელებს ფიზიკური პირი ცალსახად პირადი ან ოჯახური საქმიანობის ფარგლებში;

   დ) რომელსაც ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, დადგენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის, სასჯელის აღსრულების, მათ შორის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისაგან დაცვისა და მათი პრევენციის დროს.
3. ევროკავშირის ინსტიტუტების, უწყებების, დაწესებულებებისა და სააგენტოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ვრცელდება(EC) No 45/2001 რეგულაცია. (EC) No 45/2001 რეგულაცია (და ევროკავშირის სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც პერსონალური მონაცემების ამგვარ დამუშავებას ეხება, უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგულაციის პრინციპებსა და წესებს, 98-ე მუხლის შესაბამისად.
4. ეს რეგულაცია არ ზღუდავს 2000/31/EC დირექტივის, კერძოდ, ამ დირექტივის მე-12-ე და მე-15-ე მუხლებით განსაზღვრული შუამავალი მომსახურების მიმწოდებლების ვალდებულებებთან დაკავშირებული წესების მოქმედებას.

მუხლი 3
ტერიტორიული მოქმედების სფერო

1. ეს რეგულაცია ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის დაწესებულების მიერ ევროკავშირში განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში, იმის მიუხედავად, დამუშავება ევროკავშირში ხდება თუ არა.
2. რეგულაციის მოქმედება ვრცელდება ევროკავშირში მყოფი მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც არ არის დაფუძნებული ევროკავშირის ტერიტორიაზე იმ შემთხვევებში, როცა დამუშავების პროცესი უკავშირდება:

   ა) ევროკავშირში მყოფი სუბიექტებისათვის საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას მიუხედავად იმისა, მოითხოვს თუ არა ეს მონაცემთა სუბიექტებთან ანგარიშსწორებას; ან

   ბ) მონაცემთა სუბიექტების ქცევის მონიტორინგს, თუ ქცევას ადგილი აქვს ევროკავშირის ტერიტორიაზე.
3. ეს რეგულაცია ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, როცა დამმუშავებელი არ არის დაფუძნებული ევროკავშირში, მაგრამ დაფუძნებულია ისეთ ადგილას, სადაც წევრი სახელმწიფოს კანონი ვრცელდება საერთაშორისო საჯარო სამართლის მოქმედების შედეგად.

მუხლი 4
ტერმინთა განმარტებები

ამ რეგულაციის მიზნებისთვის:

1. ‘პერსონალური მონაცემები’ ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს (‘მონაცემთა სუბიექტს’); იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი არის ის, ვისი პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ისეთი იდენტიფიკატორის გამოყენებით, როგორიცაა სახელი, პირადი ნომერი, ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ, ონლაინ იდენტიფიკატორი ან ფიზიკური პირის იდენტობისათვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, გონებრივი, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ფაქტორით;
2. ‘მონაცემთა დამუშავება’ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან ქმედებათა ერთობლიობას პერსონალურ მონაცემთან ან მონაცემთა ერთობლიობასთან მიმართებაში, ავტომატური თუ სხვა საშუალებებით, როგორიცაა მაგალითად შეგროვება, აღრიცხვა/ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, ამოღება, გაცნობა, გამოყენება, გამჟღავნება გადაცემის, გავრცელების ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფის გზით, დაჯგუფება ან კომბინირება, შეზღუდვა, წაშლა ან განადგურება;
3. ‘დამუშავების შეზღუდვა’ ნიშნავს შენახული პერსონალური მონაცემების მონიშვნას

მომავალში მათი დამუშავების შეზღუდვის მიზნით ;

4. ‘პროფილირება’ ნიშნავს პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ავტომატური ფორმით დამუშავებას, რომელიც მოიცავს პერსონალური მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ჯანმრთელობას, პირად უპირატესობებს, ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილმდებარეობას ან გადაადგილებას;
5. ‘ფსევდონიმიზაცია’ ნიშნავს პერსონალური მონაცემების იმგვარ დამუშავებას, როდესაც დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე შეუძლებელია პერსონალური მონაცემების დაკავშირება კონკრეტულ მონაცემთა სუბიექტთან, იმ პირობით, რომ ეს დამატებითი ინფორმაცია შენახულია ცალკე და ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მეშვეობით მონაცემების დაკავშირება არ ხდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან;
6. ‘ფაილური სისტემა’ ნიშნავს პერსონალური მონაცემების ნებისმიერ სტრუქტურირებულ ერთობლიობას, რომელიც ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის შესაბამისად, ცენტრალიზებულად, დეცენტრალიზებულად, ფუნქციურად თუ გეოგრაფიულად გაშლილი ფორმით;
7. ‘მონაცემთა დამმუშავებელი’ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, დაწესებულებას ან სხვა ორგანოს, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს; იმ შემთხვევებში, როცა ამგვარი დამუშავების მიზნები და საშუალებები დადგენილია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, მონაცემთა დამმუშავებელი ან მისი დანიშვნის კონკრეტული კრიტერიუმები შეიძლება დადგინდეს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით;
8. ‘უფლებამოსილი პირი’ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, დაწესებულებას ან სხვა უწყებას, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს დამმუშავებლის სახელით;
9. ‘მონაცემთა მიმღები’ გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, დაწესებულებას ან სხვა უწყებას, რომელსაც გადაეცემა პერსონალური მონაცემები მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის მესამე მხარეს. თუმცა, მიმღებად არ მიიჩნევიან საჯარო უწყებები, რომელთაც შეიძლება მიიღონ პერსონალური მონაცემები კონკრეტული მოკვლევის ფარგლებში ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად. ამ მონაცემების ამ საჯარო უწყებების მიერ დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დაცვის შესაბამის წესებს დამუშავების მიზნებიდან გამომდინარე;
10. ‘მესამე პირი’ ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საჯარო უწყებას, დაწესებულებას ან სხვა პირს, მონაცემთა სუბიექტის, დამმუშავებლის, უფლებამოსილი პირის ან იმ პირის გარდა, რომელიც უფლებამოსილია დაამუშავოს პერსონალური მონაცემები მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის პირდაპირი დავალებით.
11. მონაცემთა სუბიექტის ‘თანხმობა’ ნიშნავს მონაცემთა სუბიექტის სურვილის ნებაყოფლობით, კონკრეტულ, ინფორმირებულ, მკაფიო გამოხატულებას, რომელიც

გადმოცემულია განცხადებით ან ნათლად და აქტიურად გამოხატული ქმედებით და რომლის საშუალებითაც ის აცხადებს თანხმობას მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

12. 'პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა' ნიშნავს უსაფრთხოების დარღვევას, რომელიც იწვევს გადაცემული, შენახული, ან სხვაგვარად დამუშავებული პერსონალური მონაცემების შემთხვევით ან უკანონო განადგურებას, დაკარგვას, შეცვლას, მათ უკანონო გამჟღავნებას ან მათზე არასანქცირებულ წვდომას;
13. 'გენეტიკური მონაცემები' ნიშნავს ფიზიკური პირის მემკვიდრეობით მიღებულ ან შეძენილ გენეტიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც იძლევა უნიკალურ ინფორმაციას ამ პირის ფიზიოლოგიის ან ჯანმრთელობის შესახებ და მიიღება ფიზიკური პირისგან აღებული ბიოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად;
14. 'ბიომეტრული მონაცემები' ნიშნავს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც მიიღება ფიზიკური პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური ან ქცევითი მონაცემების კონკრეტული ტექნიკური დამუშავების შედეგად და რომელიც იძლევა ფიზიკური პირის უნიკალურად იდენტიფიცირების ან იდენტიფიკაციის დადასტურების საშუალებას, მაგალითად, სახის გამოსახულება ან დაქტილოსკოპიური მონაცემები;
15. 'ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები' ნიშნავს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური პირის ფიზიკურ ან გონებრივ/ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, მათ შორის ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებასთან, რაც ავლენს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას;
16. 'ძირითადი დაწესებულება' ნიშნავს:

    ა) იმ დამმუშავებლის შემთხვევაში, რომელსაც ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში აქვს დაწესებულებები, ევროკავშირში მდებარე ცენტრალურ ადმინისტრაციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საშუალებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებულ სხვა დაწესებულებაში და ამ უკანასკნელს აქვს უფლებამოსილება, რომ აღასრულოს გადაწყვეტილებები. ასეთ შემთხვევაში, დაწესებულება, რომელიც ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებს, ითვლება ძირითად დაწესებულებად;

    ბ) იმ უფლებამოსილი პირის შემთხვევაში, რომელსაც ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში აქვს დაწესებულებები, ევროკავშირში მდებარე ცენტრალურ ადმინისტრაციას. თუ უფლებამოსილ პირს არ აქვს ცენტრალური ადმინისტრაცია ევროკავშირში, ასეთად მიიჩნევა უფლებამოსილი პირის დაწესებულება ევროკავშირში, სადაც დამუშავება ხორციელდება უფლებამოსილი პირის საქმიანობის ფარგლებში, თუ მასზე ვრცელდება ამ რეგულაციით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულებები;
17. 'წარმომადგენელი' ნიშნავს ევროკავშირში დაფუძნებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც დანიშნულია დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, 27-ე მუხლის შესაბამისად და რომელიც წარმოადგენს დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს ამ რეგულაციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისას;
18. 'საწარმო' ნიშნავს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მიუხედავად სამართლებრივი ფორმისა, მათ შორის, პარტნიორულ გაერთიანებებს ან

ასოციაციებს, რომლებიც რეგულარულად არიან ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში;

19. ‘ორგანიზაციათა ჯგუფი’ გულისხმობს მაკონტროლებელ ორგანიზაციას და მის მიერ კონტროლირებულ ორგანიზაციებს;
20. ‘სავალდებულო კორპორაციული წესები’ ნიშნავს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას, რომელსაც იცავს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაფუძნებული მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ერთ ან მეტ მესამე ქვეყანაში არსებული მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირისთვის პერსონალური მონაცემების ერთჯერადი ან მრავალჯერადი გადაცემისას ორგანიზაციათა ჯგუფის ან ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობაში ჩართულ საწარმოთა ჯგუფის ფარგლებში;
21. ‘საზედამხედველო უწყება’ ნიშნავს დამოუკიდებელ საჯარო უწყებას, რომელიც შექმნილია წევრი სახელმწიფოს მიერ 51-ე მუხლის შესაბამისად;
22. ‘დაინტერესებული საზედამხედველო ორგანო’ არის საზედამხედველო ორგანო, რომელიც დაინტერესებულია პერსონალური მონაცემების დამუშავებით, ვინაიდან:

    ა) მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი დაფუძნებულია იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება საზედამხედველო ორგანო;

    ბ) მონაცემთა დამუშავება გავლენას ახდენს ან შესაძლოა მან მოახდინოს არსებითი გავლენა საზედამხედველო ორგანოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მონაცემთა სუბიექტებზე; ან

    გ) საჩივარი წარდგენილია აღნიშნულ საზედამხედველო ორგანოში;
23. ‘საერთაშორისო დამუშავება’ ნიშნავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს:

    ა) პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რომელიც ხდება ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის დაწესებულებების საქმიანობის ფარგლებში ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში, როცა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოშია დაფუძნებული; ან

    ბ) პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რომელიც ხდება ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი დამმუშავებლის ან უფლებამოსილის პირის ერთი დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში, თუ დამუშავება არსებით გავლენას ახდენს ან მან შესაძლოა მოახდინოს არსებითი გავლენა ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში მყოფ მონაცემთა სუბიექტების ინტერესებზე;
24. ‘სათანადო და დასაბუთებული უარი’ ნიშნავს უარს გადაწყვეტილების პროექტზე, რომელიც ეხება ამ რეგულაციის დარღვევის საკითხს, ან იმას, თუ რამდენად შეესაბამება მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიმართ გასატარებელი ზომები ამ რეგულაციას. უარმა ნათლად უნდა აჩვენოს იმ საფრთხეების მნიშვნელობა, რომლებსაც გადაწყვეტილების პროექტი უქმნის მონაცემთა სუბიექტების ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, და შესაბამის შემთხვევებში, ევროკავშირში პერსონალური მონაცემების თავისუფალ მიმოცვლას.
25. ‘ელექტრონული მომსახურება’ ნიშნავს მომსახურებას, რომელიც განმარტებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) 2015/1535 დირექტივის პირველი მუხლის, პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში[17];

[17] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბერის დირექტივა (EU) 2015/1535, რომელიც განსაზღვრავს

26. 'საერთაშორისო ორგანიზაცია' ნიშნავს ორგანიზაციას და მის დაქვემდებარებაში არსებულ უწყებებს, რომლებიც რეგულირდება საერთაშორისო საჯარო სამართლით ან ნებისმიერ სხვა უწყებას, რომელიც ორ ან მეტ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებით ან ხელშეკრულების საფუძველზე არის შექმნილი.

თავი 2
პრინციპები

მუხლი 5
პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული პრინციპები

1. პერსონალური მონაცემები:

ა) უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ მონაცემთა სუბიექტთან მიმართებით ('კანონიერება, სამართლიანობა, გამჭვირვალობა');

ბ) უნდა შეგროვდეს კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნისათვის და არ უნდა დამუშავდეს სხვა, ამ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. მონაცემთა შემდგომი დამუშავება საჯარო ინტერესისათვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არ უნდა ჩაითვალოს თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელ მიზნად ('მიზნის შეზღუდვა');

გ) უნდა იყოს ადეკვატური, რელევანტური და დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია დამუშავების მიზნების მისაღწევად ('მონაცემთა მინიმიზაცია');

დ) უნდა იყოს ზუსტი და საჭიროებისამებრ განახლდეს. აუცილებელია ყველა გონივრული ზომის მიღება არაზუსტი პერსონალური მონაცემების დაუყოვნებლივ წასაშლელად ან შესასწორებლად მათი დამუშავების მიზნების გათვალისწინებით ('სიზუსტე');

ე) უნდა იყოს შენახული ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას არაუმეტეს იმ დროისა, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნებისათვის. პერსონალური მონაცემების შენახვა უფრო ხანგრძლივი დროით დასაშვებია იმ პირობით, თუ მონაცემთა დამუშავება მოხდება მხოლოდ საჯარო ინტერესებისათვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რისთვისაც უნდა იქნას მიღებული ამ რეგულაციით მოთხოვნილი სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად ("შენახვის ვადის შეზღუდვა')

ვ) უნდა დამუშავდეს იმგვარად, რომ სათანადო ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომების მეშვეობით უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება, მათ შორის,

---

ინფორმაციის მიწოდების პროცედურას ელექტრონული მომსახურების ტექნიკური რეგულაციებისა და წესების სფეროში (OJ L 241, 17.9.2015, გვ.1)

დაცული იყოს უკანონო და არაუფლებამოსილი პირების მიერ დამუშავების, შემთხვევით დაკარგვის, განადგურების ან დაზიანებისაგან (‘უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა’);

2. მონაცემთა დამმუშავებელი პასუხისმგებელია დამუშავების პრინციპების დაცვაზე და უნდა შეეძლოს პირველი პუნქტის პრინციპებთან შესაბამისობის დემონსტრირება (‘ანგარიშვალდებულება’).

მუხლი 6
მონაცემთა დამუშავების კანონიერება

1. მონაცემთა დამუშავება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ მოცულობით, თუ:

   ა) მონაცემთა სუბიექტი განაცხადებს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ერთი ან მეტი კონკრეტული მიზნისათვის;

   ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად, ან სუბიექტის თხოვნით ხელშეკრულების გაფორმებამდე გარკვეული ზომების მისაღებად;

   გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებელზე დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად;

   დ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;

   ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად ან მონაცემთა დამმუშავებლისათვის მინიჭებული ოფიციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად;

   ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ ინტერესებს აღემატება იმ მონაცემთა სუბიექტის ინტერესები ან ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, რომელიც მოითხოვს მონაცემთა დაცვას, განსაკუთრებით თუ მონაცემთა სუბიექტი ბავშვია.

   პუნქტი „ვ“ არ ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ თავიანთი ამოცანების შესრულების მიზნით მონაცემების დამუშავებაზე.

2. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა მიიღონ ან წარადგინონ უფრო კონკრეტული დებულებები ამ რეგულაციის წესების პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად მონაცემთა დამუშავების ადაპტირების მიზნით, კონკრეტული მოთხოვების უფრო ზუსტად ჩამოსაყალიბებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას დამუშავების კანონიერება და სამართლიანობა, მათ შორის ცალკეული ტიპის დამუშავების შემთხვევებში, რომლებიც მოცემულია IX თავში.
3. პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული მონაცემთა დამუშავების საფუძველი უნდა განისაზღვროს:

ა) ევროკავშირის კანონით; ან
ბ) წევრი სახელმწიფოს კანონით, რომელიც ვრცელდება მონაცემთა დამმუშავებელზე.

მონაცემთა დამუშავების მიზანი უნდა განისაზღვროს მითითებულ კანონში ან პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, ეს აუცილებელი უნდა იყოს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე ფუნქციების შესასრულებლად ან მონაცემთა დამმუშავებლისათვის მინიჭებული ოფიციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად. ეს კანონი შეიძლება შეიცავდეს კონკრეტულ დებულებებს ამ რეგულაციით განსაზღვრული წესების გასავრცელებლად, მათ შორის: მონაცემთა დამუშავების კანონიერების ზოგად პირობებს, დამუშავებულ მონაცემთა სახეობებს, მონაცემთა სუბიექტებს, დაწესებულებებს, რომელსაც შეიძლება გადაეცეთ მონაცემები და გადაცემის მიზნებს, მიზნებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, შენახვის ვადებს და დამუშავების პროცედურებს, მათ შორის, დამუშავების კანონიერებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, როგორიცაა IX თავში მოცემული დამუშავების სპეციფიური შემთხვევები. ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონი უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინტერესის მიზნებს და უნდა იყოს დასახული კანონიერი მიზნის პროპორციული.

4. თუ პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველი მიზნისგან განსხვავებული მიზნით ხდება დამუშავება, არ ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის თანხმობას ან კავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონს, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმოადგენს 23-ე მუხლის პირველი პუნქტში ჩამოთვლილი მიზნების დაცვის აუცილებელ და პროპორციულ ზომას, მონაცემთა დამმუშავებელმა, იმის დასადგენად, თუ რამდენად თავსებადია დამუშავების ახალი მიზანი პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველ მიზანთან, უნდა გაითვალისწინოს, მათ შორის, შემდეგი:
ა) მონაცემების შეგროვების თავდაპირველ მიზანსა და შემდგომი დამუშავების მიზანს შორის ნებისმიერი კავშირი;
ბ) მიზეზი, რის საფუძველზეც შეგროვდა პერსონალური მონაცემები, განსაკუთრებით, მონაცემთა სუბიექტსა და დამმუშავებელს შორის ურთიერთობა;
გ) პერსონალური მონაცემების შინაარსი/ხასიათი, განსაკუთრებით, მუშავდება თუ არა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები მე-9-ე მუხლის შესაბამისად, ან ნასამართლობასთან და სისხლის სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები მე-10-ე მუხლის შესაბამისად;
დ) შემდგომი დამუშავების სავარაუდო შედეგები მონაცემთა სუბიექტებისთვის;
ე) უსაფრთხოების სათანადო გარანტიების არსებობა, რაც შესაძლოა მოიცავდეს დაშიფრვას ან ფსევდონიმიზაციას.

მუხლი 7
თანხმობის პირობები

1. თუ მონაცემთა დამუშავების საფუძველს წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამმუშავებელს უნდა დადასტურება, რომ მონაცემთა სუბიექტმა თანხმობა განაცხადა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

2. თუ მონაცემთა სუბიექტი თანხმობას გამოხატავს წერილობით დოკუმენტში, რომელიც სხვა საკითხებსაც არეგულირებს, თანხმობასთან დაკავშირებული ტექსტი/განცხადება უნდა იყოს მოცემული იმგვარად, რომ ნათლად გამოირჩეოდეს სხვა საკითხებისაგან, იყოს გასაგები და იოლად აღქმადი, დაწერილი ნათელი და მარტივი ენით. ამ ტექსტის/განცხადების ნებისმიერი ნაწილი, რომელიც არღვევს ამ რეგულაციას, არ იქნება შესასრულებლად სავალდებულო.
3. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გაითხოვოს თანხმობა. თანხმობის გათხოვა არ ახდენს გავლენას მის გათხოვამდე, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე განხორციელებული დამუშავების კანონიერებაზე. თანხმობის გაცემამდე მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს აღნიშნულის თაობაზე. თანხმობის გათხოვა ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორც მისი გაცემაა.
4. თანხმობის ნებაყოფლობითობის შეფასებისას მხედველობაში მათ შორის ის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თუ რამდენად იყო დამოკიდებული ხელშეკრულების შესრულება ან მომსახურების მიწოდება იმგვარი მონაცემების დამუშავებაზე, რომლებიც არ იყო აუცილებელი ამ ხელშეკრულების შესასრულებლად ან მომსახურების მისაწოდებლად.

მუხლი 8

არასრულწლოვანის თანხმობის პირობები ელექტრონული მომსახურების შეთავაზებისას

1. მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ელექტრონული მომსახურების პირდაპირ არასრულწლოვნისთვის შეთავაზების შემთხვევაში, არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერად ჩაითვლება თუ არასრულწლოვანი სულ მცირე 16 წლისაა. თუ არასრულწლოვანს არ შესრულებია 16 წელი, ასეთი დამუშავება კანონიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა გაცემულია ან დამუშავება ნებადართულია მშობლის უფლების მქონე პირის მიერ.

ამ მიზნით წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია კანონმდებლობით დააწესოს უფრო დაბალი ასაკი, მაგრამ არანაკლებ 13 წლისა.

2. არსებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა მიიღოს გონივრული ზომები, რათა დაადგინოს, არის თუ არა თანხმობა გაცემული ან ნებადართული მშობლის უფლების მქონე პირის მიერ.
3. პირველი პუნქტი გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოების სახელშეკრულებო სამართალის იმ ნორმებზე, რომლებიც ეხება ხელშეკრულების ნამდვილობას, მის შედგენას და შედეგებს არასრულწლოვანთან მიმართებით.

მუხლი 9

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება

1. აკრძალულია ისეთი მონაცემების დამუშავება, რომლებიც ამჟღავნებს პირის რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ასევე გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება, რომლის მიზანი ფიზიკური პირის უნიკალურად იდენტიფიცირებაა, აგრეთვე ჯანმრთელობასთან, ფიზიკური პირის სქესობრივ ცხოვრებასთან ან სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება.
2. პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის ნათლად გამოხატული თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით ამგვარი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წევრი სახელმწიფოს კანონის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი ვერ ეწინააღმდეგება პირველ პუნქტში მითითებულ აკრძალვას;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში დამმუშავებელზე ან მონაცემთა სუბიექტზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, და კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად, თუ ეს ნებადართულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებით და წევრი სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დაცვის სათანადო მექანიზმებს;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად არ შესწევს უნარი, თანხმობა განაცხადოს დამუშავებაზე;

დ) დამუშავება ხორციელდება სათანადო გარანტიების დაცვით ფონდის, ასოციაციის ან სხვა არაკომერციული პირის მიერ პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული კავშირის მიზნებისათვის კანონიერი საქმიანობის განხორციელებისას და იმ პირობით, რომ დამუშავება უკავშირდება მხოლოდ ორგანიზაციის მოქმედ ან ყოფილ წევრებს ან პირებს, რომელთაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან მისი მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო მონაცემების გამჟღავნება ორგანიზაციის გარეთ არ მოხდება მონაცემთა სუბიექტების თანხმობის გარეშე;

ე) დამუშავება უკავშირდება ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც თავად სუბიექტმა ცალსახად საჯაროდ გამოაქვეყნა;

ვ) დამუშავება აუცილებელია სამართლებრივი მოთხოვნის დასამტკიცებლად, განსახორციელებლად ან დასაცავად ან როდესაც სასამართლოები ახორციელებენ მართლმსაჯულებას;

ზ) დამუშავება აუცილებელია არსებითი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე, რომელიც დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, პატივს სცემდეს მონაცემთა დაცვის უფლების არსს და ითვალისწინებდეს სათანადო და კონკრეტულ ღონისძიებებს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

თ) დამუშავება აუცილებელია პრევენციული მედიცინის ან შრომითი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, დასაქმებულის სამუშაო შესაძლებლობების შესაფასებლად, სამედიცინო დიაგნოზის დასასმელად, ჯანდაცვის ან სოციალური დაცვის

უზრუნველსაყოფად, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროსა და შესაბამისი მომსახურების სამართავად ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის ან სამედიცინო სფეროს სპეციალისტთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია მე-3 პუნქტში მითითებული პირობები და დაცვის გარანტიები;

ი) დამუშავება აუცილებელია საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, როგორიცაა მაგალითად ჯანმრთელობის სერიოზული საერთაშორისო საფრთხეებისგან დაცვა ან ჯანდაცვის მომსახურების, სამედიცინო პროდუქტებისა და მოწყობილობების ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სათანადო გარანტიები, განსაკუთრებით, პროფესიული საიდუმლოების დაცვა;

კ) დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესებისათვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად, რომელიც დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, პატივს სცემდეს მონაცემთა დაცვის უფლებას და ითვალისწინებდეს სათანადო და კონკრეტულ ღონისძიებებს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

3. პირველ პუნქტში მითითებული პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, როცა ეს მონაცემები მუშავდება იმ პროფესიონალის მიერ ან მისი ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც აქვს პროფესიული საიდუმლოს შენახვის ვალდებულება ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის ან კომპეტენტური ეროვნული უწყების მიერ დადგენილი წესების თანახმად, ან სხვა პირის მიერ, რომელსაც აქვს კონფიდენციალობის ვალდებულება ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის ან კომპეტენტური ეროვნული უწყებების მიერ დადგენილი წესების თანახმად.
4. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეინარჩუნონ ან დააწესონ დამატებითი პირობები, მათ შორის, შეზღუდვები, რომლებიც ეხება გენეტიკური, ბიომეტრიული ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას.

მუხლი 10

ნასამართლობასთან და დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება

მე-6-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ნასამართლობასთან, დანაშაულის ჩადენასთან ან შესაბამისი უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება უნდა მოხდეს მხოლოდ ოფიციალური ორგანოს კონტროლის ქვეშ, ან როდესაც დამუშავება გათვალისწინებულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონით, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სათანადო გარანტიებს. ნასამართლობების სრულყოფილი რეესტრის წარმოება

დასაშვებია მხოლოდ ოფიციალური ორგანოს კონტროლის ქვეშ.

მუხლი 11

მონაცემთა დამუშავება, რომელიც არ მოითხოვს სუბიექტის იდენტიფიცირებას

1. თუ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები არ ან აღარ მოითხოვს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებას, მონაცემთა დამმუშავებელს არ უნდა დაეკისროს დამატებითი ინფორმაციის შენახვის, მოპოვების ან დამუშავების ვალდებულება მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირებისთვის მხოლოდ ამ რეგულაციის შესრულების მიზნით.
2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში მონაცემთა დამმუშავებელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ მას არ აქვს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალება, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს, თუ ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევებზე არ გავრცელდება რეგულაციის მე-15-მე-20 მუხლების მოქმედება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტი ამ მუხლებით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობის მიზნით წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, რომელიც მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

თავი III

მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ნაწილი 1

გამჭვირვალობა და პრაქტიკული ასპექტები

მუხლი 12

გამჭვირვალე ინფორმაცია, კომუნიკაცია და მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელების თავისებურებები

1. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს მე-13 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი ინფორმაცია და წარმართოს მასთან 15-22 მუხლებითა და 34-ე მუხლით განსაზღვრული კომუნიკაცია მოკლე, გამჭვირვალე, გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომი ფორმით, ნათელი და მარტივი ენით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნული ეხება არასრულწლოვანისთვის მიწოდებულ ინფორმაციას. ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს წერილობით ან სხვა ფორმით, მათ შორის სათანადო შემთხვევებში ელექტრონულად. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ზეპირი ფორმით, იმ პირობით, რომ მონაცემთა სუბიექტის ვინაობა სხვა საშუალებებით დასტურდება.
2. დამმუშავებელმა ხელი უნდა შეუწყოს მონაცემთა სუბიექტის მიერ 15-22 მუხლებით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას. ამ რეგულაციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამმუშავებელმა არ

უნდა თქვას უარი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე, რომელიც შეეხება მის მიერ 15-22 მუხლებით განსაზღვრული უფლებების განხორციელებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამმუშავებელი წარადგენს მტკიცებულებას, , რომ მას არ აქვს მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალება.

3. დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ ან ნებისმიერ შემთხვევაში მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მიაწოდოს ინფორმაცია 15-22-ე მუხლების შესაბამისად მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შესახებ. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორი თვით საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნათა სირთულიდან და რაოდენობიდან გამომდინარე. დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა შეატყობინოს ვადის გაგრძელების და დაყოვნების მიზეზების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარდგენის შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია, ინფორმაცია უნდა გადაეცეს ამავე ფორმით, , გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს სხვაგვარად.
4. თუ დამმუშავებელი უარს აცხადებს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესრულებაზე, მან დაუყოვნებლივ ან მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უნდა აცნობოს მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნაზე უარის მიზეზების შესახებ და ასევე აცნობოს აღნიშნულის საზედამხედველო ორგანოში ან სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ.
5. მე-13 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება და ასევე ნებისმიერი კომუნიკაცია და ღონისძიებები 15-22 და 34-ე მუხლების თანახმად განხორციელებული კომუნიკაცია და ღონისძიებები უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ. თუ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნები ცალსახად დაუსაბუთებელი ან გადაჭარბებულად მოცულობითია, განსაკუთრებით მათი განმეორებითი ხასიათის გამო, დამმუშავებელი უფლებამოსილია:

ა) დააწესოს გონივრული საფასური, ინფორმაციის მიწოდების, კომუნიკაციის ან მოთხოვნილი ქმედებების განხორციელების ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით; ან

ბ) უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე.

დამმუშავებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა ცალსახად უსაფუძვლო ან გადაჭარბებულად მოცულობითია.

6. მე-11-ე მუხლით განსაზღვრული წესის შეზღუდვის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ დამმუშავებელს აქვს გონივრული ეჭვი 15-21 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის წარმდგენი პირის ვინაობასთან დაკავშირებით, დამმუშავებელი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რაც საჭიროა მონაცემთა სუბიექტის ვინაობის დასადგენად.
7. მე-13-ე და მე-14-ე მუხლების თანახმად მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდებისას შეიძლება ამავდროულად გამოყენებულ იქნას სტანდარტიზებული სიმბოლოები, რათა თვალსაჩინოდ, გასაგებად და ნათლად იქნას აღწერილი დაგეგმილი მონაცემთა დამუშავების პროცესი. ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი სიმბოლოები უნდა იყოს ელექტრონულად წაკითხვადი.

8. ევროკომისია უფლებამოსილია 92-ე მუხლის შესაბამისად მიიღოს დელეგირებული აქტები სტანდარტიზებული სიმბოლოებით გადმოცემული ინფორმაციისა და სტანდარტიზებული სიმბოლოების მიწოდების პროცედურის დადგენის მიზნით.

ნაწილი 2
ინფორმაცია და პერსონალურ მონაცემებზე წვდომა
მუხლი 13
მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა უშუალოდ მისგან შეგროვების შემთხვევაში

1. მონაცემთა უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას, დამმუშავებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) დამმუშავებლის და მისი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკონტაქტო ინფორმაცია;

გ) მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი;

დ) თუ მონაცემები მუშავდება მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამმუშავებლის ან მესამე პირის მიერ განსაზღვრული კანონიერი ინტერესების შესახებ;

ე) მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მიმღებთა კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციას, რომ დამმუშავებელი გეგმავს მონაცემთა გადაცემას საერთაშორისო ან მესამე სახელმწიფოს ორგანიზაციაში და ამ შემთხვევაში არსებობს თუ არა ევროკომისიის მიერ მიღებული შესაბამისობის გადაწყვეტილება; ან 46-ე ან 47-ე მუხლებით ან 49-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა გადაცემის შემთხვევებში, მონაცემთა დაცვის შესაბამისი გარანტიების შესახებ მითითება და ინფორმაცია, მონაცემების ასლის მოპოვების გზებისა და მათი განთავსების წყაროს შესახებ.

2. პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის გარდა, მონაცემთა სამართლიანად და გამჭვირვალედ დამუშავების მიზნებისთვის, დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

ა) მონაცემთა შენახვის ვადა, ან თუ ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, მონაცემთა შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები;

ბ) მონაცემთა სუბიექტის უფლების არსებობის შესახებ, რომ მას შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა, მოითხოვოს მათი გასწორება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და ასევე მონაცემთა გადატანა;

გ) თუ მონაცემები მუშავდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ან მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ინფორმაცია უფლების შესახებ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია გამოითხოვოს თანხმობა, იმ პირობით, რომ აღნიშნულს გავლენა თანხმობის გამოთხოვამდე თანხმობის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების

კანონიერებაზე გავლენა არ ექნება;
დ) საზედამხედველო ორგანოსთვის საჩივრით მიმართვის უფლების შესახებ;
ე) მონაცემთა სუბიექტისგან მის შესახებ მონაცემების მოთხოვნა წარმოადგენს კანონისმიერ თუ სახელშეკრულებო მოთხოვნას, ან ხელშეკრულების დასადებად აუცილებელ პირობას, აგრეთვე მონაცემთა სუბიექტისთვის სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება და ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები;
ვ) გადაწყვეტილების ავტომატიზებულად მიღების, მათ შორის, 22-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული „პროფილირების", და ამგვარ შემთხვევებში სულ მცირე მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების, საჭიროების და მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგების შესახებ;

3. იმ შემთხვევაში თუ დამმუშავებელი გეგმავს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას მონაცემთა შეგროვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით, ამ მიზნით მონაცემთა დამუშავებამდე მონაცემთა სუბიექტს უნდა აცნობოს განსხვავებული მიზნის შესახებ და მიაწოდოს სხვა შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია მე-2 პუნქტის შესაბამისად.
4. პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება არ არის სავალდებულო, თუ აღნიშნულ ინფორმაციას უკვე ფლობს მონაცემთა სუბიექტი.

მუხლი 14
მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება თუ მონაცემთა შეგროვება არ ხდება უშუალოდ მისგან

1. თუ მონაცემთა შეგროვება არ ხდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან, დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) დამმუშავებლის და მისი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკონტაქტო ინფორმაცია;
გ) მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი;
დ) პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები;
ე) მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მიმღებთა კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) ასეთის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციას, რომ დამმუშავებელი გეგმავს მონაცემთა გადაცემას საერთაშორისო ან მესამე სახელმწიფოს ორგანიზაციაში და ამ შემთხვევაში არსებობს თუ არა ევროკომისიის მიერ მიღებული შესაბამისობის გადაწყვეტილება; ან 46-ე ან 47-ე მუხლებით ან 49-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა გადაცემის შემთხვევებში, მონაცემთა დაცვის შესაბამისი გარანტიების შესახებ მითითება და ინფორმაცია, მონაცემების ასლის მოპოვების გზებისა და მათი განთავსების

წყაროს შესახებ.დამმუშა

2. პირველი პუნქტში მითითებული ინფორმაციის გარდა, მონაცემთა სამართლიანად და გამჭვირვალედ დამუშავების მიზნებისთვის, დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

ა) მონაცემთა შენახვის ვადა, ან თუ ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, მონაცემთა შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები;;

ბ) თუ მონაცემები მუშავდება მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამმუშავებლის ან მესამე პირის მიერ განსაზღვრული კანონიერი ინტერესების შესახებ;;

გ) მონაცემთა სუბიექტის უფლების არსებობის შესახებ, რომ მას შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა, მოითხოვოს მათი გასწორება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და ასევე მონაცემთა გადატანა;

დ) თუ მონაცემები მუშავდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ან მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ინფორმაცია უფლების შესახებ, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია გამოითხოვოს თანხმობა, იმ პირობით, რომ აღნიშნულს გავლენა თანხმობის გამოთხოვამდე თანხმობის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე გავლენა არ ექნება;

ე) საზედამხედველო ორგანოსთვის საჩივრით მიმართვის უფლების შესახებ;

ვ) მონაცემთა შეგროვების წყარო და ასეთის არსებობის შემთხვევაში , მითითება რომ აღნიშნული წარმოადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროს;

ზ) გადაწყვეტილების ავტომატიზებულად მიღების, მათ შორის, 22-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული „პროფილირების“, და ამგვარ შემთხვევებში სულ მცირე მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების, საჭიროების და მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგების შესახებ.

3. პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული ინფორმაცია დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს:

ა) მონაცემების შეგროვების შემდგომ გონივრულ ვადაში, თუმცა არაუგვიანეს ერთი თვისა, მონაცემების დამუშავების სპეციფიური გარემოებების გათვალისწინებით:

ბ) თუ მონაცემები გამოიყენება მონაცემთა სუბიექტთან კომუნიკაციის მიზნით, არაუგვიანეს მონაცემთა სუბიექტთან კავშირის პირველად დამყარებისას; ან

გ) თუ მონაცემები გამიზნულია სხვა მიმღებისთვის გადასაცემად, არა უგვიანეს მონაცემების პირველად გადაცემის მომენტისა.

4. იმ შემთხვევაში თუ დამმუშავებელი გეგმავს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას მონაცემთა შეგროვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით, ამ მიზნით მონაცემთა დამუშავებამდე მონაცემთა სუბიექტს უნდა აცნობოს განსხვავებული მიზნის შესახებ და მიაწოდოს სხვა შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია მე-2 პუნქტის შესაბამისად.

5. პირველი და მე-4 პუნქტები არ ვრცელდება დამმუშავებელზე თუ:

ა) მონაცემთა სუბიექტი უკვე ფლობს ჩამოთვლილ ინფორმაციას;

ბ) მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ/გაუმართლებელ ძალისხმევასთან, კერძოდ, საჯარო ინტერესის ფარგლებში მონაცემთა არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან

სტატისტიკური მიზნებით დამუშავების შემთხვევაში 89-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა და უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, ან იმ შემთხვევებში, როცა ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება შეუძლებელია ან მნიშვნელოვნად დააზიანებს მონაცემთა დამუშავების მიზნების მიღწევას. ამგვარ შემთხვევებში, დამმუშავებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

გ) მონაცემთა შეგროვება ან გაცემა გათვალისწინებულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელიც ვრცელდება დამმუშავებელზე და განსაზღვრავს მონაცემთა სუბიექტის კანონიერი ინტერესების დაცვის სათანადო ზომებს; ან

დ) მონაცემთა კონფიდენციალობა უნდა იყოს დაცული ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს პროფესიული საიდუმლოების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რაც ასევე მოიცავს კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას საიდუმლოების დაცვის შესახებ.

მუხლი 15
მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მონაცემთა დამმუშავებლისაგან მოითხოვოს დადასტურება, მუშავდება თუ არა მისი მონაცემები და დადასტურების შემთხვევაში, მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მონაცემთა დამუშავების მიზნები;

ბ) დამუშავებულ მონაცემთა კატეგორიები;

გ) მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მიმღების კატეგორია, რომელსაც გადაეცა ან მომავალში გადაეცემა მონაცემები, განსაკუთრებით თუ მონაცემთა მიმღებებს წარმოადგენენ მესამე სახელმწიფოებში რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციები;

დ) მონაცემთა შენახვის ვადა, ან თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები;

ე) მონაცემთა სუბიექტის უფლების არსებობის შესახებ, რომ მას შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა, მოითხოვოს მათი გასწორება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და ასევე მონაცემთა გადატანა;

ვ) საზედამხედველო ორგანოსთვის საჩივრით მიმართვის უფლების შესახებ;

ზ) თუ მონაცემებთა შეგროვება არ ხდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია მათი შეგროვების წყაროს შესახებ;

თ) გადაწყვეტილების ავტომატიზებულად მიღების, მათ შორის, 22-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული „პროფილირების“, და ამგვარ შემთხვევებში სულ მცირე მნიშვნელოვანი/არსებითი ინფორმაცია გამოყენებული ლოგიკის/კრიტერიუმების, საჭიროების და მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგების შესახებ;.

2. მონაცემთა მესამე სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიიღოს ინფორმაცია მონაცემთა გადაცემასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სათანადო

გარანტიების შესახებ 46-ე მუხლის შესაბამისად;

3. დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს დამუშავებულ მონაცემთა ასლი. მონაცემთა სუბიექტის მიერ დამატებითი ასლების მოთხოვნის შემთხვევაში, დამმუშავებელი უფლებამოსილია დააწესოს გონივრული საფასური ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით. თუ მონაცემთა სუბიექტი მოთხოვნას წარადგენს ელექტრონული ფორმით, მის მიერ სხვაგვარი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს საზოგადოდ მიღებული/გავრცელებული ელექტრონული საშუალებით.
4. მე-3-ე პუნქტში მითითებული ასლის მოთხოვნის უფლებამ არ უნდა იქონიოს უარყოფით გავლენა სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებზე.

ნაწილი 3
გასწორება და წაშლა
მუხლი 16
მონაცემთა გასწორების უფლება

მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოითხოვოს მის შესახებ მცდარი/არაზუსტი მონაცემების დაუყოვნებლივ/გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე გასწორება. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს არასრული მონაცემების შევსება, მათ შორის, დამატებითი ცნობის/დოკუმენტის წარდგენის გზით.

მუხლი 17
მონაცემთა წაშლის უფლება („დავიწყების უფლება“)

1. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა დაუყოვნებლივ/გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე წაშლა და დამმუშავებელი ვალდებულია, წაშალოს აღნიშნული მონაცემები თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

ა) მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც მოხდა მათი შეგროვება ან სხვაგვარად დამუშავება;

ბ) მონაცემთა სუბიექტი გაითხოვს თანხმობას, რომელიც იყო მონაცემთა დამუშავების საფუძველი მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ან მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აღარ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძველი;

გ) მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვა მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი, ან მონაცემთა სუბიექტი ითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

დ) მონაცემების დამუშავება მოხდა უკანონოდ;

ე) მონაცემები უნდა წაიშალოს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს იმ საკანონმდებლო

ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც დამმუშავებლისთვის შესასრულებლად სავალდებულოა;
ვ) მონაცემები შეგროვდა მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული მომსახურებისთვის.

2. დამმუშავებელის მიერ მონაცემთა გასაჯაროების შემთხვევაში და პირველი პუნქტის შესაბამისად მას ეკისრება მათი წაშლის ვალდებულება, ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და განხორციელების ხარჯების გათვალისწინებით, მან უნდა მიიღოს გონივრული ზომები (მათ შორის ტექნიკური), რათა შეატყობინოს მონაცემთა სხვა დამმუშავებლებს მონაცემებთან დაკავშირებული ნებისმიერი ბმულის, მათი ასლის ან დუბლიკატის წაშლის თაობაზე მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესახებ.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები არ ვრცელდება თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია:

ა) გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელებისათვის;
ბ) ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად დამმუშავებლის კანონისმიერი ვალდებულების შესასრულებლად, ან საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ფუნქციების შესასრულებლად ან დამმუშავებლისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;
გ) საჯარო ინტერესის მიზნებისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
დ) საჯარო ინტერესებისათვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას; ან
ე) სამართლებრივი მოთხოვნის დადგენის, განხორციელების ან დაცვის მიზნებისთვის.

მუხლი 18
მონაცემთა დაბლოკვის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება დამმუშავებლისაგან მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) მონაცემთა სუბიექტი სადავოდ ხდის მონაცემთა სიზუსტეს, ვიდრე დამმუშავებელი არ შეამოწმებს მონაცემთა სიზუსტეს;
ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა, მონაცემთა სუბიექტი უარს აცხადებს/ეწინააღმდეგება მონაცემთა წაშლას და სანაცვლოდ ითხოვს მათ დაბლოკვას;
გ) მონაცემები აღარ არის საჭირო მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა, მონაცემთა სუბიექტს ისინი ესაჭიროება სამართლებრივი მოთხოვნის დადგენის, განხორციელების ან დაცვის მიზნით;
დ) მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას 21-ე მუხლის

პირველი პუნქტის შესაბამისად, ვიდრე არ დადგინდება დამმუშავებლის კანონიერი საფუძვლების უპირატესობა მონაცემთა სუბიექტის ინტერესებთან;

2. პირველი პუნქტის შესაბამისად მონაცემთა დაბლოკვის შემთხვევაში, ასეთი მონაცემები, გარდა მათი შენახვისა, შესაძლოა დამუშავდეს მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, ან სამართლებრივი მოთხოვნის დადგენის, განხორციელების ან დაცვის მიზნით, ან სხვა როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირების უფლებების დასაცავად, ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით.
3. მონაცემთა სუბიექტს, რომელმაც პირველი პუნქტის შესაბამისად მოითხოვა მონაცემთა დაბლოკვა, უფლება აქვს წინასწარ იყოს ინფორმირებული მონაცემთა დაბლოკვის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 19
მონაცემთა გასწორების, წაშლის ან დაბლოკვის შესახებ შეტყობინების ვალდებულება

დამმუშავებელმა მე-16, მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად მონაცემთა გასწორების, წაშლის ან დაბლოკვის თაობაზე უნდა შეატყობინოს მონაცემთა ყველა მიმღებს ვისზეც მოხდა მონაცემებთა გაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას. დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მას უნდა აცნობოს მონაცემთა მიმღებების შესახებ.

მუხლი 20
პერსონალურ მონაცემთა პორტირების (გადატანის) უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამმუშავებლისაგან სტრუქტურიზებულად, გამოყენებადი და ელექტრონული ფორმით მიიღოს ის მონაცემები, რომლებიც თავადვე მიაწოდა მას, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადაიტანოს აღნიშნული მონაცემები სხვა დამმუშავებელთან, თუ:

ა) მონაცემთა დამუშავების საფუძველს წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ან მე მუხლის მე-2 პუნქტის ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელშეკრულებო ვალდებულება; და

ბ) მონაცემთა დამუშავება ხდება ავტომატურად.

2. პირველი პუნქტის შესაბამისად მონაცემთა პორტირების (გადატანის) უფლების განხორციელების ფარგლებში, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს მონაცემთა ერთი დამმუშავებლისაგან მეორისათვის პირდაპირი გადაცემა, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელება უნდა მოხდეს მე-17 მუხლის გათვალისწინებით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ფუნქციების/ამოცანების შესასრულებლად ან დამმუშავებლისათვის კანონით

მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

4. პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლების განხორციელებამ არ უნდა დააზიანოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

ნაწილი 4
მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება და ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება

მუხლი 21
მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, მოითხოვოს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად მონაცემთა დამუშავების, მათ შორის პროფილირების შეწყვეტა,. ასეთ შემთხვევაში, დამმუშავებელმა აღარ უნდა დაამუშავოს მონაცემები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას გააჩნია მონაცემთა დამუშავების კანონიერი საფუძველი , რომელიც აღემატება მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და თავისუფლებებს, ან ამგვარი დამუშავება აუცილებელია სამართლებრივი მოთხოვნის დადგენის, განხორციელების ან დაცვის მიზნით.
2. თუ მონაცემები მუშავდება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ მიზნით მონაცემთა დამუშავების მათ შორის პროფილირების შეწყვეტა, .
3. თუ სუბიექტი მოითხოვს მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტას პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, მონაცემთა შემდგომი დამუშავება ამ მიზნისათვის დაუშვებელია.
4. მონაცემთა სუბიექტს პირდაპირ/ცალსახად უნდა განემარტოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი უფლების შესახებ, არაუგვიანეს მასთან კომუნიკაციის პირველად დამყარებისა. ეს ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს მკაფიოდ/ნათლად/გარკვევით და ნებისმიერი სხვა ინფორმაციისაგან განცალკევებულად.
5. 2002/58/EC დირექტივის მიუხედავად , ელექტრონული მომსახურების გამოყენებისას, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია განახორციელოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნასთან დაკავშირებული მისი უფლება ავტომატური საშუალებების გამოყენებით, ტექნიკური მახასიათებლების გამოყენებით.
6. თუ მონაცემთა დამუშავება ხდება სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის 89-ე მუხლის პირველ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, მოითხოვოს მისი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ფუნქციების/ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 22
ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის პროფილირება

1. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს/უარი განაცხადოს მხოლოდ ავტომატიზებულად დამუშავების, მათ შორის პროფილირების გზით მის შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებაზე, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებით შედეგებს;
2. პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღება:

ა) აუცილებელია მონაცემთა სუბიექტსა და დამმუშავებელს შორის ხელშეკრულების დასადებად ან შესასრულებლად;

ბ) დასაშვებია/გათვალისწინებულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონით, რომელიც ვრცელდება დამმუშავებელზე და რომელიც ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიებს; ან

გ) ეფუძნება მონაცემთა სუბიექტის აშკარად გამოხატულ თანხმობას.

3. მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, დამმუშავებელმა უნდა მიიღოს სათანადო ზომები მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლების და კანონიერი ინტერესების დასაცავად, სულ მცირე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის, და მონაცემთა სუბიექტისთვის მისი მოსაზრება გამოთქმის საშუალების და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის მიცემის გზით.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება არ უნდა დაეფუძნოს მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ან „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გარემოებები და არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიები.

ნაწილი 5
უფლებების შეზღუდვა
მუხლი 23
უფლებების შეზღუდვა

1. ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელიც ვრცელდება დამმუშავებელზე ან უფლებამოსილ პირზე, შესაძლოა სამართლებრივი ზომების მიღების გზით დაწესდეს მე-12 მუხლიდან 22-ე მუხლამდე და 34 -ე მუხლით, ასევე მე-5-ე მუხლით (გამომდინარე იქედან, რომ მისი პირობები შეესაბამება მე-12-22-ე მუხლებით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს) განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების შეზღუდვა იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვა

იცავს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების არსს და წარმოადგენს აუცილებელ და პროპორციულ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში შემდეგი ინტერესების დასაცავად:

ა) ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება;

ბ) თავდაცვის ინტერესები;

გ) საზოგადოებრივი უსაფრთხოება;

დ) სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან აცილება, გამოძიება, გამოვლენა, აღკვეთა ან სისხლისსამართლებრივი დევნა, ან სასჯელის აღსრულება, აგრეთვე საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეებისგან დაცვისა და პრევენციული ზომების განხორციელება;

ე) ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების სხვა საზოგადოდ მნიშვნელოვანი ინტერესი, როგორიცაა ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური ან ფინანსური ინტერესები, მათ შორის მონეტარული, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები;

ვ) სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართალწარმოების პროცესის დაცვა;

ზ) რეგულირებადი პროფესიების ეთიკის წესების დარღვევის თავიდან აცილება, გამოძიება, გამოვლენა და დისციპლინური დევნა;

თ) ზედამხედველობა, შემოწმება/ინსპექტირება, ან მარეგულირებელი ფუნქციის შესრულება, რომელიც მათ შორის პერიოდულად დაკავშირებულია „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ზ“ პუნქტებში ჩამოთვლილი შემთხვევებისას კანონით დაკისრებული უფლებამოსილების/ფუნქციების განხორციელებასთან;

ი) მონაცემთა სუბიექტის ან სხვათა უფლებების და თავისუფლებების დაცვა;

კ) სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნების აღსრულება.

2. პირველ პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი ზომები უნდა შეიცავდეს საჭიროების მიხედვით სულ მცირე შემდეგ დებულებებს:

ა) მონაცემთა დამუშავების მიზანს ან დამუშავების კატეგორიებს;

ბ) მონაცემთა კატეგორიებს;

გ) წარმოდგენილი შეზღუდვების ფარგლებს;

დ) მონაცემთა უკანონოდ გამოყენების, წვდომის ან გადაცემისაგან დაცვის გარანტიებს;

ე) დამმუშავებელთა მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას ან დამმუშავებელთა კატეგორიებს;

ვ) მონაცემთა შენახვის ვადებს და სათანადო გარანტიებს მონაცემთა დამუშავების ხასიათის, მოცულობისა და მიზნის, ან მონაცემთა დამუშავების კატეგორიის გათვალისწინებით;

ზ) მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რისკებს; და

თ) მონაცემთა სუბიექტის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია შეზღუდვის შესახებ, თუ ეს არ დააზიანებს შეზღუდვის მიზანს.

თავი IV

მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი

ნაწილი 1
ზოგადი ვალდებულებები
მუხლი 24
მონაცემთა დამმუშავებლის პასუხისმგებლობა

1. დამუშავების ხასიათის, მოცულობის, კონტექსტისა და მიზნების, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის სავარაუდო რისკების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა უზრუნველყოს და შეძლოს დაადასტუროს, რომ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ამ რეგულაციის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ეს ზომები უნდა გადაიხედოს და განახლდეს.
2. საჭიროების შემთხვევაში პირველ პუნქტში ხსენებული ზომები უნდა მოიცავდეს მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მონაცემთა დაცვის სათანადო პოლიტიკის დანერგვას;
3. დამტკიცებულ ქცევის კოდექსებთან მიერთება, როგორც ეს აღნიშნულია მე-40 მუხლში ან დამტკიცებული სერტიფიცირების მექანიზმების გამოყენება, როგორც ეს აღნიშნულია 42-ე, მუხლში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებათა შესრულების სადემონსტრაციო ელემენტად.

მუხლი 25

მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში („Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“)

1. უახლესი ტექნოლოგიების, განხორციელების ხარჯების, დამუშავების ხასიათის, მასშტაბის, კონტექსტისა და მიზნების, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის სავარაუდო რისკების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელმა, როგორც დამუშავების საშუალებების განსაზღვრის, ასევე უშუალოდ დამუშავების პროცესში უნდა გაატაროს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, როგორიცაა ფსევდონომიზაცია. ეს ზომები, შექმნილია დამუშავების პრინციპების, მაგალითად მონაცემთა მინიმიზაციის, ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის და დამუშავების პროცესში დაცვის მექანიზმების ინტეგრირებისთვის, რათა შესრულდეს ეს რეგულაცია და დაცულ იქნეს მონაცემთა სუბიექტის უფლებები.
2. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარება, რომ ავტომატურად დამუშავდეს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია დამუშავების კონკრეტული მიზნისთვის. ეს ვალდებულება ვრცელდება შეგროვებული მონაცემების რაოდენობაზე, მონაცემთა დამუშავების მასშტაბებზე, შენახვის ვადებსა და წვდომაზე. ეს ზომები უნდა უზრუნველყოფდნენ ფიზიკური პირების განუსაზღვრელი რაოდენობისათვის პერსონალური მონაცემების პირველად პარამეტრად ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, ადამიანური ძალის ჩარევის გარეშე.

3. 42-ე მუხლის შესაბამისად დამტკიცებული სერტიფიცირების მექანიზმი შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთება

მუხლი 26
მონაცემთა ერთობლივი დამმუშავებელი

1. როდესაც მონაცემთა ორი ან მეტი დამმუშავებელი ერთობლივად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, ისინი მიიჩნევიან ერთობლივ დამმუშავებლებად. მონაცემთა დამმუშავებლებმა გამჭვირვალედ უნდა განსაზღვრონ თავიანთ ფუნქციები/პასუხისმგებლობები ამ რეგულაციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მონაცემთა დამმუშავებლებს შორის შეთანხმების საფუძველზე, განსაკუთრებით, მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზების და მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად სუბიექტის ინფორმირების თვალსაზრისით. გარდა იმ შემთხვევისა, როცა პასუხისმგებლობები დადგენილია ევროკავშირის ან რომელიმე წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, შეთანხმების საფუძველზე მონაცემთა სუბიექტებისათვის შესაძლოა დაინიშნოს საკონტაქტო პირი.
2. პირველ პუნქტში მითითებული შეთანხმება სათანადოდ უნდა ასახავდეს მონაცემთა დამმუშავებლების როლებსა და ურთიერთობას მონაცემთა სუბიექტთან. შეთანხმების არსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტისათვის.
3. შეთახმების პირობების მიუხედავად, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, ისარგებლოს ამ რეგულაციით გარანტირებული უფლებებით თითოეულ დამმუშავებელთან მიმართებით და მის წინააღმდეგ.

მუხლი 27
ევროკავშირის ტერიტორიის გარეთ რეგისტრირებულ მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების წარმომადგენლები

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის გავრცელების შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია წერილობითი ფორმით დანიშნოს წარმომადგენელი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვალდებულება არ ვრცელდება შემდეგ შემთხვევებზე:

ა) მონაცემთა დამუშავება ხორციელდება პერიოდულად, არ ხორციელდება ფართო მასშტაბით, არ მოიცავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დიდი მოცულობით დამუშავებას, როგორც ეს მითითებულია მე-9 მუხლის პირველ პუნქტში ან ნასამართლობასთან და დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებას, როგორც ეს მითითებული მე-10 მუხლში და ამასთან, ნაკლებად წარმოშობს

რომ დამუშავების ხასიათის, კონტექსტის, მასშტაბისა და მიზნების გათვალისწინებით ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რისკს ; ან

ბ) მონაცემთა დამმუშავებელი სახელმწიფო ორგანოა.

3. წარმომადგენელი უნდა განთავსდეს ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში, სადაც იმყოფება მონაცემთა ის სუბიექტი, ვისი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება სერვისების ან პროდუქტების შეთავაზების მიზნით ან ვის ქცევაზე დაკვირვებაც ხდება.
4. რეგულაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე წარმომადგენელს ანიჭებს საზედამხედველო ორგანოებთან და მონაცემთა სუბიექტთან კომუნიკაციის მანდატს, მათთან ერთად ან დამოუკიდებლად.
5. მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ წარმომადგენლის დანიშვნა ხდება სამართლებრივი მექანიზმების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება იყოს ინიცირებული მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წინააღმდეგ.

მუხლი 28
უფლებამოსილი პირი

1. როდესაც მონაცემები მუშავდება მონაცემთა დამმუშავებლის სახელით, მონაცემთა დამმუშავებელი მონაცემებს ამუშავებინებს მხოლოდ იმ უფლებამოსილ პირებს, რომლებიც გაატარებენ შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომების გატარების გარანტიებს იმგვარად, რომ დამუშავება განხორციელდეს ამ რეგულაციის შესაბამისად და უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა სუბიექტის უფლებები.
2. დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ სხვა უფლებამოსილი პირის ჩართვა მონაცემთა დამმუშავებლის წინასწარი ნათლად გამოხატული ან ზოგადი წერილობითი თანხმობის გარეშე. ზოგადი წერილობითი ნებართვის შემთხვევაში, უფლებამოსილმა პირი აცნობებს მონაცემთა დამმუშავებელს უფლებამოსილი პირის მოსალოდნელი დამატების ან ჩანაცვლების თაობაზე, რაც მონაცემთა დამმუშავებელს მისცემს საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობას.
3. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემების დამუშავების პროცესი რეგულირდება ხელშეკრულებით ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით დადგენილი სხვა სამართლებრივი დოკუმენტით, რომელიც უფლებამოსილ პირს დააკისრებს ვალდებულებებს მონაცემთა დამმუშავებლის წინაშე და განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების საგანს და ხანგრძლივობას, დამუშავების ხასიათსა და მიზანს, მონაცემთა ტიპებსა და მონაცემთა სუბიექტების კატეგორიებს, მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებებსა და უფლებებს.

ხელშეკრულება/ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტი ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის ვალდებულებებს:

ა) დაამუშაოს პერსონალური მონაცემები მხოლოდ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მიწოდებული დოკუმენტირებული ინსტრუქციების საფუძველზე, მათ შორის, მონაცემთა მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, გარდა ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი აცნობებს მონაცემთა დამმუშავებელს ამ სამართლებრივი მოთხოვნის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით იკრძალება ამ ინფორმაციის გაცემა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი მიზნებიდან გამომდინარე;

ბ) უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირების კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, ან მათ მიერ კონფიდენციალურობის დაცვის კანონისმიერი ვალდებულების შესრულება;

გ) უზრუნველყოს 32-ე მუხლით დადგენილ ყველა მოთხოვნები;

დ) დაიცვას მე-2 და მე-4 პუნქტებით დადგენილი სხვა უფლებამოსილი პირის ჩართვის პირობები; ე) მონაცემთა დამუშავების ხასიათის გათვალისწინებით სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომებით შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მონაცემთა დამმუშავებელს III თავში დადგენილი მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში;

ვ) დაეხმაროს დამმუშავებელს 32-ე და 36-ე მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაში დამუშავების ხასიათის და უფლებამოსილი პირისთვის ცნობილი ინფორმაციის გათვალისწინებით;

ზ) მონაცემთა დამმუშავებლის სურვილით, დამუშავების სერვისის მიწოდების შემდეგ წაშალოს ან უკან დაუბრუნოს დამმუშავებელს პერსონალური მონაცემები, ასევე წაშალოს მათი ასლები თუ ევროკავშირის ან წევრი ქვეყნების კანონმდებლობა პერსონალური მონაცემების შენახვას არ ავალდებულებს;

თ) მონაცემთა დამმუშავებელს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია, რომლითაც ის დაადასტურებს ამ მუხლით დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობას და შესაძლებელს გახდის და ხელს შეუწყობს აუდიტის, მათ შორის ინსპექტირების, განხორციელებას მონაცემთა დამმუშავებლის ან სხვა აუდიტის მიერ, რომელსაც უფლებამოსილებას ანიჭებს მონაცემთა დამმუშავებელი;

ამ მუხლის „თ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით, უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს, თუ მისი აზრით, ინსტრუქცია არღვევს ამ რეგულაციას ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების პერსონალურ მონაცემთა დაცვის დებულებებს.

4. იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი პირი დამუშავების პროცესში ჩართავს სხვა უფლებამოსილ პირს იმ მიზნით. რომ მონაცემთა დამმუშავებლის სახელით მან განახორციელოს დამუშავების კონკრეტული მოქმედებები, უფლებამოსილ პირსა და მონაცემთა დამმუშავებელს შორის არსებული ხელშეკრულების ან შესაბამისი სამართლებრივი აქტის ყველა ვალდებულება ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ვრცელდება მასზე, ისე როგორც ეს დადგენილია მე-3 პუნქტით, კონკრეტულად კი, ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარების სათანადო გარანტიების უზრუნველყოფა ისე, რომ დამუშავებამ დააკმაყოფილოს რეგულაციის მოთხოვნები. თუ მეორე უფლებამოსილი პირი ვერ

შეასრულებს მონაცემთა დაცვის ვალდებულებებს, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავდაპირველ უფლებამოსილ პირს ამ მეორე უფლებამოსილი პირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

5. უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულ ქცევის კოდექსთან მიერთება, როგორც ეს აღნიშნულია 40-ე მუხლში ან დამტკიცებული სერტიფიცირების მექანიზმების გამოყენება, როგორც ეს აღნიშნულია 42-ე მუხლში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებათა შესრულების სადემონსტრაციო ელემენტად, როგორც ეს დადგენილია ამ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით.
6. მონაცემთა დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულების გათვალისწინებით, ამ მუხლის მე-3 და მე-4პუნქტში მითითებული ხელშეკრულება შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ ეყრდნობოდეს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომელიც ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით არის დადგენილი, მათ შორის როდესაც ის წარმოადგენს 42-ე და 43-ე მუხლით მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირისთვის მინიჭებული სერტიფიცირების ნაწილს.
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს შეუძლია შეიმუშაოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იმ საკითხებთან მიმართებით რაც დადგენილია ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილი დამუშავების პროცედურების შესაბამისად.
8. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ შეიძლება დაადგინოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იმ შემთხვევებისთვის, რაც მითითებულია ამ მუხლი მე-3 და მე-4 პუნქტებში 63-ე მუხლით დადგენილი თანამიმდევრულობის მექანიზმის შესაბამისად.
9. მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი ხელშეკრულება ან სამართლებრივი აქტი არის წერილობითი, მათ შორის ელექტრონული ფორმით.
10. 82-ე, 83-ე და 84-ე მუხლების გათვალისწინებით, თუ უფლებამოსილი პირი დაარღვევს ამ რეგულაციის დებულებებს მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების განსაზღვრით, ეს უფლებამოსილი პირი ჩაითვლება მონაცემთა დამმუშავებლად მონაცემების ამ დამუშავებასთან მიმართებით.

მუხლი 29

უფლებამოსილი პირის ან მონაცემთა დამმუშავებლის უფლებამოსილების ქვეშ დამუშავება

უფლებამოსილმა პირმა და ნებისმიერმა პირმა, რომელიც მოქმედებს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების ფარგლებში და რომლისთვისაც ხელმისაწვდომია პერსონალური მონაცემები, მონაცემები არ უნდა დაამუშავოს გარდა მონაცემთა დამმუშავებლის მითითებისა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

მუხლი 30

მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის აღრიცხვა

1. თითოეული მონაცემთა დამმუშავებელი, ან მათი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულია აღრიცხოს მისი უფლებამოსილების ფარგლებში დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა. ჩანაწერები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მონაცემთა დამმუშავებლის, ერთობლივი დამმუშავებლის, დამმუშავებლის წარმომადგენლის ან მონაცემთა დაცვის ოფიცრის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნები;

გ) მონაცემთა სუბიექტის და პერსონალურ მონაცემთა კატეგორიების აღწერა;

დ) მონაცემთა მიმღების კატეგორიები, მათ შორის მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ვის მიმართაც მოხდა ან მოხდება პერსონალური მონაცემების გაზიარება;

ე) ასეთის არსებობის შემთხვევაში, მონაცემთა გადაცემა მესამე სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, მათ შორის, ამ მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იდენტიფიცირება და 49-ე მუხლის, პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტით დადგენილი გადაცემის შემთხვევაში, დაცვის სათანადო გარანტიების დადასტურებით ვ) მონაცემთა სხვადასხვა კატეგორიის წაშლის ვადები სადაც ეს შესაძლებელია;

ზ) 32-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ღონისძიებების ზოგადი აღწერა, სადაც შესაძლებელია.

2. თითოეული უფლებამოსილი პირი ან მათი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულია აღრიცხოს დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა ქმედება , რომელიც მან განახორციელა მონაცემთა დამმუშავებლის სახელით. ჩანაწერები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) უფლებამოსილი პირის ან პირების და შესაბამისი მონაცემთა თითოეული დამმუშავებლის, დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წარმომადგენლის, და მონაცემთა დაცვის ოფიცრის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) მონაცემთა თითოეული დამმუშავებლის სახელით განხორციელებული დამუშავების თითოეული კატეგორია;

გ) პერსონალურ მონაცემთა გადაცემა მესამე სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, მათ შორის, ამ მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის იდენტიფიცირება და 49-ე მუხლის, პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტით დადგენილი გადაცემის შემთხვევაში, დაცვის სათანადო გარანტიების დოკუმენტირებით.

დ) როდესაც შესაძლებელია, ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის უსაფრთხოების ღონისძიებების ზოგადი აღწერა, რაც მითითებულია 32-ე მუხლის პირველ პუნქტში.

3. პირველი და მეორე პუნქტით დადგენილი ჩანაწერები უნდა იყოს წერილობითი, მათ შორის ელექტრონული ფორმით.
4. მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი, ან მათი წარმომადგენელი აღნიშნულ ჩანაწერებს მოთხოვნის საფუძველზე, გადასცემს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.
5. პირველ და მეორე პუნქტში მითითებული აღრიცხვის ვალდებულება არ

ვრცელდება ისეთ კომპანიაზე, სადაც დასაქმებულია 250-ზე ნაკლები თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ კომპანიის მიერ მონაცემთა დამუშავებამ შესაძლოა გამოიწვიოს მონაცემთა სუბიექტების უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მარალი რისკი, ან დამუშავება არის რეგულარული (არ არის პერიოდული,), ან კომპანია ახორციელებს მე-9-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა, მათ შორის მე-10-ე მუხლით განსაზღვრული ნასამართლობასა და დანაშაულებთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას.

მუხლი 31
საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობა

მონაცემთა დამმუშავებელი, უფლებამოსილი პირი და მათი წარმომადგენელი, ვალდებულნი არიან თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას, მოთხოვნის საფუძველზე, ითანამშრომლონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან.

ნაწილი 2
პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება

მუხლი 32
მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოება

1. უახლესი ტექნოლოგიების, განხორციელების ხარჯების, დამუშავების ხასიათის, მოცულობის,, კონტექსტისა და მიზნების, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის სავარაუდო რისკების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა მიიღონ სავარაუდო რისკების შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, შემდეგი ზომების ჩათვლით:

ა) პერსონალურ მონაცემთა ფსევდონიმიზაცია და დაშიფვრა;

ბ)დამუშავების სისტემებისა და სერვისების მუდმივი კონფიდენციალურობა, ხელშეუხებლობა, ხელმისაწვდომობა და მოქნილობა;

გ) ფიზიკური ან ტექნიკური ინციდენტის შემთხვევაში პერსონალურ მონაცემებთან წვდომისა და ხელმისაწვდომობის დროული აღდგენის შესაძლებლობა;

დ) დამუშავების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტექნიკური და ორგანიზაციული საშუალებების ეფექტიანობის რეგულარული შემოწმება და შეფასება.

2. უსაფრთხოების ხარისხის შეფასებისას გასათვალისწინებელია დამუშავებით გამოწვეული რისკები, განსაკუთრებით პერსონალური მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა, შეცვლა, უნებართვო გავრცელება ან გადაცემული, შენახული ან სხვა ფორმით დამუშავებულ პირად მონაცემებზე უნებართვო წვდომა.

3. მე-40 მუხლის მიხედვით დამტკიცებულ ქცევის კოდექსებთან მიერთება ან 42-ე მუხლის მიხედვით დამტკიცებული სერტიფიცირების მექანიზმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვალდებულებათა შესრულების დემონსტრირების ელემენტი.

4. მონაცემთა დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა დაადგინოს ზომები, რომ მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მოქმედმა ფიზიკურმა პირმა, რომელსაც აქვს წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, არ დაამუშაოს მონაცემები მონაცემთა დამმუშავებლის მითითების გარეშე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამუშავება გათვალისწინებულია ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის კანონით.

მუხლი 33
საზედამხედველო ორგანოსათვის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინების ვალდებულება

1. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელმა დაუყოვნებლივ და თუ შესაძლებელია დარღვევის შესახებ შეტყობიდან არაუგვიანეს 72 საათისა უნდა შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე 55-ე მუხლით დადგენილ კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ დარღვევამ გამოიწვიოს ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის რისკი. თუ შეტყობინება არ განხორციელდა 72 საათის განმავლობაში, მას თან ერთვის განმარტება დაყოვნების მიზეზებზე.
2. უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უსაფრთხოების დარღვევის შესახებ.
3. პირველი პუნქტით დადგენილი შეტყობინება უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ხასიათის აღწერილობა, მათ შორის, თუ შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტების კატეგორიები და რაოდენობა, ასევე მონაცემთა კატეგორიები და რაოდენობას, რომელსაც შეეხო უსაფრთხოების დარღვევა;

ბ) მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან სხვა საკონტაქტო პირის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები, რომელთაგანაც უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვება იქნება შესაძლებელი;

გ) დარღვევის მოსალოდნელი შედეგების აღწერა;

დ) დარღვევის აღმოსაფხვრელად დამმუშავებლის მიერ მიღებული ან შეთავაზებული ზომები, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, დარღვევის შესაძლო უარყოფითი შედეგის შემამსუბუქებელი ზომების აღწერა.

4. ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში, დასაშვებია მისი გადაგზავნა ეტაპობრივად, გაუმართლებელი შეფერხების გარეშე.
5. დამმუშავებელმა უნდა აღრიცხოს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ნებისმიერი დარღვევა, შესაბამისი ფაქტების, გამოწვეული შედეგებისა და მიღებული ზომების ჩათვლით. აღნიშნული საშუალებას აძლევს საზედამხედველო ორგანოს, შეამოწმოს ამ მუხლთან შესაბამისობა.

მუხლი 34
მონაცემთა სუბიექტისათვის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინება

1. თუ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევა გამოიწვევს ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალ რისკს, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაუმართლებელი შეფერხების გარეშე შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ.
2. მონაცემთა სუბიექტთან პირველი პუნქტით დადგენილი კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს გასაგები და მარტივი ენით, უნდა აღწერდეს დარღვევის ხასიათს და მინიმუმ უნდა შეიცავდეს 33-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილ ინფორმაციას და ზომებს.
3. პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტისათვის შეტყობინების ვალდებულება არ დგება თუ სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) მონაცემთა დამმუშავებელს შემუშავებული აქვს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული გარანტიები, მათ შორის იმ მონაცემებთან მიმართებით, რომლებსაც შეეხო დარღვევა, კერძოდ კი ისეთი ზომები, რომლებიც მიუწვდომელს ხდის პერსონალურ მონაცემებს ნებისმიერი არაუფლებამოსილი პირისათვის, მაგალითად დაშიფვრა.

ბ) მონაცემთა დამმუშავებელმა მიიღო სათანადო დამატებითი ზომები, რომლებიც დიდი ალბათობით გამორიცხავენ მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლების შელახვის მაღალი რისკის დადგომას, რაც პირველ პუნქტშია აღწერილი.

გ) ინფორმაციის მიწოდება მოითხოვს არაპროპორციულ ძალისხმევას. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს საჯაროდ ან მსგავსი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ყველა სუბიექტის მიერ ინფორმაციის თანაბრად ეფექტურ მიღებას.

4. თუ მონაცემთა დამმუშავებელს არ მიუწოდებია ინფორმაცია მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ მონაცემთა სუბიექტისათვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლების შელახვის მაღალი რისკის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, მოსთხოვოს მას ინფორმაციის მიწოდება ან გადაწყვიტოს, არის თუ არა სახეზე მე-3 პუნქტით დადგენილი ერთ-ერთი პირობა.

ნაწილი 3

მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება და წინასწარი კონსულტაციები

მუხლი 35
მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება

1. როდესაც სავარაუდოა, რომ მონაცემთა კონკრეტული ტიპის დამუშავება უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით და დამუშავების ხასიათის, მოცულობის, კონტექსტისა და მიზნების გათვალისწინებით, შესაძლოა იწვევდეს ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მაღალ რისკებს, მონაცემთა

დამმუშავებელმა დამუშავების დაწყებამდე უნდა ჩაატაროს დაგეგმილი დამუშავების ოპერაციების რისკების შეფასება. ერთი შეფასებით შეიძლება შემოწმდეს დამუშავების მსგავსი მოქმედებები, რომლებიც სავარაუდოდ იწვევენ ერთნაირ მაღალ რისკებს.

2. მონაცემთა დაცვის რისკების შეფასებისას მონაცემთა დამმუშავებელმა რჩევა უნდა მიიღოს მონაცემთა დაცვის ოფიცრისგან.
3. პირველი პუნქტით დადგენილი რისკების შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგ შემთხვევებში:

ა) ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემებთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების სისტემატური და მოცულობითი შეფასება მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავებისას, მათ შორის პროფილირების შემთხვევაში, როდესაც ამ დამუშავების შედეგად ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ფიზიკური პირისათვის იწვევს სამართლებრივ შედეგებს ან ანალოგიურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასზე;

ბ) მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ფართომასშტაბიანი დამუშავებისას ან ისეთი მონაცემების დამუშავებისას, რომლებიც ეხება პირის ნასამართლობას ან დანაშაულთან კავშირს, რაც მე-10 მუხლით არის დადგენილი; ან

გ) საჯარო სივრცის სისტემატური და ფართომასშტაბიანი მონიტორინგისას;

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ უნდა დაადგინოს და გაასაჯაროოს დამუშავების ის მოქმედებები, რაც საჭიროა პირველი პუნქტით დადგენილი მონაცემების დაცვის რისკების შეფასებისთვის. საზედამხედველო ორგანო ამ ნუსხას გადასცემს 68-ე მუხლით დადგენილ საბჭოს.
5. საზედამხედველო ორგანომ ასევე უნდა დაადგინოს და საჯარო გახადოს დამუშავების ის მოქმედებები, რომელიც არ მოითხოვს მონაცემთა დაცვის რისკების შეფასებას. საზედამხედველო ორგანო ამ ნუსხას გადასცემს საბჭოს.
6. მე-4 და მე-5 პუნქტში მითითებული ნუსხის დამტკიცებამდე, როდესაც მსგავსი ნუსხა მოიცავს დამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც ეხება მონაცემთა სუბიექტისათვის სერვისების ან პროდუქტების შეთავაზებას ან მათ ქცევაზე დაკვირვებას რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს პერსონალური მონაცემების თავისუფალ მიმოცვლაზე ევროკავშირის ფარგლებში, კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო იყენებს 63-ე მუხლით დადგენილ თანამიმდევრულობის მექანიზმს
7. შეფასება უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგს:

ა) დამუშავების დაგეგმილი ოპერაციების და დამუშავების მიზნების, სადაც შესაძლებელია, დამმუშავებლის კანონიერი ინტერესის სისტემატურ აღწერას;

ბ) დამუშავების ოპერაციების მიზნის შესაბამისად საჭიროების და პროპორციულობის შეფასებას;

გ) მონაცემთა სუბიექტის პირველ პუნქტში მითითებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას; და

დ) რისკების დაძლევაზე მიმართულ ზომებს, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიებს და მექანიზმებს, რომელიც ახდენს რეგულაციასთან შესაბამისობის

დემონსტრირებას და რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის და სხვა დაინტერსებული პირების კანონიერ ინტერესებს და უფლებებს.

8. უფლებამოსილი პირის და მონაცემთა დამმუშავებლის მიერ განხორციელებული დამუშავების ოპერაციების რისკების შეფასება, კონკრეტულად კი მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება ითვალისწინებს უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მე-40 მუხლში მითითებულ ქცევის კოდექსებთან შესაბამისობას.
9. უფლებამოსილმა პირმა დაგეგმილ დამუშავებასთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად უნდა მოიძიოს მონაცემთა სუბიექტის ან მათი წარმომადგენლების მოსაზრებები კომერციული ან საჯარო ინტერესების ან დამუშავების ოპერაციების უსაფრთხოების დარღვევის გარეშე.
10. როდესაც ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომლითაც ხელმძღვანელობს დამმუშავებელი, არსებობს მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დამუშავების კანონიერ საფუძველი, ეს კანონი არეგულირებს დამუშავების კონკრეტულ ოპერაციებს ან ხსენებული ოპერაციების ერთობლიობას და მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება კანონიერ საფუძვლების დამტკიცების მიზნით უკვე ჩატარებულია ზოგადი ზეგავლენის შეფასების ნაწილში, პირველიდან მე-7 პუნქტებამდე არ უნდა იყოს გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევისა თუ წევრი სახელმწიფო საჭიროდ არ მიიჩნევს მსგავსი შეფასების ჩატარებას დამუშავების აქტივობებამდე.

11. საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა შეაფასოს, ხორციელდება თუ არა დამუშავება მონაცემთა დაცვის რისკების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში მაინც, როდესაც დამუშავების ოპერაციების განხორციელებისას იცვლება დამუშავების რისკის დონე.

მუხლი 36
წინასწარი კონსულტაცია

1. როდესაც 35-ე მუხლით დადგენილი მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება ცხადყოფს, რომ დაგეგმილმა დამუშავებამ შესაძლოა გამოიწვიოს მაღალი რისკი თუ დამმუშავებელი რისკების აღმოსაფხვრელად არ გაატარებს სათანადო ზომებს, დამმუშავებელმა დამუშავების დაწყებამდე კონსულტაცია უნდა გაიაროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან.
2. როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიიჩნია, რომ პირველი პუნქტით განსაზღვრული დამუშავება შესაძლოა არღვევდეს ამ რეგულაციის დებულებებს, კონკრეტულად კი მონაცემთა დამმუშავებელმა სათანადოდ ვერ გამოავლინა ან შეამცირა რისკები, საზედამხედველო ორგანო კონსულტაციის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან რვა კვირის ვადაში გასცემს წერილობით კონსულტაციას მონაცემთა დამმუშავებლისთვის ან უფლებამოსილი პირისთვის , და გამოიყენოს 58-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილება. დამუშავების სირთულის გათვალისწინებით ეს ვადა შესაძლოა ვადა გახანგრძლივდეს ექვსი კვირით. საზედამხედველო ორგანო კონსულტაციის მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში მონაცემთა დამმუშავებელს, და როდესაც

შესაძლებელია, უფლებამოსილ პირს, ინფორმაციას აწვდის ვადის გაგრძელების და შეფერხების საფუძვლების შესახებ. ვადები შეიძლება გაგრძელდეს იქამდე, სანამ საზედამხედველო ორგანო არ მოიპოვებს კონსულტაციის მიზნებისთვის მოთხოვნილ ინფორმაციას.

3. პირველი პუნქტის შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს მიერ კონსულტაციის გაცემისას მონაცემთა დამმუშავებელი მას აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ა) როდესაც შესაძლებელია, დამუშავებაში მონაწილე მონაცემთა დამმუშავებლის, ერთობლივი დამმუშავებლების და უფლებამოსილი პირის, კონკრეტულად კი, ორგანიზაციათა ჯგუფის მიერ დამუშავების ფარგლებში არსებული ვალდებულებები;

ბ) დაგეგმილი დამუშავების მიზანი და საშუალებები;

გ) ამ რეგულაციის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების დაცვის ზომები და გარანტიები;

დ) როდესაც შესაძლებელია, მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაცია;

ე) 35-ე მუხლით დადგენილი მონაცემთა დაცვის რისკების შეფასება; და

ვ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს საზედამხედველო ორგანო.

4. წევრმა სახელმწიფოებმა დამუშავების შესახებ იმ საკანონმდებლო წინადადების მომზადების პროცესში, რომელიც ევროპარლამენტმა უნდა მიიღოს, ან ამ კანონის საფუძველზე საკანონმდებლო ზომის მიღების შესახებ კონსულტაცია უნდა გაიარონ საზედამხედველო ორგანოსთან.

5. მიუხედავად პირველი პუნქტისა, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით მონაცემთა დამმუშავებლებს შეიძლება ჰქონდეთ საზედამხედველო ორგანოსთან კონსულტაციის გავლის ან მისგან წინასწარი ნებართვის მიღების ვალდებულება, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ საჯარო ინტერესის მიზნებისთვის, მათ შორის სოციალური დაცვის და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განხორციელებულ დამუშავებასთან დაკავშირებით.

ნაწილი 4
მონაცემთა დაცვის ოფიცერი
მუხლი 37
მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა

1. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ნიშნავენ მონაცემთა დაცვის ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) მონაცემებს ამუშავებს სახელმწიფო უწყება გარდა სასამართლოებისა, რომლებიც მოქმედებენ სასამართლო კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ძირითადი საქმიანობა, რომელიც თავისი ხასიათით, მასშტაბითა და/ან მიზნებით მოიცავს მონაცემთა სუბიექტების რეგულარულ და სისტემატურ მონიტორინგს ფართო მასშტაბებით, ან

გ) მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა ფართო მასშტაბით დამუშავება მე-9 მუხლის ფარგლებში ან პირის ნასამართლობასთან და დანაშაულთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება მე-10-ე მუხლის ფარგლებში.

2. ორგანიზაციათა ჯგუფმა შეიძლება დანიშნოს მონაცემთა დაცვის ერთი ოფიცერი იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ადვილად ხელმისაწვდომი იქნება ყველა ორგანიზაციისთვის.
3. იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი სახელმწიფო უწყებაა, დასაშვებია რამდენიმე ორგანოსათვის ერთი მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა, ამ უწყებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და ზომის გათვალისწინებით.
4. პირველ პუნქტში მითითებული შემთხვევების გარდა, მონაცემთადამმუშავებელმა, უფლებამოსილმა პირმა, ან ასოციაციებმა ან სხვა უწყებებმა, რომლებიც მონაცემთა დამმუშავებელთა ან უფლებამოსილ პირთა გარკვეულ კატეგორიებს წარმოადგენენ, შესაძლოა ნებაყოფლობით, ან ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით დანიშნონ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. მონაცემთა დაცვის ოფიცერი იმოქმედებს მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წარმომადგენელი ასოციაციებისთვის და უწყებებისთვის.
5. მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის საფუძველი უნდა იყოს პროფესიული უნარები, კერძოდ კი მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ცოდნა, ასევე 39-ე მუხლით მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების უნარი.
6. მონაცემთა დაცვის ოფიცერი შესაძლოა იყოს მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის თანამშრომელი ან დაინიშნოს ხელშეკრულების საფუძველზე.
7. მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია, საჯაროდ გამოაქვეყნებენ მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაცია და ასევე, აცნობონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს.

მუხლი *38*

მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია

1. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი უზრუნველყონ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სათანადო და დროულ ჩართულობას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში.
2. მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ხელს უწყობენ მონაცემთა დაცვის ოფიცერს 39-ე მუხლით დადგენილი ფუნქციების შესრულებისას და უზრუნველყოფენ აუცილებელ და სათანადო რესურსებთან და პერსონალურ მონაცემებთან წვდომას, ხელს უწყობენ მისი ექსპერტული ცოდნის შენარჩუნებას.
3. მონაცემთა დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვის ოფიცერი მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას არ იღებს დავალებებს. დაუშვებელია ოფიცრის სამსახურიდან დათხოვნა ან დასჯა მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების გამო. მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია პირდაპირ მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის უმაღლესი ხელმძღვანელობის წინაშე.
4. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია დაუკავშირდეს მონაცემთა დაცვის ოფიცერს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან და ამ რეგულაციით

დადგენილი უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

5. დაკისრებული ფუნქციების შესრულების პროცესში მონაცემთა დაცვის ოფიცერზე ვრცელდება საიდუმლოების ან კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად.
6. მონაცემთა დაცვის ოფიცერს შეუძლია შეითავსოს სხვა ფუნქციები და მოვალეობები, თუმცა მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.

მუხლი 39
მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციები

1. მონაცემთა დაცვის ოფიცერს აქვს სულ მცირე შემდგომი ფუნქციები:

ა) მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირისათვის და დამუშავების პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის რეგულაციით, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით დადგენილი მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულებების გაცნობა და რჩევების მიცემა;

ბ) ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის, ამ რეგულაციის და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის შიდა რეგულაციების შესრულების მონიტორინგი, მათ შორის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, ცნობიერების ამაღლებისა და მონაცემთა დამუშავებაში ჩართული თანამშრომლების გადამზადების და ასევე შესაბამისი აუდიტის მეშვეობით.

გ) მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დაცვის რისკების შეფასებასთან დაკავშირებული რჩევის გაცემა და მისი შესრულების მონიტორინგი 35-ე მუხლის შესაბამისად;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობა;

ე) საზედამხედველო ორგანოსთან მიმართებაში მთავარი საკონტაქტო პირის ფუნქციის შესრულება მონაცემთა დამუშავების საკითხებზე, მათ შორის 36-ე მუხლით დადგენილი წინასწარი კონსულტაციისას, ასევე საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების გავლა სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

2. დადგენილი ფუნქციების შესრულებისას მონაცემთა დაცვის ოფიცერი სათანადო ყურადღებას აქცევს დამუშავებასთან დაკავშირებულ რისკებს, დამუშავების ხასიათის, ფარგლების, კონტექსტის და მიზნების გათვალისწინებით.

ნაწილი 5
ქცევის კოდექსები და სერტიფიცირება
მუხლი 40
ქცევის კოდექსები

1. წევრი სახელმწიფოები, საზედამხედველო ორგანო, საბჭო და ევროკომისია ამ რეგულაციის სათანადო შესრულების მიზნით ხელს შეუწყობენ ქცევის კოდექსების

შემუშავებას, დამუშავების სხვადასხვა სექტორების სპეციფიკური ხასიათის და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებების გათვალისწინებით.

2. სხვადასხვა კატეგორიის მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წარმომადგენელი ასოციაციები და სხვა ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოამზადონ ქცევის კოდექსი, შეიტანონ მათში ცვლილებები ან დამატებები, რეგულაციის გავრცელების დაკონკრეტების მიზნით, ისეთ საკითხებზე როგორიცაა:

ა) სამართლიანი და გამჭვირვალე დამუშავება;

ბ) სპეციფიურ ვითარებაში დამმუშავებლის კანონიერი ინტერესების დაცვა;

გ) პერსონალური მონაცემების შეგროვება;

დ) პერსონალური მონაცემების ფსევდონიმიზაცია;

ე) საზოგადოებისა და მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდება;

ვ) მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზება;

ზ) ბავშვთა დაცვა და მათთვის ინფორმაციის გაზიარება და ბავშვებზე მეურვეობის მქონე პირთა თანხმობის მოპოვების ფორმა;

თ) 24-ე და 25-ე მუხლებით დადგენილი ზომები და პროცედურები და 32-ე მუხლით დადგენილი დამუშავების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ი) საზედამხედველო ორგანოსთვის პერსონალური მონაცემების დარღვევის შესახებ შეტყობინება და მონაცემთა სუბიექტისთვის პერსონალური მონაცემის დარღვევის შესახებ შეტყობინება;

კ) მესამე ქვეყნებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემა; ან

ლ) დამუშავებასთან დაკავშირებით მონაცემთა სუბიექტს და მონაცემთა დამმუშავებელს შორის დავების მოგვარების ალტერნატიული გზები, მონაცემთა სუბიექტისთვის 77-ე და 79-ე მუხლებით დადგენილი უფლებების გათვალიწინებით ;

3. მე-5 პუნქტის საფუძველზე შექმნილ ქცევის კოდექსებს უნდა მიუერთდნენ არა მარტო ამ რეგულაციას დაქვემდებარებული დამმუშავებლები და უფლებამოსილი პირები არამედ ისინიც, რომლებიც მისი მოქმედების ფარგლებს გარეთ მოქმედებენ, იმისათვის რომ მესამე ქვეყნებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემის პროცესში სპეციალური გარანტიები იქნას უზრუნველყოფილი 46-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობებით. ეს დამმუშავებლები და უფლებამოსილი პირები ხელშეკრულების ან სავალდებულოდ შესასრულებელი სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით შეიმუშავებენ გარანტიებს, მათ შორის მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მიზნით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ქცევის კოდექსი უნდა მოიცავდეს მექანიზმებს, რომელიც 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ უწყებას საშუალებას მისცემს განახორციელოს მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მოქმედებების დებულებებთან შესაბამისობის სავალდებულო მონიტორინგი 55-ე და 56-ე მუხლებით დადგენილი კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს ფუნქციების და უფლებამოსილების გათვალისწინებით.

5. ამ მუხლის მე-2-ე პუნქტში ნახსენები ასოციაციები და სხვა ორგანოები, რომლებიც ამზადებენ ქცევის კოდექსებს, მათში ცვლილებებს და დამატებებს 55-ე მუხლით დადგენილ კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს წარუდგენენ კოდექსის პროექტს, ცვლილებების ან დამატებების პაკეტებს. საზედამხედველო ორგანო ამზადებს მოსაზრებას ქცევის კოდექსის პროექტის, ცვლილების ან დამატების ამ რეგულაციასთან შესაბამისობის შესახებ და ამტკიცებს კოდექსის მოცემულ პროექტს, ცვლილებას ან დამატებას, თუ ის დაადგენს რომ ამ დოკუმენტით უზრუნველყოფილია სათანადო გარანტიები.
6. საზედამხედველო ორგანო არეგისტრირებს და აქვეყნებს კოდექს, როდესაც მე-5 პუნქტის მიხედვით ხდება ქცევის კოდექსის პროექტის, მისი ცვლილების ან დამატების დამტკიცება და როდესაც ეს ქცევის კოდექსი არ ვრცელდება დამუშავებაზე რამდენიმე წევრ სახელმწიფოში.
7. 55-ე მუხლით დადგენილი კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო კოდექსის, ცვლილებების და დამატებების დამტკიცებამდე, როდესაც ქცევის კოდექსი ეხება დამუშავებას რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, 63-ე მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით გადასცემს მას საბჭოს, რომელიც ადგენს კოდექსის პროექტის, ცვლილების ან დამატების რეგულაციასთან შესაბამისობას და თუ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-3-ე პუნქტით დადგენილ გარანტიებს.
8. საბჭო საკუთარ მოსაზრებას უგზავნის ევროკომისიას, როდესაც კოდექსის პროექტი, ცვლილება და დამატება შესაბამისობაშია რეგულაციასთან ან მე-3 პუნქტის მიხედვით უზრუნველყოფს გარანტიებს.
9. კომისიას შეუძლია დაადგინოს, ამ მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით წარდგენილი კოდექსის, ცვლილების ან დამატების ვალიდურობა ევროკავშირის ფარგლებში. ეს საიმპლემენტაციო აქტი მიიღება განხილვის პროცედურებთან ერთად, რომელიც 93-ე მუხლის მე-2-ე პუნქტით არის დადგენილი.
10. კომისია უზრუნველყოფს მე-9 პუნქტის მიხედვით მოქმედი კოდექსის საჯაროობაას.
11. საბჭო რეესტრში აღრიცხავს ყველა დამტკიცებულ ქცევის კოდექსს, ცვლილებას და დამატებას და მათ სათანადო ზომების გამოყენებით საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის.

მუხლი 41
დამტკიცებული ქცევის კოდექსის მონიტორინგი

1. 57-ე და 58-ე მუხლით დადგენილი კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს ფუნქციების და უფლებამოსილების გათვალისწინებით, ქცევის კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგი მე-40-ე მუხლის მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს იმ უწყების მიერ, რომელსაც აქვს სათანადო დონის გამოცდილება კოდექსის საკითხებზე და რომელიც ამ მიზნებისთვის არის აკრედიტებული.
2. პირველ პუნქტში ხსენებული უწყება შეიძლება იყოს აკრედიტებული ქცევის კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგისთვის იმ შემთხვევაში თუ ეს უწყება:

ა) ახდენს კოდექსის საკითხთან დაკავშირებით საკუთარი დამოუკიდებლობის და ცოდნის დემონსტრირებას, რაც დამაკმაყოფილებელია კომპეტენტური საზედამხედველო

ორგანოსთვის;
ბ) ადგენს მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის მიერ კოდექსის გამოყენების შეფასების, რეგულაციის დებულებებთან შესაბამისობის მონიტორინგის და საქმიანობის პერიოდულად შემოწმების პროცედურებს;
გ) ადგენს მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის მიერ კოდექსის დებულებების დაცვის და აღსრულების პროცედურებს და სტრუქტურას, რომელიც უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი მონაცემთა სუბიექტისა და საზოგადოებისთვის; და
დ) კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოსთვის ახდენს მის საქმიანობასა და ვალდებულებებში ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის დემონსტრირებას;

3. კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საბჭოს აკრედიტაციისთვის წარუდგენს კრიტერიუმების პროექტს 63-ე მუხლით დადგენილი თანმიმდევრულობის მექანიზმის მიხედვით.
4. კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს ფუნქციების და უფლებამოსილების და VIII თავის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულმა ორგანომ გარანტიების საფუძველზე უნდა განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები, იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი დაარღვევს კოდექსს, მათ შორის შესაძლებელია კოდექსის მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა მონაცემთა დამმუშავებელსა ან უფლებამოსილ პირზე. მან კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს უნდა შეატყობინოს ამ გადაწყვეტილების და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
5. კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო გააუქმებს ორგანოს აკრედიტაციას ისე როგორც ეს დადგენილია ამ მუხლის პირველი პუნქტით იმ შემთხვევაში თუ აკრედიტაციის პირობები არ არის დაკმაყოფილებული ან როდესაც ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებები არღვევს მოცემულ რეგულაციას.
6. ეს მუხლი არ ვრცელდება საჯარო უწყების ან ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ დამუშავებაზე.

მუხლი 42
სერტიფიცირება

1. მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის მიერ ამ რეგულაციასთან შესაბამისობის დემონსტრირების უზრუნველსაყოფად წევრმა სახელმწიფოებმა, საზედამხედველო ორგანომ, საბჭომ და ევროკომისიამ ევროკავშირის დონეზე უნდა წაახალისონ მონაცემთა დაცვის სერტიფიცირების მექანიზმის და მონაცემთა დაცვის ბეჭდისა და ნიშნების მიღება. გათვალისწინებული უნდა იყოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განსაკუთრებული საჭიროებები.
2. მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის მიერ რეგულაციასთან მიერთების გარდა, საჭიროა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სერტიფიცირების მექანიზმის და ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ბეჭდების და ნიშნების შემუშავება ამ რეგულაციის მოქმედების ფარგლებს გარეთ მოქმედი

დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო გარანტიების უზრუნველსაყოფად პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემისას, იმ პირობებით რაც დადგენილია 46-ე მუხლის, მე-2პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით. მონაცემთა ამგვარი დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების ან სავალდებულო ინსტრუმენტის საშუალებით, გამოიყენოს სათანადო გარანტიები, მათ შორის მონაცემთა სუბიექტის უფლებებთანდაკავშირებით.

3. სერტიფიცირება ნებაყოფლობითია და ხელმისაწვდომია გამჭვირვალე პროცესის საშულებით.
4. ამ მუხლის თანახმად, სერტიფიცირება არ ამცირებს დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის რეგულაციასთან შესაბამისობის პასუხისმგებლობას და ითვალისწინებს 55-ე და 56-ე მუხლებით დადგენილი კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებს და უფლებამოსილებას.
5. ამ მუხლის შესაბამისად, სერტიფიცირება უნდა მოხდეს სერტიფიცირების ორგანოს მიერ, რომელიც დადგენილია 43-ე მუხლით ან შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს მიერ, იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც დადგენილია საზედამხედველო ორგანოს მიერ 58-ე მუხლის მე-3-ე პუნქტით ან საბჭოს მიერ 63-ე მუხლის მიხედვით. საბჭოს მიერ კრიტერიუმების დამტკიცებისას ხდება საერთო სერტიფიცირება, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ბეჭედი.
6. მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი, რომელიც დამუშავებას წარადგენს სერტიფიცირების მექანიზმის მისაღებად, ვალდებულია 43-ე მუხლით დადგენილ სერტიფიცირების ორგანოს, შესაბამის სხვა ორგანიზაციას, კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს მიაწოდოს სრული ინფორმაცია დამუშავების საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც საჭიროა სერტიფიცირების პროცედურებისთვის.
7. მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის სერტიფიცირება ხდება არაუმეტეს, სამი წლის ვადით და შესაძლებელია მისი განახლება იმავე პირობებით, იგივე მოთხოვნებთან შესაბამისობის საფუძველზე. როდესაც სერტიფიცირების მოთხოვნები დარღვეულია ან არ სრულდება, სერტიფიცირება შეიძლება გაუქმდეს 43-ე მუხლში ნახსენები სერტიფიცირების უწყებების ან კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს მიერ.
8. საბჭომ რეესტრში უნდა აღრიცხოს სერტიფიცირების ყველა მექანიზმი და მონაცემთა დაცვის ბეჭედი და ნიშანი და ისინი უნდა გაასაჯაროვოს ყველა არსებული საშუალებებით.

მუხლი 43
მასერტიფიცირებელი ორგანო

1. 57-ე და 58-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებისა და უფლებამოსილებების გათვალისწინებით, მონაცემთა დამუშავების შესაბამისი გამოცდილების მქონე მასერტიფიცირებელი ორგანო

გასცემს ან განაახლებს სერტიფიკატს მას შემდეგ, რაც მოახდენს საზედამხედველო ორგანოს ინფორმირებას მის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების შესახებ 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მასერტიფიცირებელი ორგანოებისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება მოხდება ერთ-ერთი ან ორივე შემთხვევაში, შემდეგი ერთ-ერთი ან ორივე საშუალებით:

ა) საზედამხედველო ორგანოს მიერ, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება 55-ე ან 56-ე მუხლის მიხედვით;

ბ) აკრედიტაციის ეროვნული უწყების მიერ, რომელიც დასახელებულია ევროპარლამენტის და საბჭოს (EC) No 765/2008 რეგულაციის და EN-ISO/IEC 17065/2012 შესაბამისად და 55-ე და 56-ე მუხლებით დადგენილი კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების საფუძველზე.

2. პირველ პუნქტში მოხსენიებული მასერტიფიცირებელი ორგანო შესაბამისი უფლებამოსილების მქონედ მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) ახდენენ სერტიფიცირების საკითხზე დამოუკიდებლობის და ექსპერტული ცოდნის დემონსტრირებას კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოსთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით;

ბ) ვალდებულებას იღებს, გაითვალისწინოს კრიტერიუმები, რომლებიც დადგენილია 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით და დამტკიცებულია 55-ე და 56-ე მუხლებით განსაზღვრული საზედამხედველო ორგანოს ან 63-ე მუხლით დადგენილი საბჭოს მიერ

გ) ადგენს მონაცემთა დაცვის სერტიფიკატის, შტამპების და ნიშნების გაცემის, პერიოდული შეფასების და ჩამორთმევის პროცედურებს;

დ) ადგენს სერტიფიკატის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრების განხილვის, მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის მიერ სერტიფიცირების პირობების დაცვის და შესრულების პროცედურებს და სტრუქტურებს იმ მიზნით, რომ ეს პროცედურები და სტრუქტურები იყოს გამჭვირვალე, როგორც მონაცემთა სუბიექტისთვის ასევე საზოგადოებისთვის და

ე) უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანოსთვის ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ მათი ფუნქციები და ვალდებულებები არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს;

3. მასერტიფიცირებელი ორგანოსთვის უფლებამოსილების მინიჭება როგორც ეს მითითებულია ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ხორციელდება კომპეტენტური საზედამხედველო ორგანოს (55-ე და 56- ე მუხლების)ან საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე (63-ე მუხლი). ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით აკრედიტაციისას მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს რეგულაციას(EC) No 765/2008 და ტექნიკურ წესებს, რომელიც აღწერს მასერტიფიცირებელი ორგანოს მეთოდებს და პროცედურებს.

4. პირველ პუნქტში მოხსენიებულ მასერტიფიცირებელ ორგანოებს ეკისრებათ სწორად შეფასების ვალდებულება, რომელიც იწვევს სერტიფიცირებას ან ამ სერტიფიცირების გაუქმებას დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ამ

რეგულაციასთან შესაბამისობის პასუხიმგებლობის შეზღუდვის გარეშე. აკრედიტაცია უნდა გაიცეს მაქსიმუმ ხუთი წლის ვადით და შეიძლება გაგრძელდეს იმ პირობით თუ მასერტიფიცირებელი ორგანო აკმაყოფილებს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მასერტიფიცირებელი ორგანოები ვალდებულნი არიან კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოს შეატყობინონ მოთხოვნილი სერტიფიცირების გაცემის ან ჩამორთმევის საფუძვლები;
6. საზედამხედველო ორგანო ამ მუხლის მე-3 პუნქტით და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები უნდა გაასაჯაროვოს ნებისმიერი ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ეს მოთხოვნები გადასცეს საბჭოსაც. საბჭომ რეესტრში უნდა აღრიცხოს როგორც სერტიფიცირების ყველა მექანიზმი ასევე მონაცემთა დაცვის შტამპი და უნდა გაასაჯაროვოს ისინი ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით.
7. VIII თავის გათვალისწინებით, კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო ან აკრედიტაციის ეროვნული ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს მასერტიფიცირებელი ორგანოს აკრედიტაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ არ ხდება აკრედიტაციის პირობების დაკმაყოფილება ან როდესაც მასერტიფიცირებელი ორგანო არღვევს რეგულაციას.
8. კომისია, 92-ე მუხლის შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს დელეგირებული აქტები 42-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მონაცემთა დაცვის სერტიფიცირების მექანიზმში მოთხოვნების დაკონკრეტებისთვის.
9. კომისიას აქვს უფლება მიიღოს საიმპლემენტაციო აქტი, სადაც განმარტებული იქნება როგორც სერტიფიცირების მექანიზმის ტექნიკური სტანდარტები, მონაცემთა დაცვის შტამპები და ნიშნები, სერტიფიცირების მექანიზმის, ასევე შტამპების და ნიშნების წახალისების და აღიარების საშუალებები. საიმპლემენტაციო აქტები მიღებული უნდა იყოს 93-ე მუხლის მ-2 პუნქტით დადგენილი განხილვის პროცედურებით.

თავი V
პერსონალური მონაცემების მესამე სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა
მუხლი 44
გადაცემის ზოგადი პრინციპები

დამუშავების პროცესში არსებული ან მომავალში დამუშავებისთვის გამიზნული მონაცემების მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი პირობები დაცულია, როგორც მონაცემთა დამმუშავებლის, ასევე უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული ეხება შემთხვევას, რომლის დროსაც ხდება პერსონალური მონაცემების შემდგომი გადაცემა მესამე ქვეყნიდან ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან სხვა მესამე ქვეყანაში ან

საერთაშორისო ორგანიზაციაში. ამ თავის ყველა დებულება უნდა იყოს დაცული იმისთვის, რომ ამ რეგულაციით დადგენილი ფიზიკური პირის დაცვის გარანტიები სრულად იყოს უზრუნველყოფილი.

მუხლი 45
გადაცემა მონაცემთა დაცვის შესაბამისობის გადაწყვეტილების საფუძველზე

1. პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის დასაშვებია თუ კომისია გადაწყვეტს, რომ მესამე სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორია ან მისი რომელიმე ნაწილი, ან საერთაშორისო ორგანიზაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამის დონეს. ამ შემთხვევაში გადაცემა არ საჭიროებს დამატებით ნებართვას.
2. პერსონალური მონაცემების დაცვის სათანადო დონის არსებობის შეფასებისას კომისია მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს:

   ა) კანონის უზენაესობა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა, როგორც ზოგადი, ასევე სექტორული, მათ შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოება, თავდაცვა, ეროვნული უსაფრთხოება და სისხლის სამართალი და სახელმწიფო უწყებების მიერ მონაცემებზე წვდომა, ასევე აღნიშნული კანონმდებლობის პრაქტიკაში განხორციელება, მონაცემთა დაცვის წესები, პროფესიული წესები და უსაფრთხოების ღონისძიებები., მათ შორის პერსონალურ მონაცემთა გადაცემა მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში მათი წესების შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების ეფექტურობა და განხორციელება, უფლებების დაცვის გარანტიები მონაცემთა სუბიექტისთვის, რომლის მონაცემების დამუშავებაც ხორციელდება;

   ბ) მესამე ქვეყანაში ან იმ ქვეყანაში, რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაა, ერთი ან მეტი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს არსებობა და მისი ეფექტურად ფუნქციონირება, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დაცვის წესებს და უზრუნველყოფს მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათ შორის აღსრულების შესაბამისი უფლებამოსილება, მონაცემთა სუბიექტის დახმარება და მათთვის რჩევის მიცემა საკუთარი უფლების გამოყენებისას და წევრი სახელმწიფოების საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობა; და

   გ) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საკუთარ თავზე აღებული საერთაშორისო ვალდებულებები, ან სხვა ვალდებულებები, რომელებიც გამომდინარეობს სავალდებულოდ შესასრულებელი კონვენციებიდან ან სხვა ინსტრუმენტებიდან ასევე ამ ქვეყნების მონაწილეობა მრავალმხრივ ან რეგიონულ სისტემებში განსაკუთრებით პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში.
3. კომისია, საიმპლემენტაციო აქტის საფუძველზე, პერსონალური მონაცემების დაცვის დონის შეფასების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული სახელმწიფოს, ტერიტორიის, ან მესამე ქვეყანაში ერთი ან რამდენიმე კონკრეტული

სექტორისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ პერსონალური მონაცემების დაცვის დონის უზრუნველყოფის თაობაზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში. საიმპლემენტაციო აქტი ადგენს პერიოდული მონიტორინგის მექანიზმს, სულ მცირე ოთხ წელიწადში ერთხელ, რათა მხედველობაში იქნას მიღებული ქვეყანაში და საერთაშორისო ორგანიზაციაში მიმდინარე მოვლენები. კომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს ის ტერიტორიული ფარგლები და სფეროები, რომლის მიმართაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება და სადაც შესაძლებელია განისაზღვროს საზედამხედველო ორგანო ან ორგანოები, რომელიც მოხსენიებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში. საიმპლემენტაციო აქტი მიიღება 93-ე მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილი განხილვის პროცედურების შესაბამისად.

4. კომისია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე მესამე ქვეყანაში მიმდინარე იმ პროცებზე, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს ამ მუხლის მე-3 პუნქტის და დირექტივა 95/46/EC 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე.
5. იმ შემთხვევაში თუ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული შეფასების ფარგლებში კომისია აღმოაჩენს, რომ მესამე სახელმწიფო, მისი ნაწილი ან საერთაშორისო ორგანიზაცია აღარ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამის სტანდარტს იგი საჭიროებისამებრ ცვლის, აუქმებს ან შეაჩერებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ გადაწყვეტილებას, უკუქცევითი ძალის გარეშე. აღნიშნული საიმპლემენტაციო აქტები უნდა იყოს მიღებული 93-ე მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილი განხილვის პროცედურების შესაბამისად.

   კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაუდებელი საიმპლემენტაციო აქტი 93-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პროცედურების ფარგლებში თუ არსებობს ამის ჯეროვანი საფუძველი.
6. კომისიამ კონსულტაციები უნდა აწარმოოს მესამე სახელმწიფოსთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან იმ სიტუაციის გამოსასწორებლად, რომელიც საფუძვლად დაედო ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილებას.
7. ამ მუხლი მე-5 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება არ ზღუდავს მესამე ქვეყნისთვის, მისი ნაწილისთვის ან ერთი ან რამდენიმე კონკრეტული სფეროსთვის, ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემას 46-ე და 49-ე მუხლების შესაბამისად.
8. კომისია ვალდებულია ევროკავშირის ოფიციალურ ბეჭდურ ორგანოში და საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს იმ მესამე ქვეყნების, მისი ნაწილის და კონკრეტული სექტორების და საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებიც უზრუნველყოფენ ან ვერ განსაზღვრავენ აქვთ ან აღარ აქვთ პერსონალური მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიებს.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება 95/46/EC დირექტივის 26-ე მუხლს, რჩება ძალაში მანამ სანამ არ მოხდება კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მასში ცვლილებების შეტანა, შეცვლა ან გაუქმება რომელიც მიღებულია ამ მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების საფუძველზე.

მუხლი 46

პერსონალურ მონაცემთა გადაცემა დაცვის სათანადო გარანტიების საფუძველზე

1. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი კომისიის გადაწყვეტილება, პერსონალური მონაცემები მესამე სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას გადაეცემა მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს დაცვის შესაბამის გარანტიებს, იმ პირობით, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის ხელმისაწვდომი იქნება როგორც მისი ძირითადი უფლებები ასევე ამ უფლებათა განხორციელების სამართლებრივი საშუალებები.
2. პირველ პუნქტში მითითებული დაცვის სათანადო გარანტიები შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი საზედამხედველო ორგანოს ნებართვის მიღების გარეშე, თუ არსებობს:

   ა) საჯარო უწყებებს და ორგანოებს შორის არსებული სავალდებულო ძალის მქონე და აღსრულებადი ინსტრუმენტი;

   ბ) სავალდებულო კორპორაციული წესები 47-ე მუხლის მიხედვით;

   გ) 93-ე მუხლის, მეორე პუნქტით დადგენილი შემოწმების პროცედურის მიხედვით კომისიის მიერ მიღებული მონაცემთა დაცვის სტანდარტული პირობები;

   დ) 93-ე მუხლის, მეორე პუნქტით დადგენილი შემოწმების პროცედურების მიხედვით, საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული და კომისიის მიერ დამტკიცებული მონაცემთა დაცვის სტანდარტული პირობები;

   ე) მე-40 მუხლის მიხედვით დამტკიცებული ქცევის კოდექსი და მესამე ქვეყანაში დამმუშავებელზე ან უფლებამოსილ პირზე დაკისრებული სავალდებულო ძალის მქონე წესები სათანადო დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად, მათ შორის მონაცემთა სუბიექტის უფლებებთან მიმართებით; ან

   ვ) 42-ე მუხლის მიხედვით დამტკიცებული სერტიფიცირების მექანიზმი და მესამე ქვეყანაში დამმუშავებელზე ან უფლებამოსილ პირზე დაკისრებული სავალდებულო ძალის მქონე წესები სათანადო დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად, მათ შორის მონაცემთა სუბიექტის უფლებებთან მიმართებით;
3. პირველ პუნქტში მითითებული დაცვის სათანადო გარანტიები, რომლებიც უფლებამოსილი საზედამხედველო ორგანოს მიერ უნდა იყოს დამტკიცებული შეიძლება ასევე უზრუნველყოფილი იყოს:

   ა)დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს და მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემის დამმუშავებელს ან მიმღებს შორის ხელშეკრულების პირობებით; ან

   ბ) საჯარო უწყებებს ან ორგანოებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ შეთანხმებებში მონაცემთა სუბიექტის სავალდებულო ძალის მქონე და ეფექტური უფლებების გათვალისწინებით.
4. საზედამხედველო ორგანო უნდა იყენებდეს 63-ე მუხლით დადგენილ

თანამიმდევრულობის მექანიზმს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ შემთხვევებში;

5. დირექტივა 95/46/EC-ის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, წევრი სახელმწიფოს ან საზედამხედველო ორგანოს ავტორიზაცია საჭიროების შემთხვევაში ძალაში რჩება მასში ცვლილებების შეტანამდე, მის შეცვლამდე ან გაუქმებამდე. კომისიის მიერ დირექტივა 95/46/EC-ის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში ძალაშია მასში ცვლილებების შეტანამდე, შეცვლამდე ან გაუქმებამდე, კომისიის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 47
სავალდებულო კორპორაციული წესები

1. კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო 63-ე მუხლით გათვალისწინებული თანამიმდევრულობის მექანიზმის საფუძველზე ამტკიცებს სავალდებულო კორპორაციულ წესებს, რომლებიც:

   ა) სავალდებულო ძალის მქონეა, ვრცელდება და აღსრულებადია ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების და საწარმოთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ, მათ შორის მათი თანამშრომლების მიერ;

   ბ) მონაცემთა სუბიექტს პირდაპირ ანიჭებენ განხორციელებად უფლებებს მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებაში; და

   გ) შეესაბამება მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

2. პირველი პუნქტით დადგენილი სავალდებულო კორპორაციული წესები, სულ მცირე განსაზღვრული უნდა იყოს:

   ა) ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციების და საწარმოთა ჯგუფის და თითოეული მისი წევრის სტრუქტურა და საკონტაქტო მონაცემები;

   ბ) მონაცემთა გადაცემა ან გადაცემათა ერთობლიობა, მათ შორის პერსონალური მონაცემების კატეგორიები, დამუშავების ფორმა და მისი მიზანი, მონაცემთა სუბიექტები, ვისზეც გავლენას ახდენს დამუშავება და მესამე ქვეყანა ან შესაბამისი ქვეყნები;

   გ) მათი სავალდებულო ძალა, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ;

   დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი პრინციპების გავრცელება, კერძოდ, მიზნის შეზღუდვა, მონაცემთა მინიმიზაცია, შენახვის შეზღუდული ვადები, მონაცემთა ხარისხი, მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინება ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნის პროცესში („Privacy by Design“) და მონაცემთა დაცვა პირველად პარამეტრად („Privacy by Default“), დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, მონაცემთა დაცვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შემდგომი გადაცემის მოთხოვნები იმ ორგანოებისთვის, რომლებზეც არ ვრცელდება სავალდებულო კორპორაციული

წესები;
ე) მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ამ უფლებების გამოყენების საშუალებები, მათ შორის, უფლება მის შესახებ გადაწყვეტილება არ იქნას მიღებული მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებებით, ადამიანური რესურსის ჩარევის გარეშე, მათ შორის 22-ე მუხლით გათვალისწინებული პროფილირების მეშვეობით, 79-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულ კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოში და სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება და სავალდებულო კორპორაციული წესების დარღვევისთვის სათანადო ანაზღაურების და საჭიროებისამებრ, კომპენსაციის მიღების უფლება.
ვ) წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობა ევროკავშირის არა წევრი ქვეყნის მიერ დადგენილი სავალდებულო კორპორაციული წესების ნებისმიერი დარღვევისთვის; დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი სრულად ან ნაწილობრივ უნდა განთავისუფლდეს ამ პასუხისმგებლობისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის დაამტკიცებს, რომ წევრი არ არის პასუხისმგებელი მოვლენაზე რამაც გამოიწვია უფლების დარღვევა;
ზ) მე-13 და მე-14 მუხლებთან ერთად სავალდებულო კორპორაციულ წესებზე, კერძოდ, კი ამ პუნქტის „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ინფორმაცია როგორ მიეწოდება მონაცემთა სუბიექტს;
თ) 37-ე მუხლით დადგენილი მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან ნებისმიერი სხვა პირის ან უწყების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციათა ჯგუფში ან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე საწარმოთა ჯგუფში სავალდებულო კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის მონიტორინგის შესახებ, ასევე მონიტორინგის თაობაზე ტრენინგი და საჩივრების განხილვა;
ი) საჩივრების განხილვის პროცედურები;
კ) ორგანიზაციათა ჯგუფში ან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე საწარმოთა ჯგუფში არსებული მექანიზმები სავალდებულო კორპორაციულ წესებთან შესაბამისობის დასადგენად. ეს მექანიზმები უნდა მოიცავდეს მონაცემთა დაცვის აუდიტს და მეთოდებს, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვა. ამგვარი ვერიფიკაციის შედეგები უნდა გაეცნოს პირს ან უწყებას, რომელიც მითითებულია „თ“ ქვეპუნქტში და ასევე ორგანიზაციათა ჯგუფის ან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე საწარმოთა ჯგუფში შემოწმების განმახორციელებელი უწყების საბჭოს და ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზედამხედველო ორგანოსთვის მოთხოვნისამებრ;
ლ) წესების ცვლილებების აღრიცხვის და ჩაწერის მექანიზმების და მათი საზედამხედველო ორგანოსთვის ანგარიშგება/შეტყობინება;
მ) საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის მექანიზმი ორგანიზაციათა ჯგუფის ან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე საწარმოთა ჯგუფის ნებისმიერი წევრის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კერძოდ, საზედამხედველო ორგანოსთვის „კ“ ქვეპუნქტით დადგენილი ზომების შედეგების გაცნობა;
ნ) კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოსთან ანგარიშგების მექანიზმი მესამე

ქვეყანაში მოქმედი ნებისმიერი სამართლებრივი მოთხოვნის შესახებ, რომელიც ვრცელდება ორგანიზაციათა ჯგუფის ან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილე საწარმოთა ჯგუფის წევრზე, რომელმაც შესაძლოა იქონიოს არსებითად უარყოფითი გავლენა სავალდებულო კორპორაციული წესებით დადგენილ გარანტიებზე; და

ნ) მონაცემთა დაცვის შესახებ, შესაბამისი ტრენინგი პერსონალისთვის, რომელთაც აქვთ მუდმივი ან რეგულარული წვდომა პერსონალურ მონაცემებზე;

3. კომისიამ შესაძლოა განსაზღვროს დამმუშავებლებს, უფლებამოსილ პირებს და საზედამხედველო ორგანოებს შორის სავალდებულო კორპორაციული წესების შესახებ ინფორმაციის გაცვლის ფორმატი და პროცედურა ამ მუხლით გათვალისწინებული წესით. საიმპლემენტაციო აქტები უნდა იქნას მიღებული 93-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემოწმების პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 48

პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ან გამჟღავნება, რომელიც არ არის დაშვებული ევროკავშირის კანონმდებლობით

მესამე ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ მიღებული ნებისმიერი განჩინება ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირისგან პერსონალური მონაცემების გადაცემას ან გამჟღავნებას, შეიძლება აღიარებული ან აღსრულებული იყოს ნებისმიერი ფორმით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ეფუძნება საერთაშორისო შეთანხმებას, როგორიცაა სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმება, რომელიც ძალაშია მომთხოვნ მესამე ქვეყანას და ევროკავშირს ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს შორის, ამ თავით დადგენილი გადაცემის სხვა საფუძვლების გათვალისწინებით.

მუხლი 49

გამონაკლისები კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში

1. 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შესაბამისობის გადაწყვეტილების, ან 46-ე მუხლით დადგენილი სათანადო დაცვის გარანტიების, მათ შორის სავალდებულო კორპორაციული წესების არ არსებობის შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა ან გადაცემათა ერთობლიობა უნდა განხორციელდეს შემდეგი ერთ-ერთი პირობის საფუძველზე მაინც:

   ა) მონაცემთა სუბიექტი აშკარად დაეთანხმა დაგეგმილ გადაცემას, მას შემდეგ, რაც იგი გაეცნო გადაცემის შესაძლო რისკებს შესაბამისობის გადაწყვეტილების და სათანადო დაცვის გარანტიების არ არსებობის პირობებში;

   ბ) მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტს და მონაცემთა დამმუშავებელს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის თხოვნით ხელშეკრულების მოსამზადებლად;

გ) მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ინტერესებიდან გამომდინარე მონაცემთა დამმუშავებელს და სხვა ფიზიკურ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად;

დ) გადაცემა საჭიროა საჯარო ინტერსის სფეროში შემავალი მიზნებიდან გამომდინარე;

ე) მონაცემთა გადაცემა აუცილებელია სამართლებრივი მოთხოვნის დასადგენად, განსახორციელებლად ან დასაცავად;

ვ) მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, როდესაც მონაცემთა სუბიექტს აქვს არ შესწევს უნარი განაცხადოს თანხმობა;

ზ) მონაცემთა გადაცემა ხორციელდება რეესტრიდან, რომელიც ევროკავშირის ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას და რომელიც გასცემს კონსულტაციას საზოგადოების ან ნებისმიერ პირზე, ვინც მოახდენს კანონიერი ინტერესის დადასტურებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კონსულტაციისას ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესები დაცულია;

როდესაც გადაცემა არ ხორციელდება 45-ე და 46-ე მუხლების შესაბამისად, მათ შორის, სავალდებულო კორპორაციული წესების გათვალისწინებით და ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი არცერთი გამონაკლისი არ ვრცელდება, მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის განმეორებითი, ეხება მონაცემთა სუბიექტების მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას, აუცილებელი მონაცემთა დამმუშავებლის კანონიერი ინტერესების დასაცავად, თუ ეს ინტერესი არ აღემატება მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და თავისუფლებებს და მონაცემთა დამმუშავებელს შეფასებული აქვს მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებული ყველა გარემოება და ამ შეფასების საფუძველზე შემუშავებულია სათანადო გარანტიები პერსონალური მონაცემების გადაცემისთვის. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა აცნობოს საზედამხედველო ორგანოს გადაცემის თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა მე-13 და მე-14 მუხლებში მითითებულ ინფორმაციასთან ერთად მონაცემთა სუბიექტს უნდა შეატყობინოს მონაცემთა გადაცემისა და ამ გადაცემისთვის არსებული კანონიერი ინტერესების თაობაზე.

2. პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილი მონაცემთა გადაცემის შემთხვევაში არ უნდა გადაიცეს რეესტრში ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემები სრულად ან მონაცემთა სრული კატეგორიები. როდესაც რეესტრს კანონიერი ინტერესების მქონე მონაცემთა სუბიექტებისთვის საკონსულტაციო დანიშნულება აქვს, ამ შემთხვევაში მონაცემთა გადაცემა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ამ პირთა მოთხოვნის საფუძველზე ან თუ ისინი თავად არიან მონაცემთა მიმღებნი.
3. პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მეორე პუნქტი არ ვრცელდება საჯარო უწყებების მიერ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებზე.

4. პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი საჯარო ინტერესი უნდა იყოს აღიარებული ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელიც ვრცელდება მონაცემთა დამმუშავებელზე.
5. შესაბამისობის გადაწყვეტილების არ არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა საჯარო ინტერესიდან გამომდინარე აწესებს შეზღუდვებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გადაცემაზე მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში. წევრმა სახელმწიფოებმა ამ დებულებების შესახებ უნდა აცნობონ კომისიას.
6. მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა 30-ე მუხლით დადგენილ რეესტრში წერილობითი ფორმით უნდა განსაზღვრონ ამ მუხლის პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტში მითითებული შეფასება და დაცვის სათანადო ზომები.

მუხლი 50
საერთაშორისო თანამშრომლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით

მესამე ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებით კომისიამ და საზედამხედველო ორგანოებმა უნდა გაატარონ სათანადო ღონისძიებები რათა უზრუნველყონ:

ა) საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმის შემუშავება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ეფექტური აღსრულების მიზნით;

ბ) საერთაშორისო ურთიერთდახმარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის აღსრულების მიზნით, მათ შორის, შეტყობინების, საჩივრის განსახილველად გადაცემის, საგამოძიებო საქმიანობისას დახმარების და ინფორმაციის გაცვლის გზით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის და სხვა ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვის სათანადო გარანტიების გათვალისწინებით;

გ) განხილვებსა და საქმიანობაში დაინტერესებული მხარეების ჩართვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის აღსრულებისას საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის და პრაქტიკის მათ შორის მესამე ქვეყნებთან იურისდიქციასთან დაკავშირებული დავების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და აღრიცხვის ხელშეწყობა.

თავი VI
დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები
ნაწილი I
დამოუკიდებელი სტატუსი

მუხლი 51
საზედამხედველო ორგანო

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ერთი ან მეტი დამოუკიდებელი საჯარო უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს ამ რეგულაციის დანერგვას, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკური პირების ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დასაცავად და ევროკავშირის მასშტაბით პერსონალურ მონაცემთა თავისუფალი მიმოცვლის ხელშესაწყობად („საზედამხედველო ორგანო“).
2. თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ ხელს უნდა შეუწყოს ამ რეგულაციის თანამიმდევრულ დანერგვას ევროკავშირის მასშტაბით. ამ მიზნით საზედამხედველო ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და კომისიასთან VII თავის შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში თუ წევრ სახელმწიფოში ერთზე მეტი საზედამხედველო ორგანოა შექმნილი, ამ წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს საბჭოში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე საზედამხედველო ორგანო, და უნდა შეიმუშავოს მექანიზმი, რათა უზრუნველყოს სხვა ორგანოების შესაბამისობა 63-ე მუხლით დადგენილ თანამიმდევრულობის მექანიზმთან.
4. 2018 წლის 25 მაისამდე თითოეული წევრმა სახელმწიფომ კომისიას დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამ თავის შესაბამისად შემუშავებული დებულებების ან მათზე გავლენის მქონე შესწორებების შესახებ.

მუხლი 52
დამოუკიდებლობა

1. თითოეულ საზედამხედველო ორგანო უნდა იყოს სრულად დამოუკიდებელი ამ რეგულაციით მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და უფლებამოსილების განხორციელების პროცესში.
2. თითოეული საზედამხედველო ორგანოს წევრი ან წევრები ამ რეგულაციით მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და უფლებამოსილების განხორციელების პროცესში უნდა იყვნენ თავისუფალნი პირდაპირი თუ ირიბი ჩარევისგან და არ უნდა მოითხოვონ ან მიიღონ მითითებები გარეშე პირთაგან.
3. თითოეული საზედამხედველო ორგანოს წევრმა ან წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისგან, რომელიც არ შეესაბამება მათ ვალდებულებებს და თავიანთი უფლებამოსილების ვადაში არ უნდა მიიღონ მონაწილეობა შეუთავსებელ საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, ანაზღაურებადია ის თუ არა.
4. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ საზედამხედველო ორგანო უნდა

უზრუნველყოს ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით, შენობითა და ინფრასტრუქტურით საკუთარი ფუნქციების და უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისთვის, მათ შორის, ურთიერთდახმარების, თანამშრომლობის და საბჭოში მონაწილეობის მიზნით.

5. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ საზედამხედველო ორგანომ თავად შეარჩიოს საკუთარი თანამშრომელთა შემადგენლობას, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს მითითებული საზედამხედველო ორგანოს წევრის ან წევრების პირდაპირ მითითებებს.

6. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზედამხედველო ორგანოს ფინანსურ კონტროლი, იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვა. მას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, საჯარო წლიური ბიუჯეტი, რომელიც იქნება სახელმწიფოს ერთიანი ან ეროვნული ბიუჯეტის ნაწილი.

მუხლი 53
საზედამხედველო ორგანოს წევრთა ზოგადი წესები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საზედამხედველო ორგანოს თითოეული წევრი დაინიშნოს გამჭვირვალე პროცედურით და არჩეულ იქნან:
- პარლამენტის;
- მთავრობის;
- სახელმწიფოს მეთაურის ან
- დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, რომელსაც არჩევის უფლებამოსილება ენიჭება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

2. თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და უნარები, განსაკუთრებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, რაც აუცილებელია მოვალეობების შესრულებისა და უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

3. წევრის ვალდებულებები წყდება მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის, გადადგომის ან სავალდებულო საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წევრი შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი გადაცდომის შემთხვევაში ან როდესაც წევრი აღარ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

მუხლი 54
საზედამხედველო ორგანოს შექმნის წესები

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ კანონით უნდა განსაზღვროს:

ა) თითოეული საზედამხედველო ორგანოს შექმნა;

ბ) საზედამხედველო ორგანოს წევრად არჩევის და დანიშვნისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

გ) თითოეულ საზედამხედველო ორგანოში წევრად ან წევრებად არჩევის წესები და პროცედურები;
დ) საზედამხედველო ორგანოში წევრის ან წევრების უფლებამოსილების ვადა არანაკლებ ოთხი წლით, გარდა 2016 წლის 24 მაისის შემდეგ პირველი დანიშვნისა, რა შემთხვევაშიც წევრთა ნაწილის უფლებამოსილება შესაძლოა იყოს უფრო მოკლევადიანი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლობა როტაციის პრინციპის შემოღების გზით;
ე) შესაძლებელია თუ არა საზედამხედველო ორგანოს წევრის ან წევრების ხელახლა არჩევა და თუ შესაძლებელია, რა ვადით;
ვ) თითოეული წევრის, წევრთა და თითოეული საზედამხედველო ორგანოს თანამშრომლების ვალდებულებების განმსაზღვრელი პირობები; უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ვადის ამოწურვის შემდეგ საქმიანობის, მოქმედებების და შეღავათების აკრძალვები და საქმიანობის შეწყვეტის მარეგულირებელი წესები.
2. თითოეული საზედამხედველო ორგანოს წევრს და წევრებს ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრებათ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და მის შემდეგ, ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა ფუნქციების შესრულების ან უფლებამოსილების განხორციელებისას. უფლებამოსილების შესრულებისას პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება ვრცელდება განსაკუთრებით ფიზიკური პირების მიერ ამ რეგულაციის დარღვევების შესახებ შეტყობინებაზე.

ნაწილი 2
კომპეტენცია, ფუნქციები და უფლებამოსილება

მუხლი 55
კომპეტენცია

1. თითოეული საზედამხედველო ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება რეგულაციით მასზე დაკისრებული ფუნქციების და მინიჭებული უფლებამოსილებების შესრულება იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელსაც ის მიეკუთვნება.
2. იმ შემთხვევებში, როდესაც მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საჯარო უწყების ან კერძო ორგანიზაციის მიერ მე-6 მუხლის, პირველი პუნქტის (გ) და (ე) ქვეპუნქტების შესაბამისად, კომპეტენტურია იმ წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანო, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება დამუშავება. ასეთ შემთხვევებზე არ გავრცელდება 56-ე მუხლის მოქმედება.
3. საზედამხედველო ორგანო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს ზედამხედველობა სასამართლოს მიერ, სასამართლო საქმისწარმოების ფარგლებში განხორციელებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

მუხლი 56
წამყვანი საზედამხედველო ორგანოს კომპეტენცია

1. 55-ე მუხლის გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ძირითადი ან ერთადერთი ადგილსამყოფელის მიხედვით საზედამხედველო ორგანო კომპეტენტურია იმოქმედოს, როგორც წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ ამ რეგულაციის მე-60 მუხლის შესაბამისად განხორციელებული მონაცემთა საერთაშორისო გადაცემისას.
2. პირველი პუნქტით დადგენილი წესიდან გამონაკლისის სახით, თითოეული საზედამხედველო ორგანო კომპეტენტურია, განიხილოს წარდგენილი საჩივარი ან ამ რეგულაციის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული შემთხვევები, თუ საკითხი ეხება მხოლოდ წევრ სახელმწიფოში არსებულ ორგანიზაციას ან არსებითად მოქმედებს მონაცემთა სუბიექტებზე მხოლოდ მის წევრ სახელმწიფოში.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს წამყვან საზედამხედველო ორგანოს. ინფორმაციის მიღებიდან სამი კვირის ვადაში წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება განიხილავს თუ არა ამ საკითხის მე-60 მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, არის თუ არა მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის ადგილსამყოფელი იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის საზედამხედველო ორგანომაც მიაწოდა მას ინფორმაცია.
4. როდესაც წამყვანი საზედამხედველო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საქმის განხილვის შესახებ მასზე ვრცელდება მე-60 მუხლით დადგენილი პროცედურები. საზედამხედველო ორგანო, რომელმაც შეატყობინა წამყვან საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილია გაუგზავნოს მას გადაწყვეტილების პროექტი. წამყვანი საზედამხედველო ორგანო მაქსიმალურად ითვალისწინებს გადაწყვეტილების პროექტს, როდესაც ამზადებს მე-60 მუხლის, მე-3 პუნქტით დადგენილი გადაწყვეტილების პროექტს.
5. როდესაც წამყვანი საზედამხედველო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას არ განიხილოს საკითხი, ის საზედამხედველო ორგანო, რომელმაც შეატყობინა წამყვან საზედამხედველო ორგანოს განიხილავს საკითხს 61-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად.
6. წამყვანი საზედამხედველო ორგანო არის მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის ერთადერთი მარეგულირებელი საერთაშორისო დამუშავების პროცესში, რომელსაც ეს დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ახორციელებენ.

მუხლი 57
ფუნქციები

1. რეგულაციით დადგენილი სხვა ფუნქციების გათვალისწინებით, თითოეული საზედამხედველო ორგანო მისი მოქმედების ტერიტორიულ ფარგლებში ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:
ა) რეგულაციის დანერგვის ზედამხედველობა და აღსრულება;

ბ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების, წესების, დაცვის მექანიზმებისა და უფლებების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვებთან/არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;
გ) წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად პარალმენტის, მთავრობის და სხვა ინსტიტუტებისა და უწყებებისათვის კონსულტაციების გაწევა დამუშავების პროცესში ფიზიკური პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით;
დ) მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირების ცნობიერების ამაღლება რეგულაციის შესაბამისად მათზე დაკისრებულ მოვალეობებთან დაკავშირებით;
ე) მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნისას მისთვის ინფორმაციის მიწოდება ამ რეგულაციით დადგენილი უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, სხვა წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის გზით;
ვ) მონაცემთა სუბიექტის, უწყების ან ორგანიზაციის ან ასოციაციის მიერ მე-80 მუხლის მიხედვით წარდგენილი საჩივრების განხილვა და საჩივარში მითითებული გარემოებების შესწავლა შესაბამის ფარგლებში, საჩივრის წარმდგენის გონივრულ ვადაში ინფორმირება საქმის მიმდინარეობის და შესწავლის შედეგების შესახებ, განსაკუთრებით თუ დამატებითი შესწავლა ან სხვა საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობაა საჭირო;
ზ) სხვა საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობა, მათ შორის, ინფორმაციის გაზიარებისა და ურთიერთდახმარების გზით, ამ რეგულაციის თანმიმდევრული დანერგვისა და აღსრულების უზრუნველსაყოფად;
თ) შემოწმების განხორციელება ამ რეგულაციის შესრულების მიზნით, მათ შორის სხვა საზედამხედველო ორგანოს ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;
ი) ისეთი მოვლენების ზედამხედველობა, რომლებიც გავლენას ახდენენ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე გავლენა, კერძოდ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კომერციული პრაქტიკის განვითარებასთან დაკავშირებით;
კ) 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის და 46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის შესაბამისად სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების დამტკიცება;
ლ) მონაცემთა დამუშავების რისკების შეფასებისათვის აუცილებელი მოთხოვნების სიის დადგენა და საჯაროდ გაცნობა 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;
მ) მონაცემთა დამმუშავებლისათვის კონსულტაციის გაწევა 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამუშავების შემთხვევებში;
ნ) მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქცევის კოდექსების შემუშავების ხელშეწყობა, ამ კოდექსებზე მოსაზრების წარდგენა და იმ კოდექსების დამტკიცება, რომლებიც ითვალისწინებენ სათანადო დაცვის გარანტიებს მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;
ო) 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის სერტიფიცირების მექანიზმების და მონაცემთა დაცვის ბეჭდების და ნიშნების შემუშავების ხელშეწყობა, ასევე 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით სერტიფიცირების კრიტერიუმების დამტკიცება;
პ) საჭიროებისამებრ, სერტიფიცირების პერიოდული გადასინჯვა 42-ე მუხლის მე-7

პუნქტის შესაბამისად;
ჟ) 41-ე მუხლის მიხედვით ქცევის კოდექსებზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოსა და 43-ე მუხლის მიხედვით მასერტიფიცირებელი ორგანოების აკრედიტაციის კრიტერიუმების მომზადება და გამოქვეყნება.
რ) 41-ე მუხლის მიხედვით ქცევის კოდექსებზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოსა და 43-ე მუხლის მიხედვით მასერტიფიცირებელი ორგანოების აკრედიტება;
ს) 46-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი სახელშეკრულებო პირობების და დებულებების ავტორიზება;
ტ) 47-ე მუხლით დადგენილი სავალდებულო კორპორაციული წესების დამტკიცება;
უ) საბჭოს საქმიანობის მხარდაჭერა;
ფ) რეგულაციის წესების დარღვევებისა და 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით გატარებული ზომების შიდა აღრიცხვა; და
ქ) მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ამოცანის შესრულება.
2. თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ ხელი უნდა შეუწყოს პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი საჩივრების წარდგენას ისეთი ფორმით, რომელთა შევსება ელექტრონულადაც არის შესაძლებელი, კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამორიცხვის გარეშე.
3. საზედამხედველო ორგანოს მიერ ფუნქციების შესრულება უფასო უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტისათვის და საჭიროების შემთხვევაში მონაცემთა დაცვის ოფიცრისათვის.
4. თუ მოთხოვნები ცალსახად დაუსაბუთებელი ან გადაჭარბებულად მოცულობითია, განსაკუთრებით მათი განმეორებითი ხასიათის გამო, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია დააწესოს გონივრული საფასური, ინფორმაციის მიწოდების, კომუნიკაციის ან მოთხოვნილი ქმედებების განხორციელების ადმინისტრაციული ხარჯების გათვალისწინებით, ან უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. საზედამხედველო ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ მოთხოვნა ცალსახად უსაფუძვლო ან გადაჭარბებულად მოცულობითია.

მუხლი 58
უფლებამოსილებები

1. თითოეულ საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰქონდეს შემდეგი შესწავლის/გამოძიების უფლებამოსილება:
ა) მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირს, ასევე, არსებობის შემთხვევაში, მათ წარმომადგენელს, ნებისმიერი ინფორმაცია, რაც საჭიროა მისი ფუნქციების შესასრულებლად;
ბ) განახორციელოს საქმის შესწავლა მონაცემთა დაცვის აუდიტის ფორმით;
გ) განახორციელოს 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი სერტიფიცირების გადასინჯვა;
დ) შეატყობინოს მონაცემთა დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს რეგულაციის წესების სავარაუდო დარღვევის შესახებ;

ე) მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირისაგან მიიღოს წვდომა ნებისმიერ პერსონალურ მონაცემზე და იმ ინფორმაციაზე, რაც საჭიროა მისი ფუნქციების განსახორციელებლად;
ვ) მიიღოს წვდომა მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის შენობებზე, მათ შორის, მონაცემთა დამუშავებისათვის გამოყენებულ აღჭურვილობასა და საშუალებებზე, ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის შესაბამისად;
2. თითოეულ საზედამხედველო ორგანოს აქვს დარღვევის გამოსასწორებლად შემდეგი ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება:
ა) გააფრთხილოს მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი, რომ დაგეგმილი მონაცემთა დამუშავება სავარაუდოდ გამოიწვევს რეგულაციის დებულებების დარღვევას;
ბ) გამოუცხადოს საყვედური მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს რეგულაციის დებულებების დარღვევისათვის;
გ) მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს იმოქმედონ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად, რათა მან შეძლოს ამ რეგულაციით დადგენილი უფლებების რეალიზება;
დ) მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს დამუშავების პროცესის რეგულაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ფორმითა და შესაბამისი ვადის დაწესებით;
ე) მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს მონაცემთა სუბიექტისათვის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინება;
ვ) დააწესოს დროებითი ან განსაზღვრული შეზღუდვა ან აკრძალვა მონაცემთა დამუშავებაზე;
ზ) მოითხოვოს მონაცემთა შესწორება, წაშლა ან დამუშავების შეზღუდვა მე-16, მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად და აღნიშნული მოქმედების თაობაზე შეტყობინების გაგზავნა იმ მიმღებისათვის, ვისთვისაც მოხდა პერსონალური მონაცემების გამჟღავნება მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-19 მუხლების შესაბამისად;
თ) გაითხოვოს სერტიფიცირება ან მოსთხოვოს მასერტიფიცირებელ ორგანოს 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად გაცემული სერტიფიკატის გამოთხოვა ან მოსთხოვოს მასერტიფიცირებელ ორგანოს სერტიფიცირებაზე უარის თქმა თუ სერტიფიცირების მოთხოვნები არ ან აღარ არის დაკმაყოფილებული.
ი) 83-ე მუხლის შესაბამისად თითოეული საქმის გარემოების გათვალისწინებით, დააკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა დამატებით ან ამ მუხლში ჩამოთვლილი ღონისძიებების სანაცვლოდ;
კ) მოითხოვოს მონაცემთა გადაცემის შეწყვეტა მესამე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციისათვის.
3. თითოეულ საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰქონდეს ნებართვისა და კონსულტაციის გაცემის შემდეგი უფლებამოსილებები:
ა) გაუწიოს რეკომენდაცია მონაცემთა დამმუშავებელს წინასწარი კონსულტაციის პროცედურების შესაბამისად, რომელიც დადგენილია 36-ე მუხლით;
ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს წინადადებები ეროვნულ პარლამენტს, წევრი სახელმწიფოს მთავრობას ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობის

შესაბამისად, სხვა ორგანოებს და დაწესებულებებს ან საზოგადოებას;
გ) 36-ე მუხლის მე-5- პუნქტის შესაბამისად გასცეს დამუშავებაზე ნებართვა თუ წევრი სახელმწიფოს კანონი ითვალისწინებს ასეთი ნებართვის გაცემას;
დ) მოამზადოს დასკვნა ქცევის კოდექსებზე და დაამტკიცოს ისინი მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;
ე) მიანიჭოს აკრედიტაცია მასერტიფიცირებელ ორგანოებს 43-ე მუხლის შესაბამისად;
ვ) გასცეს სერტიფიკატი და დაამტკიცოს სერტიფიცირების კრიტერიუმები 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად;
ზ) დაამტკიცოს მონაცემთა დაცვის სტანდარტული დებულებები დადგენილი 28-ე მუხლის მე-8 პუნქტით და 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით.
თ) გასცეს ავტორიზაცია 46-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ სახელშეკრულებო პირობებზე;
ი) გასცეს ავტორიზაცია ადმინისტრაციულ შეთანხმებაზე, რომელიც დადგენილია 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით;
კ) დაამტკიცოს სავალდებულო კორპორაციული წესები 47-ე მუხლის მიხედვით;
4. ამ მუხლის მიხედვით საზედამხედველო ორგანოზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელება უნდა მოხდეს უსაფრთხოების სათანადო გარანტიებით, მათ შორის ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს მიერ ამ წესდების შესაბამისად სასამართლოსადმი ეფექტური მიმართვის უფლების და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის გზით.
5. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ კანონით უნდა დაადგინოს საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილება, ამ რეგულაციის დარღვევის ფაქტები წარადგინოს სასამართლოში და საჭიროებისამებრ აღძრას ან სხვა ფორმით ჩაერთოს სამართალწარმოების პროცესში რეგულაციის დებულებების აღსრულების მიზნით.
6. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ კანონით უნდა დაადგინოს მისი საზედამხედველო ორგანოს დამატებითი უფლებამოსილება, გარდა იმისა რაც მითითებულია პუნქტებში 1, 2 და 3. ამ უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა არღვევდეს VII თავის ეფექტურ მოქმედებას.

მუხლი 59
საქმიანობის შესახებ ანგარიში

თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მოამზადოს ყოველწლიური ანგარიში მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომელიც შესაძლოა ასახავდეს იმ დარღვევების ჩამონათვალს, რომლის შესახებაც მიიღო შეტყობინება და 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გატარებულ ზომებს. ეს ანგარიშები გადაეცემა ეროვნულ პარლამენტს, მთავრობას და წევრი სახელმწიფოების კანონით დადგენილ სხვა უწყებებს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, კომისიისთვის და საბჭოსთვის.

თავი VII

თანამშრომლობა და თანამიმდევრულობა

ნაწილი 1
თანამშრომლობა

მუხლი 60
თანამშრომლობა წამყვან და სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს შორის

1. ამ მუხლის მიხედვით წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ უნდა ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებთან კონსენსუსის მისაღწევად. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ და დაინტერესებულმა საზედამხედველო ორგანოებმა უნდა გაცვალონ ყველა საჭირო ინფორმაცია.
2. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ ნებისმიერ დროს შეიძლება სთხოვოს სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოების ორმხრივი ურთიერთდახმარება 61-ე მუხლის თანახმად და შეიძლება განახორციელოს ერთობლივი მოქმედებები 62-ე მუხლის მიხედვით, კერძოდ, სხვა წევრ სახელმწიფოში მოქმედი მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ ზომების გატარების, შესწავლის ან ზედამხედველობის მიზნით.
3. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მიმდინარე საკითხთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია. მან დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს გადაწყვეტილების პროექტი სხვა დაინტერსებულ საზედამხედველო უწყებებს მოსაზრებებისათვის და მხედველობაში მიიღოს შესაბამისად.
4. თუ რომელიმე დაინტერესებული საზედამხედველო ორგანო ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის მიღებიდან ოთხი კვირის ვადაში გამოხატავს სათანადო და დასაბუთებულ უარს გადაწყვეტილების პროექტზე, წამყვანი საზედამხედველო ორგანო, თუ ის არ ეთანხმება სათანადო და დასაბუთებულ უარს ან მიიჩნევს რომ მოსაზრება არ არის სათანადო და დასაბუთებული, წარადგენს საკითხს 63-ე მუხლით დადგენილ თანამიმდევრულობის მექანიზმზე.
5. თუ წამყვანი საზედამხედველო ორგანო იზიარებს სათანადო და დასაბუთებულ უარს, მაშინ ის სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოს წარუდგენს გადაწყვეტილების განახლებულ პროექტს მათი მოსაზრების მისაღებად. გადაწყვეტილების განახლებული პროექტი განიხილება მე-4 პუნქტით დადგენილი პროცედურებით ორი კვირის ვადაში.
6. თუ არცერთი დაინტერესებული საზედამხედველო ორგანი არ ეწინააღმდეგება წამყვანი საზედამხედველო ორგანოს მიერ მე-4 და მე-5 პუნქტებში დადგენილ ვადაში წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტს, მიიჩნევა, რომ თანხმობა მიღწეულია წამყვან საზედამხედველო ორგანოს და დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს შორის გადაწყვეტილების პროექტზე, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა.
7. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს მონაცემთა დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს მათ ძირითად ან ერთადერთ ადგილსამყოფელზე შესაბამისად, და

სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს და საბჭოს შეატყობინოს გადაწყვეტილების შესახებ, მათ შორის დასკვნისა და სათანადო ფაქტების და საფუძვლების შესახებ. საზედამხედველო ორგანო, სადაც საჩივარი იყო წარდგენილი აცნობებს განმცხადებელს გადაწყვეტილების თაობაზე.

8. მე-7 პუნქტით დადგენილი წესიდან გამონაკლისის სახით, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება ან უარყოფილია, საზედამხედველო ორგანო, სადაც საჩივარი იყო წარდგენილი იღებს გადაწყვეტილებას და ატყობინებს ამის შესახებ მომჩივანს და დამმუშავებელს.

9. თუ წამყვანი და სხვა დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოები თანხმდებიან საჩივრის ნაწილობრივ დაუკმაყოფილებლობის ან მისი უარყოფის თაობაზე და თანხმდებიან რომ ერთობლივად მოახდინონ რეაგირება საჩივრის დანარჩენ ნაწილზე, ცალ-ცალკე გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული თითოეულ ამ ნაწილთან მიმართებაში. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება დამმუშავებლის მოქმედებებს და ამის შესახებ უნდა შეატყობინოს თავის ტერიტორიაზე არსებულ ძირითად ან ერთადერთ ადგილსამყოფელზე, როგორც მონაცემთა დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირს, ასევე მონაცემთა სუბიექტს, მაშინ, როდესაც, განმცხადებლის საზედამხედველო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაუკმაყოფილებლობისა და უარყოფის შესახებ და ამის შესახებ აცნობებს, როგორც მონაცემთა სუბიექტს, ისე მონაცემთა დამმუშავებელს და უფლებამოსილ პირს.

10. მე-7 და მე-9 პუნქტების შესაბამისად, წამყვანი საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი იღებს სათანადო ზომებს დამუშავებასთან დაკავშირებული აქტივობების გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ევროკავშირში ყველა დაწესებულებისთვის. მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის კუთხით მიღებული ზომების შესახებ უნდა აცნობოს წამყვან საზედამხედველო ორგანოს, რომელიც თავის მხრივ ატყობინებს სხვა დაინტერსებულ საზედამხედველო უწყებებს.

11. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც დაინტერსებულ საზედამხედველო ორგანოს აქვს საფუძველი დაუყოვნებლივ იმოქმედოს მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დასაცავად, გამოიყენება 66-ე მუხლით დადგენილი გადაუდებელი პროცედურები.

12. წამყვანი საზედამხედველო ორგანო და სხვა დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოები ერთმანეთს ელექტრონულად, სტანდარტიზებული ფორმატით უცვლიან ამ მუხლით დადგენილ ინფორმაციას.

მუხლი 61
ურთიერთდახმარება

1. საზედამხედველო ორგანოებმა ერთმანეთს უნდა მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და გაუწიონ დახმარება ამ რეგულაციის თანამიმდევრული აღსრულების და დანერგვის მიზნით და შესაბამისად შეიმუშაონ ერთმანეთთან ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმები. ურთიერთდახმარება ეხება ინფორმაციის მოთხოვნას და საზედამხედველო ღონისძიებებს, როგორიცაა ავტორიზაციის და კონსულტაციის, ინსპექტირების და

გამოძიების ჩატარების მოთხოვნა.

2. თითოეულმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რაც საჭიროა სხვა საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნაზე დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის, თუმცა მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. აღნიშნული ზომები მოიცავს სათანადო ინფორმაციის გადაცემას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

3. დახმარების შესახებ მოთხოვნა უნდა მოიცავდეს ყველა სათანადო ინფორმაციას, მათ შორის, მოთხოვნის მიზანს და მიზეზს. გაცვლილი ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც ის იყო მოთხოვნილი.

4. მოთხოვნის მიმღები საზედამხედველო ორგანო არ არის უფლებამოსილი უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) არ არის კომპეტენტური მოთხოვნის საკითხთან ან იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლის აღსრულებასაც მას სთხოვენ; ან

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს რეგულაციის ან ევროკავშირის ან ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის დარღვევას, რომლიც ვრცელდება მოთხოვნის მიმღებ საზედამხედველო ორგანოზე.

5. მოთხოვნის მიმღებმა საზედამხედველო ორგანომ უნდა შეატყობინოს მომთხოვნ საზედამხედველო ორგანოს შედეგების, საქმის განხილვის მიმდინარეობის და მოთხოვნაზე რეაგირებისთვის გატარებული ზომების თაობაზე. მოთხოვნის მიმღებმა საზედამხედველო ორგანომ უნდა დაასაბუთოს ნებისმიერი უარი მე-4 პუნქტის შესაბამისად.

6. მოთხოვნის მიმღები საზედამხედველო ორგანოები, როგორც წესი სხვა საზედამხედველო ორგანოების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას ცვლიან ელექტრონული საშუალებებით, სტანდარტიზებული ფორმატით.

7. მოთხოვნის მიმღებმა საზედამხედველო ორგანოებმა არ უნდა დააწესონ გადასახადი ურთიერთდახმარების მოთხოვნის ფარგლებში მათ მიერ განხორციელებული მოქმედებებისთვის. საზედამხედველო ორგანოები, შესაძლებელია, შეთანხმდნენ გამონაკლის შემთხვევებში, ურთიერთდახმარების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

8. თუ საზედამხედველო ორგანო ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ ინფორმაციას არ აწვდის სხვა საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, მაშინ მომთხოვნი საზედამხედველო ორგანო იღებს დროებით ზომას წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე 55-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში 66-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს მიჩნეული იქნება გადაუდებელ მოქმედებად და 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საჭირო იქნება გადაუდებელი საბჭოს მიერ გადაუდებელი მავალდებულებელი გადაწყვეტილების მიღება.

9. კომისიამ საიმპლემენტაციო აქტებით შესაძლოა განმარტოს ამ მუხლით დადგენილი ურთიერთდახმარების ფორმატი და პროცედურები და საზედამხედველო ორგანოებს, საზედამხედველო ორგანოებს და საბჭოს შორის ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის პირობები, კერძოდ, ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი სტანდარტიზებულ ფორმატი. ეს საიმპლემენტაციო აქტები მიღებული უნდა იყოს 93-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემოწმების პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 62

საზედამხედველო ორგანოების ერთობლივი საქმიანობა

1. საჭიროების შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანოები უნდა ახორციელებდნენ ერთობლივ საქმიანობას, მათ შორის ერთობლივ გამოძიებას და აღსრულების ერთობლივ ზომებს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ წევრი სახელმწიფოების საზედამხედველო ორგანოების წევრები და თანამშრომლები.
2. თუ მონაცემთა დამმუშავებელს ან უფლებამოსილ პირს აქვს ადგილსამყოფელი რამდენიმე წევრ სახელმწიფოში ან თუ დამუშავება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მონაცემთა სუბიექტების დიდ რაოდენობაზე ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში, თითოეული ამ წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ მოქმედებებში. საზედამხედველო ორგანომ, რომელიც 56-ე მუხლის პირველი ან მე-4 პუნქტის შესაბამისად არის უფლებამოსილი, უნდა მოიწვიოს თითოეული ამ წევრი სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანო ერთობლივ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად და დაუყოვნებლივ უნდა გასცეს პასუხი საზედამხედველო ორგანოს მონაწილეობის მოთხოვნას.
3. საზედამხედველო ორგანოს შეუძლია, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის და დამხმარე საზედამხედველო ორგანოს ნებართვით, ერთობლივ საქმიანობაში მონაწილე დამხარე საზედამხედველო ორგანოს წევრებს ან თანამშრომლებს მიანიჭოს უფლებამოსილება, მათ შორის საგამოძიებო უფლებამოსილება, იმ შემთხვევაში თუ იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, სადაც იმყოფება მიმღები საზედამხედველო ორგანო, აძლევს უფლებას დამხმარე საზედამხედველო ორგანოს წევრებს ან თანამშრომლებს ისარგებლონ საგამოძიებო უფლებამოსილებით იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც მდებარეობს დამხარე საზედამხედველო ორგანო. აღნიშნული საგამოძიებო უფლებამოსილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მიმღები საზედამხედველო ორგანოს წევრების და თანამშრომლების თანდასწრებით და მათი მეთვალყურეობის ქვეშ. დამხმარე საზედამხედველო ორგანოს წევრებსა ან თანამშრომლებზე ვრცელდება წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა, სადაც მიმღები საზედამხედველო უწყებაა.
4. თუ პირველი პუნქტის შესაბამისად დამხმარე საზედამხედველო ორგანოს თანამშრომლები სხვა წევრ სახელმწიფოში მუშაობენ, მიმღები საზედამხედველო ორგანოს წევრი სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას მათ საქმიანობაზე, მათ შორის პასუხისმგებლობას მათ მიერ საქმიანობის პროცესში შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, სადაც აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება.
5. წევრმა სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას მის ტერიტორიაზე მიყენებული ზიანი იმავე პირობების თანახმად, რაც გამოყენებული იქნებოდა მისი თანამშრომლების მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევაში. დამხმარე საზედამხედველო ორგანოს წევრი სახელმწიფო, რომლის თანამშრომლებმაც ზიანი მიაყენეს ნებისმიერ პირს სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სრულად უნაზღაურებს ამ პირებზე გაცემულ ნებისმიერ თანხას.
6. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ, მესამე მხარესთან მიმართებაში თავისი უფლებების გათვალისწინებით და მე-5 პუნქტთან დაკავშირებით გამონაკლისის

დაშვებით, თავი უნდა შეიკავოს პირველი პუნქტით დადგენილ შემთხვევაში ანაზღაურების მოთხოვნისგან სხვა წევრი სახელმწიფოსგან იმ ზიანთან დაკავშირებით, რაც მე-4 პუნქტით არის დადგენილი.

7. როდესაც ერთობლივი საქმიანობა არის დაგეგმილი და საზედამხედველო ორგანო ერთი თვის ვადაში ვერ ასრულებს ამ მუხლის მეორე პუნქტის მეორე წინადადებით დადგენილ ვალდებულებას, სხვა საზედამხედველო ორგანოებმა შესაძლებელია გაატარონ დროებითი ზომა საკუთარი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე 55-ე მუხლის თანახმად. ამ შემთხვევაში 66-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გადაუდებელი პროცედურების საჭიროება მიიჩნევა შესრულებულად და მოითხოვება მოსაზრება ან გადაუდებელი სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილების მიღება საბჭოსგან 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ნაწილი 2
თანამიმდევრულობა
მუხლი 63
თანამიმდევრულობის მექანიზმი

ევროკავშირის ფარგლებში ამ რეგულაციის თანამიმდევრული დანერგვის მიზნით საზედამხედველო ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და კომისიასთან თანამიმდევრულობის მექანიზმის საშუალებით, იმგვარად, როგორც ეს ამ ნაწილშია დადგენილი.

მუხლი 64
საბჭოს მოსაზრება

1. საბჭომ უნდა გამოაქვეყნოს მოსაზრება, თუ კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო გეგმავს შემდეგი ზომების გატარებას. ამ მიზნით, კომპეტენტურმა საზედამხედველო ორგანომ უნდა მიაწოდოს საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი, თუ ის:

ა) მიზნად ისახავს დაამტკიცოს მონაცემთა დამუშავების სია, რომელიც ექვემდებარება რისკების შეფასებას 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

ბ) განიხილავს საკითხს მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, არის თუ არა ქცევის კოდექსის პროექტი, ქცევის კოდექსის ცვლილება ან დამატება შესაბამისობაში რეგულაციასთან;

გ) მიზნად ისახავს 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ორგანიზაციის ან 43-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მასერტიფიცირებელი ორგანოს აკრედიტაციის კრიტერიუმების დამტკიცებას;

დ) მიზნად ისახავს 46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტითა და 28-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი მონაცემთა დაცვის სტანდარტული პირობების განსაზღვრას;

ე) მიზნად ისახავს 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტული ხელშეკრულების პირობების ავტორიზაციას; ან

ვ) მიზნად ისახავს 47-ე მუხლით დადგენილი სავალდებულო კორპორაციული წესების დამტკიცებას;

2. ნებისმიერს საზედამხედველო ორგანოს, საბჭოს თავმჯდომარეს ან კომისიას შეუძლია საბჭოს სთხოვოს იმ საკითხების შესწავლა, რომლებიც შეეხება რეგულაციის ზოგად გავრცელებას ან აღნიშნული ზეგავლენას ახდენს ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოზე, იმ მიზნით, რომ საბჭომ მოამზადოს მოსაზრება, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო არ ასრულებს 61-ე მუხლით განსაზღვრულ ურთიერთდახმარების ან 62-ე მუხლით განსაზღვრულ ერთობლივი მოქმედებებით დადგენილ ვალდებულებებს.

3. პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილ შემთხვევებში საბჭომ უნდა მოამზადოს მოსაზრება, თუ მას იგივე საკითხზე არ აქვს მომზადებული მოსაზრება. მოსაზრება მიღებული უნდა იქნას 8 კვირის განმავლობაში უბრალო უმრავლესობით. საკითხის სირთულიდან გამომდინარე, აღნიშნული პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს 6 კვირით. რაც შეეხება პირველ პუნქტში მითითებულ გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც დაურიგდებათ საბჭოს წევრებს მე-5 პუნქტის შესაბამისად, თუ საბჭოს წევრი თავმჯდომარის მიერ მითითებულ ვადაში არ გამოთქვამს საწინააღმდეგო მოსაზრებას, მიიჩნევა, რომ ის აცხადებს თანხმობას გადაწყვეტილების პროექტზე.

4. საზედამხედველო უწყებებმა და კომისიამ დაუყოვნებლივ, ელექტრონული საშუალებებითა და სტანდარტიზებული ფორმატით საბჭოს უნდა მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია, მათ შრის, ფაქტების მიმოხილვა, გადაწყვეტილების პროექტი, საფუძვლები, რაც ამგვარი ზომის გატარების საჭიროებას წარმოშობს ამგვარი ზომების გატარების აუცილებლობას და სხვა დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოების მოსაზრებას.

5. საბჭოს თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ, ელექტრონული საშუალებებით:

ა) საბჭოსა და კომისიის წევრებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მას მიეწოდა სტანდარტიზებული ფორმატით. საბჭოს სამდივნო საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის თარგმნას; და

ბ) საჭიროებისამებრ, უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პირველ და მეორე პუნქტში დადგენილ საზედამხედველო ორგანოს და კომისიას გადაწყვეტილების თაობაზე და საჯაროდ გამოაქვეყნოს ის.

6. კომპეტენტურმა საზედამხედველო ორგანომ არ უნდა მიიღოს პირველი პუნქტით დადგენილი გადაწყვეტილების პროექტი მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში.

7. პირველი პუნქტით განსაზღვრულმა საზედამხედველო ორგანომ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს საბჭოს გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების მიღებიდან ორი კვირის ვადაში საბჭოს თავმჯდომარეს ელექტრონული საშუალებით აცნობოს, უცვლელად ტოვებს თუ ცვლის გადაწყვეტილებას და სტანდარტიზებული ფორმატით წარუდგინოს შესწორებული გადაწყვეტილების პროექტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. თუ დაინტერესებული საზედამხედველო ორგანო ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ ვადაში საბჭოს თავმჯდომარეს აცნობებს, რომ სრულად ან ნაწილობრივ არ ითვალისწინებს საბჭოს მოსაზრებას და წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების შესაბამის საფუძველს, ამ შემთხვევაში იმოქმედებს 65-ე მუხლის პირველი პუნქტი.

მუხლი 65
საბჭოს მიერ დავების გადაწყვეტა

1. ამ რეგულაციის ზუსტი და თანამიმდევრული დანერგვის უზრუნველსაყოფად კონკრეტულ შემთხვევებში საბჭომ უნდა მიიღოს სავალდებულოდ შესასრულებლად გადაწყვეტილება თუ:

ა) მე-60 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დაინტერესებულმა საზედამხედველო ორგანომ გამოთქვა მართებული და დასაბუთებული საწინააღმდეგო პროცედურა/უარი წამყვანი საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილების პროექტზე ან თუ წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ უარყო აღნიშნული საწინააღმდეგო პოზიციის დაკმაყოფილება იმ საფუძვლით, რომ ის არ იყო მართებული და დასაბუთებული. სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილება უნდა ვრცელდებოდეს ყველა იმ საკითხზე, რომელიც წარმოადგენს სათანადო და დასაბუთებული უარის საგანს, კერძოდ, იკვეთება თუ არა ამ რეგულაციის დარღვევა;

ბ) არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები იმის შესახებ, დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოებიდან რომელი არის კომპეტენტური (for the main establishment);

გ) თუ კომპეტენტური საზედამხედველო უწყება არ ითხოვს საბჭოს მოსაზრებას 64-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ შემთხვევებში ან არ იზიარებს 64-ე მუხლის შესაბამისად საბჭოს მიერ მომზადებულ მოსაზრებას. ამ შემთხვევაში დაინტერესებული საზედამხედველო ორგანო ან კომისია საკითხის შესახებ აცნობებს საბჭოს.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული ერთი თვის ვადაში საკითხის მიღებიდან საბჭოს წევრთა ხმათა ორი მესამედით. საკითხის სირთულიდან გამომდინარე ეს ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ერთი თვით. პირველი პუნქტით დადგენილი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიემართებოდეს, იყოს შესასრულებლად სავალდებულო წამყვანი და ყველა დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოსათვის.

3. თუ საბჭო მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში ვერ იღებს გადაწყვეტილებას, მან გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მე-2 პუნქტით დადგენილი მეორე თვის ვადის ამოწურვის შემდეგ ორი კვირის ვადაში საბჭოს წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. როდესაც საბჭოს წევრების ხმები იყოფა გადამწყვეტი ხმა ენიჭება თავმჯდომარეს.

4. დაინტერესებულმა საზედამხედველო ორგანოებმა არ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საბჭოში წარდგენილ საკითხზე პირველი პუნქტის მიხედვით იმ. მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში.

5. საბჭოს თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს. საბჭომ გადაწყვეტილების შესახებ უნდა აცნობოს კომისიასაც. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს საბჭოს ვებ-გვერდზე, მას შემდეგ რაც საზედამხედველო ორგანომ განახორციელა მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბოლოო გადაწყვეტილების შეტყობინება.

6. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ, ან საჭიროებისამებრ, იმ საზედამხედველო ორგანომ, რომელმაც მიიღო საჩივარი, დაუყოვნებლივ და საბჭოს მიერ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების

საფუძველზე. წამყვანმა საზედამხედველო ორგანომ, ან საჭიროებისამებრ, იმ საზედამხედველო ორგანომ, რომელმაც მიიღო საჩივარი, საბჭოს უნდა შეატყობინოს თარიღი, როდესაც მისი საბოლოო გადაწყვეტილება ეცნობება მონაცემთა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირსა და მონაცემთა სუბიექტს. დაინტერესებული საზედამხედველო ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მე-60-ე მუხლი მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად. საბოლოო გადაწყვეტილება გულისხმობს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გადაწყვეტილებას და უნდა მიუთითებდეს, რომ ამავე პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილება გამოქვეყნდება საბჭოს ვებ-გვერდზე ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. საბოლოო გადაწყვეტილებას თან უნდა ერთოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გადაწყვეტილება.

მუხლი 66
გადაუდებელი პროცედურები

1. გამონაკლის შემთხვევებში, თუ დაინტერესებული საზედამხედველო ორგანო მიიჩნევს, რომ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების დაცვის გადაუდებელი აუცილებლობა, მას შეუძლია 63-ე, 64-ე და 65-ე მუხლებით დადგენილი თანამიმდევრულობის მექანიზმიდან გამონაკლისის სახით, დაუყოვნებლივ გაატაროს მის ტერიტორიაზე სამართლებრივი შედეგების მქონე დროებითი ღონისძიებები განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს. საზედამხედველო ორგანომ ამ ზომების და მათი მიღების დასაბუთების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს, საბჭოს და კომისიას.
2. თუ საზედამხედველო ორგანო პირველი პუნქტის შესაბამისად გაატარებს ღონისძიებებს და მიიჩნევს, დგას საბოლოო ზომების დაუყოვნებლივ მიღების აუცილებლობა, მას შეუძლია საბჭოს თხოვოს გადაუდებელი მოსაზრების ან გადაუდებელი სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილების მიღება და დაასაბუთოს, თუ რატომ ითხოვს ამ მოსაზრებას ან გადაწყვეტილებას.
3. ნებისმიერ საზედამხედველო ორგანოს შეუძლია საბჭოს თხოვოს გადაუდებელი მოსაზრების ან გადაუდებელი სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილების მიღება, თუ კომპეტენტური საზედამხედველო ორგანო არ გაატარებს სათანადო ზომებს, იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების გადაუდებელი საჭიროება მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად. საჭიროა ამ მოსაზრების ან გადაწყვეტილების მოთხოვნის, გადაუდებელი მოქმედების საჭიროების და ამგვარი მოსაზრებისა და გადაწყვეტილების მოთხოვნის საფუძვლების დასაბუთების გზით.
4. 64-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 65-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დებულებებიდან გამონაკლისის სახით, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით მიღებული გადაუდებელი მოსაზრება ან სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილება ორი კვირის ვადაში უნდა იყოს მიღებული საბჭოს წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 67
ინფორმაციის გაცვლა

კომისიამ შესაძლოა მიიღოს ზოგადი ხასიათის საიმპლემენტაციო აქტები საზედამხედველო ორგანოებს, საზედამხედველო ორგანოებს და საბჭოს შორის ელექტრონული საშუალებებით, კერძოდ 64-ე მუხლით განსაზღვრული სტანდარტიზებული ფორმატით ინფორმაციის გაცვლის შესახებ.
ეს საიმპლემენტაციო აქტები მიღებული უნდა იყოს 93-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული განხილვის პროცედურების შესაბამისად.

ნაწილი 3
ევროკავშირის მონაცემთა დაცვის საბჭო
მუხლი 68
ევროკავშირის მონაცემთა დაცვის საბჭო

1. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის საბჭო („საბჭო) იქმნება როგორც ევროკავშირის ორგანო და წარმოადგენს სამართლის სუბიექტს.
2. საბჭოს წარმოადგენს მისი თავმჯდომარე.
3. საბჭო უნდა შედგებოდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს ერთი საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელისგან და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ან მათი სათანადო წარმომადგენლებისგან.
4. თუ წევრ სახელმწიფოში ერთზე მეტი საზედამხედველო ორგანო არის პასუხისმგებელი ამ რეგულაციით დადგენილი დებულებების შესრულებაზე, მაშინ ამ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაინიშნოს ერთობლივი წარმომადგენელი.
5. კომისიას უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საბჭოს შეხვედრებში და საქმიანობაში ხმის უფლების გარეშე. კომისიამ უნდა დანიშნოს წარმომადგენელი. საბჭოს თავმჯდომარემ კომისიას უნდა აცნობოს საბჭოს საქმიანობის შესახებ.
6. 65-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველს უნდა ჰქონდეს ხმის მიცემის უფლება მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება პრინციპებსა და წესებს, რომლებიც ეხება ევროკავშირის ინსტიტუტებზე, სამსახურებსა და ორგანოებზე და რომლებიც შეესატყვისება ამ რეგულაციას.

მუხლი 69
დამოუკიდებლობა

1. საბჭო უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებელად საქმიანობის შესრულებისა და უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში 70-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად.
2. კომისიის მოთხოვნების გათვალისწინებით, როგორც ეს განსაზღვრულია 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტით და 70-ე მუხლის, მეორე პუნქტით, საბჭო მასზე დაკისრებული ფუნქციების და ვალდებულებების შესრულებისას არ იღებს და არ მოითხოვს მითითებებს.

მუხლი 70
საბჭოს ფუნქციები

1. საბჭომ უნდა უზრუნველყოს ამ რეგულაციის თანამიმდევრულ დანერგვა. ამ მიზნით, საბჭო საკუთარი ინიციატივით ან საჭიროებისამებრ, კომისიის მოთხოვნის საფუძველზე:

ა) მეთვალყურეობს და უზრუნველყოფს რეგულაციის ზუსტ გავრცელებას 64-ე და 65-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეროვნული საზედამხედველო ორგანოების ფუნქციების გათვალისწინებით;

ბ) კონსულტაციას უწევს კომისიას ევროკავშირში პერსონალური მონაცემების დაცვის ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის ამ რეგულაციაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

გ) კონსულტაციას უწევს კომისიას მონაცემთა დამმუშავებლებს, უფლებამოსილ პირებსა და საზედამხედველო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ფორმატისა და პროცედურების შესახებ სავალდებულო კორპორაციული წესებისათვის;

დ) შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო პრაქტიკას იმ პროცედურების შესახებ, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ბმულის, ან მათი ასლის ან დუბლიკატის წაშლას საჯაროდ ხელმისაწვდომი კომუნიკაციის სერვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით;

ე) საკუთარი ინიციატივით, მისი ერთ-ერთი წევრის ან კომისიის მოთხოვნით განიხილავს ნებისმიერ საკითხს, რომელიც ეხება ამ რეგულაციის გავრცელებას და შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებსა და საუკეთესო პრაქტიკას ამ რეგულაციის თანამიმდევრული დანერგვისათვის;

ვ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო გამოცდილებას იმ კრიტერიუმების და პირობების დადგენისათვის, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროფილირების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები;

ზ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო გამოცდილებას 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის და დაყოვნების განსაზღვრის მიზნით და იმ პირობების განსაზღვრის მიზნით, რომელთა შესაბამისად, დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის თაობაზე;

თ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო გამოცდილებას იმ გარემოებებზე, როდესაც 34- ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევამ შეიძლება გამოიწვევს ფიზიკურ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი რისკი.

ი) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო გამოცდილებას პერსონალურ მონაცემთა გადაცემის კრიტერიუმებისა და მოთხოვნების შესახებ დამმუშავებლების და უფლებამოსილი პირების სავალდებულო კორპორაციული წესების შესაბამისად და 47-ე მუხლით დადგენილი მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დაცვისთვის საჭირო

დამატებითი მოთხოვნების შესახებ;
კ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო გამოცდილებას 49-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე პერსონალური მონაცემების გადაცემის კრიტერიუმების და მოთხოვნების დამატებითი დაკონკრეტებისთვის;
ლ) შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს საზედამხედველო ორგანოებისთვის 58-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ზომების გამოყენების და 83-ე მუხლით განსაზღვრული ადმინისტრაციული ჯარიმების განსაზღვრისთვის;
მ) მიმოიხილავს „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების, რეკომენდაციების და საუკეთესო გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვას;
ნ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რეკომენდაციებს და საუკეთესო გამოცდილებას ფიზიკური პირების მიერ ამ რეგულაციის დარღვევის შესახებ შეტყობინებაზე 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;
ო) ხელს უწყობს ქცევის კოდექსების შემუშავებას და მონაცემთა დაცვის სერტიფიცირების მექანიზმის, მონაცემთა დაცვის ბეჭდის და ნიშნების შექმნას მე-40 და 42-ე მუხლების შესაბამისად.
პ) 43-ე მუხლის შესაბამისად ახორციელებს მასერტიფიცირებელი ორგანოს აკრედიტაციას და მის პერიოდულ გადასინჯვას, აწარმოებს 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად აკრედიტებული უწყებების და 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მესამე ქვეყანაში აკრედიტებული მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირების საჯარო რეესტრს;
ჟ) აზუსტებს 43-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს 42-ე მუხლით განსაზღვრული მასერტიფიცირებელი ორგანოების აკრედიტაციის თვალსაზრისით;
რ) კომისიას აწვდის მოსაზრებას 43-ე მუხლის მე-8-ე პუნქტით განსაზღვრულ სერტიფიცირების მოთხოვნებთან დაკავშირებით;
ს) კომისიას აწვდის მოსაზრებას მე-12 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სიმბოლოების შესახებ;
ტ)კომისიას აწვდის მოსაზრებას მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის დონის შესაბამისობის შესახებ, მათ შორის იმის შეფასებისთვის, მესამე ქვეყანა, ტერიტორია ან მესამე ქვეყანა ერთ ან მეტ კონკრეტულ სექტორში ან საერთაშორისო ორგანიზაცია ვეღარ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის ადეკვატურ დონეს. ამ მიზნით, კომისიამ საბჭოს უნდა მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის კორესპონდენცია მესამე ქვეყნის მთავრობასთან, ამ მესამე ქვეყანასთან, მის კონკრეტულ ტერიტორიასთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებით;
უ) შეიმუშავებს მოსაზრებას საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილების პროექტზე 64-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი თანამიმდევრულობის მექანიზმის შესაბამისად იმ საკითხებზე, რომლებიც წარდგენილია 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და იღებს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს 65-ე მუხლის შესაბამისად, მათ შორის 66-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებში;
ფ) ხელ უწყობს თანამშრომლობას და ინფორმაციის და საუკეთესო გამოცდილების ეფექტიან გაცვლას საზედამხედველო ორგანოებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე;

ქ) ხელს უწყობს საერთო სასწავლო პროგრამებს და პერსონალის გაცვლით პროგრამებს საზედამხედველო ორგანოებს შორის და საჭიროებისამებრ, მესამე ქვეყნების საზედამხედველო ორგანოებსა ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
ღ) ხელს უწყობს ცოდნისა და მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის და პრაქტიკის გაცვლას მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის მთელი მსოფლიოს მასშტაბით;
ყ) შეიმუშავებს მოსაზრებას მე-40 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად; ევროკავშირის დონეზე მიღებული ქცევის კოდექსების შესახებ; და
შ) აწარმოებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ რეესტრს თანამიმდევრულობის მექანიზმით დარეგულირებულ საკითხებზე საზედამხედველო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ.

2. თუ კომისია საბჭოსგან ითხოვს მოსაზრებას, მან შესაძლოა მიუთითოს ვადა საკითხის გადაუდებელი ხასიათიდან გამომდინარე;

3. საბჭომ თავისი მოსაზრებები, სახელმძღვანელო პრინციპები, რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკა უნდა გაუზიაროს კომისიას და 93-ე მუხლით განსაზღვრულ კომიტეტს და უნდა გაასაჯაროოს ისინი .

4. საბჭომ კონსულტაცია უნდა გაუწიოს დაინტერესებულ მხარეებს და მისცეს მათ საშუალება გონივრულ ვადაში მოამზადონ კომენტარები. საბჭომ 76-ე მუხლის გათვალისწინებით, საკონსულტაციო პროცედურების შედეგები უნდა გახადოს საჯარო.

მუხლი 71
ანგარიშები

1. საბჭომ უნდა მოამზადოს წლიურ ანგარიში ევროკავშირში და საჭიროებისამებრ, მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ფარგლებში ფიზიკური პირების დაცვის შესახებ. ანგარიში უნდა იყოს საჯარო და გაეგზავნოს ევრო პარლამენტს, საბჭოს და კომისიას.
2. წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვის და საუკეთესო გამოცდილების მიმოხილვას, რაც დადგენილია 70-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით“ და ასევე 65-ე მუხლით განსაზღვრული სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილებების მიმოხილვას.

მუხლი 72
პროცედურა

1. საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა ამ რეგულაციით დადგენილი სხვა შემთხვევებისა.
2. საბჭომ უნდა დამტკიცოს რეგლამენტი წევრთა ხმათა ორი მესამედით და ორგანიზება გაუწიოს საკუთარ საქმიანობას.

მუხლი 73
თავმჯდომარე

1. საბჭო თავისი წევრებიდან, ხმათა უბრალო უმრავლესობით უნდა აირჩიოს თავმჯდომარე და მისი ორი მოადგილე;
2. თავმჯდომარე და მისი მოადგილეები აირჩევიან ხუთი წლის ვადით. მათი განმეორებით არჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 74
თავმჯდომარის ფუნქციები

1. თავმჯდომარის ფუნქციები მოიცავს შემდეგს:
ა) მოიწვიოს საბჭოს შეხვედრები და მოამზადოს დღის წესრიგი;
ბ) საბჭოს მიერ 65-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს წამყვან და სხვა დაინტერესებულ საზედამხედველო ორგანოებს;
გ) უზრუნველყოს საბჭოს მიერ ფუნქციების დროულად შესრულება, კერძოდ, 63- მუხლით დადგენილი თანამიმდევრულობის მექანიზმთან დაკავშირებით;
2. საბჭომ რეგლამენტში უნდა გაწეროს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს შორის ფუნქციების განაწილება.

მუხლი 75
სამდივნო

1. საბჭოს უნდა ჰყავდეს სამდივნო, რომელიც ფორმირებული უნდა იყოს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის მიერ;
2. სამდივნომ საკუთარი ფუნქციები უნდა შეასრულოს საბჭოს თავმჯდომარის მითითებების საფუძველზე;
3. ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ ამ რეგულაციით საბჭოზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში, ექვემდებარებიან ანგარიშგების სხვა მიმართულებას ვიდრე ის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის ფუნქციების შესრულებაში.
4. საჭიროებისამებრ, საბჭომ და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა უნდა შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ ურთიერთგაგების მემორანდუმი ამ მუხლის დანერგვის მიზნით, მემორანდუმში განმარტებული უნდა იყოს მათი თანამშრომლობის პირობები, რომელიც ვრცელდება ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველის თანამშრომლებზე, რომლებიც მონაწილეობენ ამ რეგულაციით საბჭოზე დაკისრებული ამოცანების შესრულების პროცესში.
5. სამდივნომ საბჭო უნდა უზრუნველყოს ანალიტიკური, ადმინისტრაციული და

ტექნიკური მხარდაჭერით.

6. სამდივნო პასუხისმგებელია:

ა) საბჭოს ყოველდღიურ საქმიანობაზე;

ბ) საბჭოს, მისი თავმჯდომარის და კომისიის წევრებს შორის კომუნიკაციაზე;

გ) სხვა ინსტიტუტებსა და საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე;

დ) შიდა და გარე კომუნიკაციისთვის ელექტრონული საშუალებების გამოყენებაზე;

ე) შესაბამისი ინფორმაციის თარგმნაზე;

ვ) საბჭოს შეხვედრების მომზადებასა და შემდგომ აქტივობებზე;

ზ)საბჭოს მიერ მოსაზრებების, საზედამხედველო ორგანოებს შორის დავების შესახებ გადაწყვეტილებებისა და სხვა მიღებული დოკუმენტების მომზადებასა და გამოქვეყნებაზე.

მუხლი 76

კონფიდენციალურობა

1. თუ საბჭო მიიჩნევს საჭიროდ, საბჭოს განხილვები უნდა იყოს კონფიდენციალური, მის მიერ მიღებული რეგლამენტის შესაბამისად.

2. საბჭოს წევრებისთვის, ექსპერტების და მესამე მხარეების წარმომადგენლებისთვის გადაცემულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა რეგულირდება ევროპარლამენტის და საბჭოს მიერ მიღებული რეგულაციით (EC) No 1049/2001.

თავი VIII

უფლების აღდგენის/დაცვის საშუალებები, პასუხისმგებლობა და სანქციები

მუხლი 77

საზედამხედველო ორგანოში საჩივრის წარდგენის უფლება

1. თითოეული მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მეშვეობით უფლებების დაცვის გარდა, საჩივრით მიმართოს საზედამხედველო ორგანოს წევრ სახელმწიფოში საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო ადგილის ან სავარაუდო დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, თუ მონაცემთა სუბიექტი მიიჩნევს, რომ მისი მონაცემების დამუშავება ხორციელდება რეგულაციის დარღვევით.

2. საზედამხედველო ორგანო, რომელსაც წარედგინა საჩივარი, ვალდებულია, აცნობოს საჩივრის წარმდგენს მისი განცხადების განხილვის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის/აღდგენის შესახებ 78-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 78

საზედამხედველო ორგანოს წინააღმდეგ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

1. სხვა ადმინისტრაციული წესით ან სასამართლოს გზით უფლებების დაცვის გარდა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ საზედამხედველო ორგანოს მიერ მათ მიმართ გამოტანილი სავალდებულოდ შესასრულებელი გადაწყვეტილება

2. სხვა ადმინისტრაციული წესით ან სასამართლოს გზით უფლებების დაცვის გარდა, თითოეულ მონაცემთა სუბიექტს უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს სასამართლოს, თუ 55-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად კომპეტენტურმა საზედამხედველო ორგანომ არ განიხილა მისი განაცხადი 3 თვის განმავლობაში ან არ აცნობა მონაცემთა სუბიექტს საქმის მიმდინარეობის ან შედეგის შესახებ 77 -ე მუხლის მიხედვით.

3. საზედამხედველო ორგანოს წინააღმდეგ საქმის წარმოება ხორციელდება იმ წევრი სახელმწიფოს სასამართლოში, სადაც არის შექმნილი საზედამხედველო ორგანო.

4. იმ შემთხვევაში თუ წარმოება მიმდინარეობს საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოს მოსაზრებას ან გადაწყვეტილებას თანამიმდევრულობის მექანიზმით, საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ეს მოსაზრება ან გადაწყვეტილება გადაუგზავნოს სასამართლოს.

მუხლი 79

მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წინააღმდეგ სასამართლოსადმი ეფექტური მიმართვის უფლება

1. ნებისმიერი ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული წესით ან სასამართლოს გზით უფლებების დაცვის, მათ შორის 77-ე მუხლის მიხედვით საზედამხედველო ორგანოში საჩივრის წარდგენის გარდა, თითოეულ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს სასამართლოს გზით დაიცვას მისი უფლებები, თუ მიიჩნევს, რომ რეგულაციის წესების დარღვევის მონაცემთა დამუშავებისას დაირღვა ამავე რეგულაციით დადგენილი მისი უფლებები.

2. დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის წინააღმდეგ სამართალწარმოება ხორციელდება იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც არის დაფუძნებული/რეგისტრირებული მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი. ალტერნატიულ გზას წარმოადგენს სამართალწარმოების განხორციელება მონაცემთა სუბიექტის საცხოვრებელი ადგილის წევრ სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევებისა თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი წარმოადგენენ საჯარო უწყებას წევრ სახელმწიფოში და მოქმედებენ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 80

მონაცემთა სუბიექტის წარმომადგენლობა

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მისი მონაცემების დაცვის მიზნით, მისი სახელით საჩივრის წარდგენის, 77-ე, 78-ე და 79-ე მუხლებით დადგენილი უფლებების მისი სახელით დაცვის, 82-ე მუხლით დადგენილი კომპენსაციის მისი სახელით მიღების უფლებამოსილება მიანიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანოს, ორგანიზაციას ან ასოციაციას, რომელიც შექმნილია წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს საჯარო ინტერესის შესაბამისი კანონიერი მიზნები და მოქმედებს მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემების დაცვის მიმართულებით მათი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.

2. წევრმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ნებისმიერ ორგანოს, ორგანიზაციას ან ასოციაციას, მონაცემთა სუბიექტის მითითების მიუხედავად, აქვს უფლება შეიტანოს საჩივარი 77-ე მუხლით დადგენილი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ საზედამხედველო ორგანოში და გამოიყენოს 78-ე და 79-ე მუხლებით დადგენილი უფლებები თუ ის მიიჩნევს, რომ დამუშავების შედეგად დაირღვა მონაცემთა სუბიექტის ამ რეგულაციით დადგენილი უფლებები.

მუხლი 81
წარმოების შეჩერება

1. თუ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლო ფლობს ინფორმაციას საქმის წარმოების შესახებ იმავე საკითხთან დაკავშირებით, იმავე დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ განხორცილებული დამუშავების შესახებ, რომელიც განიხილება სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოში, იგი უნდა დაუკავშირდეს საქმის განმხილველ სასამართლოს სხვა წევრ სახელმწიფოში მსგავსი სამართალწარმოების დადასტურების მიზნით.
2. თუ იმავე საკითხზე იმავე დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ განხორცილებული დამუშავების შესახებ საქმის წარმოება მიმდინარეობს სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოში, ნებისმიერმა კომპეტენტურმა სასამართლომ, გარდა პირველი მიმართვის სასამართლოსი, შესაძლოა შეაჩეროს საქმის განხილვა.
3. თუ საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს, ერთ-ერთი მხარის მომართვის საფუძველზე ნებისმიერმა სასამართლომ, გარდა პირველი მიმართვის სასამართლოსი, შესაძლოა უარი თქვას საკუთარ იურისდიქციაში განხილვაზე იმ შემთხვევაში თუ პირველი მიმართვის სასამართლოს კომპეტენციაა იმოქმედოს და მისი კანონმდებლობა იძლევა კონსოლიდაციის საშუალებას.

მუხლი 82
კომპენსაციის/ანაზღაურების მიღების უფლება და პასუხისმგებლობა

1. ნებისმიერ პირს, რომელსაც რეგულაციის მოთხოვნების დარღვევის შედეგად მიადგა მატერიალური ან არამატერიალური ზიანი, აქვს უფლება მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირისგან მიიღოს კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის.
2. ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებელი პასუხისმგებელია მონაცემთა დამუშავებისას რეგულაციის მოთხოვნების დარღვევით გამოწვეულ ზიანზე. უფლებამოსილი პირი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მის მიერ რეგულაციით უფლებამოსილი პირისთვის გათვალისწინებული დებულებების დარღვევით ან თუ არ ასრულებს მონაცემთა დამმუშავებლის კანონიერ მითითებებს ან მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებს.
3. დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი მე-2 პუნქტით დადგენილი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან თუ გამოირიცხა მათი პასუხისმგებლობა ზიანის გამომწვევ ქმედებასთან მიმართებით.
4. თუ დამუშავებაში მონაწილეობს ერთზე მეტი მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი, ან ორივე ერთად ამუშავებს მონაცემებს და ისინი პასუხისმგებელნი არიან ზიანისთვის მე-2 და მე-3 პუნქტებით, პასუხისმგებლობა სრული მოცულობით ეკისრება თითოეულ მათგანს, რათა მონაცემთა სუბიექტისათვის მოხდეს ეფექტური კომპენსაციის მიცემა.
5. თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი მე-4 პუნქტის მიხედვით მოახდენს მიყენებული ზიანის სრულ კომპენსაციას, მას შეუძლია სხვა დამმუშავებლებსა და უფლებამოსილ პირებს მოსთხოვოს თანხის ანაზღაურება, რომელიც პროპორციულია მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციაში მათი წილისა მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.
6. კომპენსაციის მიღების უფლების დასადგენად სამართალწარმოება უნდა დაიწყოს 79-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილ კომპეტენტურ სასამრთლოში.

მუხლი 83
ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ზოგადი წესები

1. თითოეული საზედამხედველო ორგანო უზრუნველყოფს, რომ ამ მუხლის საფუძველზე რეგულაციის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი დარღვევისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე.
2. ადმინისტრაციული ჯარიმები თითოეული ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე უნდა დაეკისროს 58-ე მუხლის, მეორე პუნქტის „ა“-დან „თ“-მდე და „კ“ ქვეპუნქტებით დადგენილ ზომებთან ერთად ან მათ ნაცვლად. თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ან მისი ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:
ა) დარღვევის სახე, სიმძიმე და ხანგძლივობა, დამუშავების მიზნის და მოცულობის გათვალისწინებით, ისევე როგორც დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობა და მათ მიერ განცდილი ზიანი;
ბ) დარღვევის განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენის ფაქტორი;
გ) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის მიერ მიღებული ზომები მონაცემთა სუბიექტისათვის მიყენებული ზიანის შესამცირებლად;
დ) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის ფარგლები მათ მიერ 25-ე და 32-ე მუხლის შესაბამისად უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გათვალისწინებით;
ე) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის მიერ ჩადენილი მსგავსი დარღვევები;
ვ) დარღვეული უფლების აღდგენისა და დარღვევის შედეგად შესაძლო ზიანის შემცირების მიზნით საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი;
ზ) მონაცემთა კატეგორიები, რომლებსაც შეეხება დარღვევა;
თ) დარღვევის შესახებ საზედამხედველო ორგანოს ინფორმირების ფორმა, კერძოდ, მიაწოდა თუ არა საზედამხედველო ორგანოს ინფორმაცია თავად მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა და რა მოცულობით;
ი) იქნა თუ არა გამოყენებული მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიმართ მსგავს საკითხზე 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება, მასთან შესაბამისობა;
კ) მე-40 მუხლით გათვალისწინებული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების ან 42-ე მუხლით დადგენილი სერტიფიცირების მექანიზმების დაცვა; და
ლ) ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორი, თითოეული საქმის შესაბამისად, როგორიცაა დარღვევის შედეგად პირდაპირი ან არაპირდაპირ მიღებული ფინანსური მოგება ან ზიანი.
3. იმ შემთხვევაში თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი განზრახ ან გაუფრთხილებლობით მონაცემთა ერთჯერადი დამუშავებით ან მასთან დაკავშირებული დამუშავების შემთხვევაში დაარღვევს ამ რეგულაციის რამდენიმე დებულებას, ადმინისტრაციული ჯარიმის სრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მძიმე დარღვევისთვის გათვალისწინებულ ოდენობას.
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, რეგულაციის მე-8, მე-11, 25-39 (მონაცემთა დამმუშავებლის და უფლებამოსილი პირის ვალდებულებები), 41 მუხლის მე-

4 პუნქტის (საზედამხედველო ორგანოს ვალდებულებები), 42-ე, 43-ე მუხლების დარღვევისთვის (მონაცემთა დამმუშავებლის, უფლებამოსილი პირის და მასერტიფიცირებელი ორგანოს ვალდებულებები) ადმინისტრაციული ჯარიმა შეადგენს 10 000 000 ევრომდე, ან საწარმოს შემთხვევაში, გასული ფინანსური წლის მთლიანი წლიური ბრუნვის 2%-მდე (გამოიყენება ის სანქცია რომელიც უფრო მაღალია):

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ამ რეგულაციით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების ძირითადი პრინციპების, მათ შორის მე-5, მე-6, მე-7 და მე-9 მუხლით დადგენილი თანხმობის პირობების, მე-12 მუხლიდან 22-3 მუხლამდე დადგენილი მონაცემთა სუბიექტის უფლებების, 44-ე მუხლიდან 49-ე მუხლამდე მესამე ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების გადაცემის წესების, IX თავის შესაბამისად წევრი სახელმწიფოების კანონით დადგენილი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის, 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის ან მის მიერ მონაცემთა დამუშავების დროებითი ან სამუდამო აკრძალვის ან მონაცემთა მიმოცვლის შეჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობა ან 58-3 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით ხელმისაწვდომობის ვერ უზრუნველყოფისთვის ადმინისტრაციული ჯარიმა შეადგენს 20 000 000 ევრომდე, ან საწარმოს შემთხვევაში, გასული ფინანსური წლის მთლიანი წლიური ბრუნვის 4%-მდე (გამოიყენება ის სანქცია, რომელიც უფრო მაღალია):

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რეგულაციის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის/გადაწყვეტილების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ ჯარიმას 20 000 000 ევრომდე, ან საწარმოს შემთხვევაში, გასული ფინანსური წლის მთლიანი წლიური ბრუნვის 4%-მდე (გამოიყენება ის სანქცია რომელიც უფრო მაღალია).

7. 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საზედამხედველო ორგანოს გამასწორებელი უფლებამოსილების შეზღუდვის გარეშე, თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს წესები წევრ სახელმწიფოში საჯარო დაწესებულებებისა და უწყებებისთვის ჯარიმის დაკისრებასთან და ჯარიმის ოდენობასთან დაკავშირებით.

8. ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ მუხლით დადგენილი საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილება ექვემდებარება სათანადო საპროცესო გარანტიებს, მათ შორის სასამართლოსადმი ეფექტური მიმართვის უფლებას და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფას.

9. თუ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით არ არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ჯარიმები შესაძლებელია ამ მუხლის გამოყენება იმგვარად, რომ ჯარიმის დაკისრების თაობაზე შესაბამისი რეკომენდაცია/ინიციატივა წარადგინოს კომპეტენტურმა საზედამხედველო ორგანომ, ეროვნულმა სასამართლოებმა დააკისრონ აღნიშნული ჯარიმები და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ უფლების აღდგენის ამგვარი მექანიზმი იყოს ეფექტური და საზედამხედველო ორგანოს მიერ დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმების შესაბამისი/პროპორციული. ნებისმიერ შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმა უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე. წევრმა სახელმწიფოებმა ამ მუხლის შესაბამისად მიღებული კანონების შესახებ კომისიას უნდა შეატყობინონ 2018 წლის 25 მაისამდე, ხოლო ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო ცვლილების ან მათზე ზეგავლენის მქონე ცვლილების შესახებ უნდა შეატყობინონ დაუყოვნებლივ.

მუხლი 84
სანქციები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ რეგულაციის დარღვევისთვის სხვა სანქციების დაკისრების წესები, განსაკუთრებით იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომელიც არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ დაჯარიმებას 83-ე მუხლის შესაბამისად და უნდა გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება მათი შესასრულებლად. აღნიშნული სანქციები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე.
2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული კანონების შესახებ კომისიას უნდა შეატყობინონ 2018 წლის 25 მაისამდე, ხოლო ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო ცვლილების ან მათზე ზეგავლენის მქონე ცვლილების შესახებ უნდა შეატყობინონ დაუყოვნებლივ.

თავი IX
პირობები მონაცემთა დამუშავების სპეციფიური შემთხვევებისთვის
მუხლი 85
მონაცემთა დამუშავება და გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

1. წევრმა სახელმწიფოებმა კანონით უნდა უზრუნველყონ ამ რეგულაციით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შესაბამისობა გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან, მათ შორის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ჟურნალისტური საქმიანობის, ასევე აკადემიური, სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისთვის.
2. ჟურნალისტური საქმიანობის, ასევე აკადემიური, სახელოვნებო ან ლიტერატურული გამოხატვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა დაუშვან გამონაკლისები და დათქმები ამ რეგულაციის მე-2 თავთან (პრინციპები), მე-3 (მონაცემთა სუბიექტის უფლებები), მე-4 (მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი), მე-5 (მონაცემების მესამე სახელმწიფოსთვის და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემა), მე-6 (დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო), მე-7 (თანამშრომლობა და თანამიმდევრულობა) და მე-9 თავებთან (მონაცემთა დამუშავების სპეციფიური სიტუაციები) მიმართებაში, თუ ეს აუცილებელია პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების გამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
3. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ კომისიას უნდა შეატყობინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული კანონების შესახებ, ხოლო ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო ცვლილების ან მათზე ზეგავლენის მქონე ცვლილების შესახებ უნდა შეატყობინონ დაუყოვნებლივ.

მუხლი 86
მონაცემთა დამუშავება და ოფიციალური დოკუმენტების საჯაროდ ხელმისაწვდომობა

საჯარო ინტერესების შესაბამისად ფუნქციების შესასრულებლად სახელმწიფო ორგანოში, საჯარო დაწესებულებებში ან კერძო პირთან დაცული ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული პერსონალური მონაცემების ორგანოს ან დაწესებულების მიერ გამჟღავნება დასაშვებია ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც ექვემდებარება აღნიშნული ორგანო ან დაწესებულება, რათა უზრუნველყოს ოფიციალურ დოკუმენტების საჯაროდ ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვას შორის ბალანსი ამ რეგულაციის შესაბამისად.

მუხლი 87
ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის დამუშავება

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასევე განსაზღვრონ ეროვნული საიდენტიფიკაციო ნომრის ან სხვა ზოგადი გამოყენების იდენტიფიკატორის დამუშავების სპეციალური წესები. ამ შემთხვევაში საიდენტიფიკაციო ნომერი ან სხვა ზოგადი გამოყენების იდენტიფიკატორი შესაძლოა გამოყენებული იყოს მხოლოდ სათანადო დაცვის გარანტიების არსებობისას მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების დაცვის მიზნით ამ რეგულაციის შესაბამისად.

მუხლი 88
მონაცემთა დამუშავება დასაქმების ფარგლებში

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კანონით ან კოლექტიური შეთანხმებებით დაადგინონ სპეციფიური წესები დასაქმების ფარგლებში დასაქმებულთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. კერძოდ, სამუშაოზე აყვანის, შრომითი ხელშეკრულების შესრულების, მათ შორის კანონით ან კოლექტიური შეთანხმებით დადგენილი ვალდებულებებისგან განთავისუფლების, სამუშაოს მართვის, დაგეგმვის ან ორგანიზების, სამუშაო ადგილზე თანასწორობისა და მრავალფეროვნების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის უზრუნველყოფის, დასაქმებულის ან მომხმარებლის ქონების დაცვის, ფიზიკური აქტივობისა და სარგებლის მიღების მიზნებისთვის, იქნება ეს ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, ასევე შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად.
2. აღნიშნული წესები უნდა მოიცავდეს სათანადო და სპეციფიურ ზომებს მონაცემთა სუბიექტის ღირსების, კანონიერი ინტერესის და ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის, საწარმოთა ჯგუფის შიგნით ან საერთო ეკონომიკური საქმიანობისას საწარმოთა ჯგუფის შიგნით მონაცემთა გადაცემის, და სამუშაო ადგილზე ზედამხედველობის მხედველობაში მიღების გზით.
3. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ კომისიას უნდა შეატყობინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული კანონების შესახებ 2018 წლის 25 მაისამდე, ხოლო ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო ცვლილების ან მათზე ზეგავლენის მქონე ცვლილების შესახებ უნდა შეატყობინონ დაუყოვნებლივ.

მუხლი 89
საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიულ-კვლევითი ან სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული გარანტიები და გამონაკლისები

1. პერსონალური მონაცემების დამუშავება საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიულ-კვლევითი ან სტატისტიკური მიზნებითვის, უნდა განხორციელდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სათანადო გარანტიებით, ამ რეგულაციის შესაბამისად. დაცვის ეს გარანტიები უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის დასაცავად ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას. ეს ზომები შესაძლოა მოიცავდეს ფსევდონიმიზაციას, თუ ამ გზით შესაძლებელია შესაბამისი მიზნების მიღწევა. თუ ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია დამატებითი დამუშავების გზით, რომელიც არ იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალებას, აღნიშნული მიზნები მიღწეულ უნდა იქნას იმავე წესით.

2. თუ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება სამეცნიერო ან ისტორიული, ან სტატისტიკის მიზნებისთვის, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონებით შესაძლოა დადგენილი იქნეს გამონაკლისები მე-15, მე-16, მე-18 და 21-ე მუხლებით განსაზღვრულ მონაცემთა სუბიექტის უფლებებზე ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დაცვის გარანტიების ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ ამ უფლებების გახორციელება შეუძლებელს ხდის ან ხელს უშლის კონკრეტული მიზნების მიღწევას და ამგვარი გამონაკლისები აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად.
3. თუ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება საჯარო ინტერესის მიღწევის მიზნით ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონები შესაძლოა აწესებდნენ გამონაკლისებს მე-15, მე-16, მე-18, მე-19, მე-20 და 21-ე მუხლებით დადგენილ მონაცემთა სუბიექტის უფლებებზე ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დაცვის გარანტიების ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ ამ უფლებების გახორციელება შეუძლებელს ხდის ან სერიოზულად აზარალებს კონკრეტული მიზნების მიღწევას და ამგვარი გამონაკლისი აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად.
4. თუ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით დადგენილი მონაცემთა დამუშავება ასევე ემსახურება სხვა მიზნებსაც, მაშინ გამონაკლისები მოქმედებს მხოლოდ იმ მიზნით დამუშავებაზე რაც ამ პუნქტებით არის დადგენილი.

მუხლი 90
კონფიდენციალურობის ვალდებულება

1. წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა მიიღონ სპეციფიური წესები, რომლითაც განისაზღვრება 58-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილი საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებები იმ მონაცემთა დამმუშავებლებთან და უფლებამოსილ პირთან მიმართებით, რომლებსაც ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის ან კომპეტენტური ეროვნული უწყებების მიერ დადგენილი წესების მიხედვით, ეკისრებათ პროფესიული ან მსგავსი საიდუმლოების დაცვის ვალდებულება თუ ეს აუცილებელია და პროპორციულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების და თავისუფლებების დაცვის კონფიდენციალურობის ვალდებულებასთან შესაბამისობაში მოყვანისთვის. ეს წესები ვრცელდება მხოლოდ პერსონალურ მონაცემებზე, რომელიც მონაცემთა დამმუშავებელმა ან უფლებამოსილმა პირმა მიიღო ან მოიპოვა კონფიდენციალობის ვალდებულების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების შედეგად.
2. 2018 წლის 25 მაისამდე თითოეული წევრი სახელმწიფო კომისიას ატყობინებს პირველი პუნქტით დადგენილი წესების მიღების შესახებ, ხოლო მათთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ - დაუყოვნებლივ.

მუხლი 91
მონაცემთა დაცვის არსებული წესები ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებებისთვის

1. თუ ამ რეგულაციის ძალაში შესვლის მომენტში წევრ სახელმწიფოში არსებობს ერთიანი წესები ეკლესიების და რელიგიური გაერთიანებებისთვის მიერ ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის, ეს წესები კვლავ მოქმედებს იმ პირობით თუ ისინი შეესაბამება ამ რეგულაციას.
2. ეკლესიებს და რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც ეხება პირველ პუნქტში მითითებული წესები, ზედამხედველობს დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო (რომელიც შესაძლოა იყოს სპეციფიური), იმ პირობით, რომ იგი აკმაყოფილებს რეგულაციის VI თავით დადგენილ მოთხოვნებს.

თავი X

დელეგირებული აქტები და საიმპლემენტაციო აქტები

მუხლი 92

დელეგირების უფლების გამოყენება

1. დელეგირებული აქტის მიღების უფლებამოსილება ეკისრება კომისიას ამ მუხლით არის დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. მე-12 მუხლის მე-8 პუნქტით და 43-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი დელეგირების უფლებამოსილება კომისიას ეკისრება 2016 წლის 24 მაისიდან განუსაზღვრელი ვადით.
3. მე-12 მუხლის მე-8 პუნქტით და 43-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი დელეგირების უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს ევროპარლამენტის ან ევროსაბჭოს მიერ. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებით ასევე წყდება ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დელეგირების უფლებამოსილება. იგი ძალაში შედის მისი ევროკავშირის ოფიციალურ ბეჭდურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მომდევნო დღეს ან მოგვიანებით, რის თაობაზეც იქნება შესაბამისი მითითება. მას არ აქვს გავლენა უკვე მოქმედი დელეგირებული აქტის კანონიერებაზე
4. კომისია დელეგირებული აქტის მიღებისთანავე ატყობინებს ევროპის პარლამენტს და ევროსაბჭოს.
5. მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის და 43-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით მიღებული დელეგირებული აქტი ძალაში შედის იმ შემთხვევაში თუ ევროპარლამენტს ან ევროსაბჭოს შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში არ გაუპროტესტებია იგი ან თუ ამ ვადის ამოწურვამდე ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ შეატყობინა კომისიას რომ არ გეგმავენ უარის თქმას. ვადა შეიძლება გაიზარდოს სამი თვით ევროპის პარლამენტის ან საბჭოს ინიციატივის საფუძველზე.

მუხლი 93

კომიტეტის პროცედურები

1. კომისიას დახმარებას უწევს კომიტეტი. ეს კომიტეტი წარმოადგენს (EU) No 182/2011 რეგულაციით განსაზღვრულ კომიტეტს.
2. ამ პუნქტზე მითითების შემთხვევაში მოქმედებს (EU) No 182/2011 რეგულაციის მე-5 მუხლი;
3. ამ პუნქტზე მითითების შემთხვევაში (EU) No 182/2011 რეგულაციის მე-8 მუხლი მოქმედებს, მე-5 მუხლთან ერთად.

თავი XI

გარდამავალი დებულებები

95/46/EC დირექტივის გაუქმება

1. 95/46/EC დირექტივა გაუქმდეს 2018 წლის 25 მაისიდან.
2. გაუქმებულ დირექტივაზე მითითება მიიჩნევა როგორც ამ რეგულაციაზე მითითება. 95/46/EC დირექტივის 29-ე მუხლით პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის მიზნით შექმნილ კომისიაზე (სამუშაო ჯგუფზე) მითითება განიხილება ამ რეგულაციით შექმნილი ევროკავშირის მონაცემთა დაცვის საბჭოზე მითითებად.

მუხლი 95
2002/58/EC დირექტივის ურთიერთდამოკიდებულება

ეს რეგულაცია ფიზიკური ან იურიდიული პირებისთვის არ უნდა ადგენდეს დამატებით ვალდებულებებს საჯარო საკომუნიკაციო ქსელებში საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების ევროკავშირში მიწოდებასთან დაკავშირებით მონაცემთა დამუშავებისას, როდესაც ამ საკითხთან მიმართებაში მათზე ამავე მიზნებით ვრცელდება 2002/58/EC დირექტივით განსაზღვრული სპეციფიური ვალდებულებები.

მუხლი 96
ადრე დადებულ ხელშეკრულებებთან დამოკიდებულება

2016 წლის 24 მაისამდე წევრი სახელმწიფოების მიერ გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები მესამე ქვეყნებისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემის შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ძალაში რჩება, ვიდრე არ მოხდება მასში ცვლილებების შეტანა, შეცვლა ან გაუქმება.

მუხლი 97
კომისიის ანგარიშები

1. 2020 წლის 25 მაისისთვის და ამის შემდგომ ყოველ ოთხ წელიწადში, კომისია ევროპის პარლამენტს და ევროპის საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ამ რეგულაციის შეფასების და გადახედვის შესახებ. ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.
2. პირველი პუნქტით დადგენილი შეფასებების და გადახედვის კონტექსტში კომისია განიხილავს კონკრეტულად შემდეგი თავების მოქმედებას და გავრცელებას:
ა) V თავი მესამე ქვეყნისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემის შესახებ კონკრეტულად კი იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიღებულია ამ რეგულაციის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და 95/46/EC დირექტივის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე;
ბ) VII თავი თანამშრომლობის და თანამიმდევრულობის შესახებ;
3. პირველი პუნქტის მიზნებისთვის კომისიამ შეიძლება მოითხოვოს ინფორმაცია წევრი სახელმწიფოსა და საზედამხედველო ორგანოსგან;
4. პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი შეფასების და გადახედვისას კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ევროპის პარლამენტის, ევროპის საბჭოს და სხვა შესაბამისი ორგანოების და წყაროების მოსაზრებები და გადაწყვეტილებები.
5. კომისიამ საჭიროებისამებრ უნდა წარადგინოს სათანადო წინადადებები ამ რეგულაციაში ცვლილებების შესატანად, საინფორმაციო ტექნოლოგიებში მიღწევების და ინფორმაციულ საზოგადოებაში პროგრესის გათვალისწინებით.

მუხლი 98
ევროკავშირის მონაცემთა დაცვის შესახებ სხვა სამართლებრივი აქტების მიმოხილვა

1. კომისიამ საჭიროებისამებრ უნდა წარადგინოს საკანონმდებლო წინადადება პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ევროკავშირის სხვა სამართლებრივი აქტების ცვლილების თაობაზე, რათა მონაცემთა დამუშავებისას დაცული იქნეს ფიზიკური პირები თანაბრად და თანმიმდევრულად. ეს შეეხება განსაკუთრებით იმ წესებს, რომლებიც შეეხება ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოების, დაწესებულებების და სააგენტოების მიერ მონაცემთა დამუშავებას და მონაცემების თავისუფალ მიმოცვლას.

მუხლი 99
რეგულაციის ამოქმედება და გავრცელება

1. რეგულაცია ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს;
2. იგი მოქმედებს 2018 წლის 25 მაისიდან.
ეს რეგულაცია სრულად სავალდებულოა და პირდაპირ ვრცელდება ყველა წევრ სახელმწიფოში.
შედგენილია ბრიუსელში 2016 წლის 27 აპრილს,

ევროპის პარლამენტისთვის
პრეზიდენტი
მ. შულცი

საბჭოსთვის
პრეზიდენტი
ჟ.ა. ჰენის-პლასკაერტ